გელა ირემაძე

რუსეთის საგარეო პოლიტიკა

ლექციების კონსპექტური კურსი

ბათუმი 2013

შინაარსი

1. თემა: თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკის არსი, მიმართულებები, ფორმირება და ევოლუცია
2. თემა: საერთაშორისო ურთიერთობების რუსული სკოლა და მისი გავლენა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე
3. თემა: რუსეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი შიდა ფაქტორი
4. თემა: რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებები 1985-2000 წწ.
5. თემა: რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციები
6. თემა: რუსეთი გლობალურ სისტემაში
7. თემა: რუსეთის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში
8. თემა: რუსეთი და ევროკაშირი
9. თემა: მრავალპოლუსიანი მსოფლიო და ამერიკა-რუსეთის ურთიერთობები
10. თემა: რუსეთი და ნატო
11. თემა: რუსეთის საერთაშორისო ენერგოპოლიტიკა
12. თემა: ევრაზიული კავშირის-რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი მიმართულება
15. თემა: რუსული ომის ახალი მეთოდები და საგრეო პოლიტიკა

თემა 1

თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკის არსი, მიმართულებები, ფორმირება და ევოლუცია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ეს ცვლილება მჭიდროდ უკავშირდება ზოგადად პოლიტიკის განვითარებას რუსეთში. რუსეთის ფედერაციის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი სრულიად განსხვავებულ ფენომენს წარმოადგენდა განასახიერებდა რა ელცინის რუსეთს - ტოტალიტარული იმპერიის მემკვიდრე ქვეყანას, რომელიც ცდილობდა დაჩქარებული წესით გადაეღო და აეთვისებინა დასავლური მოდელი და სქემები, ქცეულიყო დემოკრატიულ სახელმწიფოდ და თავისი ღირსეული ადგილი დაეჭირა მსოფლიო თანამეგობრობაში. ეს იყო ელცინის რუსეთი, ანდა უფრო სწორად, ეს იყო ის რუსეთი როგორადაც მისი ხილვა სურდა დასავლური საზოგადოების უფრო ოპტიმისტურ და, ზოგიერთ შემთხვევაში, გულუბრყვილო ნაწილს.

20 წელიწადიც არაა გასული რუსეთის ფედერაციის წარმოქმნიდან, მისი საგარეო პოლიტიკა ისევე მკვეთრად შეიცვალა, როგორც ზოგადად პოლიტიკა რუსეთში. შიდა პოლიტიკა რუსეთში ისევე მჭიდროდაა დაკავშირებული საგარეო პოლიტიკასთან, როგორც ეს სხვა სახელმწიფოებშია. უკვე რამდენიმე წელია რაც თავისუფალი მედიის დათრგუნვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შეზღუდვის პარალელურად რუსეთის საგარეო პოლიტიკური რიტორიკა სულ უფრო და უფრო აგრესიული და ანტი-დასავლური ხდება. ენერგეტიკული რესურსებისა და სამეზობლოში ეთნიკური კონფლიქტების მანიპულაციის გამო რუსეთმა სერიოზულად შეაშფოთა არა მხოლოდ თავისი ყოფილი სატელიტები (რომლებიც მოსკოვის აგრესიული პოლიტიკის მსხვერპლნი არიან) არამედ ყოფილი მოწინააღმდეგეებიც ცივი ომიდან.

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ-ერთი ურთულესი სფეროა. მისი ეფექტიანობა, ისევე როგორც შიდა პოლიტიკისა, მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია მის რეალურობაზე, მიზანსწრაფულობასა და თანმიმდევრულობაზე. ყველა ეს მახასიათებელი პოლიტიკის თეორიის შემუშავების ეტაპის საფუძველია, რაც, საბოლოო ანგარიშით, დოქტრინის, კონცეფციის, კონკრეტული პროგრამის, მიმოხილვების და ა.შ. ფორმას იღებს.

მაგრამ, რაოდენ სრულყოფილი და დახვეწილიც არ უნდა იყოს თეორია, პრაქტიკული პოლიტიკა ყოველთვის მისგან განსხვავებული იქნება, რადგან, ვერც ერთი თეორია ვერ გაითვალისწინებს ყველა იმ კონკრეტულ პრობლემას, რომელსაც ცხოვრება წამოჭრის. იმავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ „კარგ თეორიაზე უფრო პრაქტიკული არაფერია“ და ვისაც კარგი სტრატეგია არა აქვს, ის სხვათა სტრატეგიით ცხოვრობს. რეალური ფუნდამენტური თეორიის გარეშე პრაქტიკა ბრმაა, გამუდმებით „ცდისა და შეცდომების“ მეთოდის დიქტატს ექვემდებარება.

საგარეო პოლიტიკის პრობლემებზე ხედვების სისტემაში, რომლებსაც ოპერაციონალურ კოდთან აიგივებენ, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ა. ჯორჯი ორ ჯგუფს გამოჰყოფს: ხედვების პირველ ჯგუფს პირობითად ფილოსოფიურს უწოდებს, მეორეს - ინსტრუმენტულს. *ფილოსოფიური ხედვა* მოიცავს აზრებს საგარეო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების ფუნდამენტური ბუნების შესახებ; მოწინააღმდეგის აღქმის სტერეოტიპებს; წარმოდგენებს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის ზოგად პერსპექტივებზე და ა.შ. *ინსტრუმენტული ხედვა* პოლიტიკური ლიდერის ხედვებია სწორ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე, საგარეო პოლიტიკური მიზნების ყველაზე ეფექტიანი მიღწევის საშუალებებზე.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ისეთი დოკუმენტი როგორიც საგარეო პოლიტიკის კონცეფციაა პოლიტოლოგებს საგარეო პოლიტიკის უამრავი თემის, პროგნოზის თუ სცენარის აგების საშუალებას აძლევს, თუმცა, ამავდროულად ყველას ძალიან კარგად მოეხსენება და ესმის, რომ

ეს პროგნოზები ისეთივე საპნის ბუშტია, როგორც თავად რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც არც არაფერს ამბობს მოსკოვის პოლიტიკაზე მსოფლიოში.

პუტინის საგარეო პოლიტიკური დოქტრინის განხილვა აუცილებლობით მოითხოვს მისი გადაწყვეტილებების, გამოსვლების და სტატიების ანალიზსაც, რომლებიც, როგორც წესი, ზემოაღნიშნულ კონცეფციებს წინ უძღოდა. ასევე, გასათვალისწინებელია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველწლიური მიმოხილვებიც, რომლებსაც ეს უწყება 2007 წლიდან აქვეყნებს.

„ცივი ომის“ დასრულებას მსოფლიო არენაზე ძალთა განლაგებაში კარდინალური ცვლილებები მოჰყვა, მოხდა საერთაშორისო ურთიერთობების მთელი სისტემის სერიოზული რესტრუქტურიზაცია. რუსეთის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების წინაშე არცთუ მარტივი კითხვები დადგა: მას შემდეგ რაც საერთაშორისო სისტემა ბიპოლარულიდან მულტიპოლარულად იქცა, მართლა გახდა თუ არა მსოფლიო უსაფრთხო და რა ხარისხით? რა უნდა გაკეთებულიყო იმისთვის, რომ „ცივი ომის“ რეციდივები აღარ განმეორებულიყო? რა პრინციპებზე უნდა აგებულიყო ურთიერთობა ახლო და შორი საზღვარგარეთის ქვეყნებთან და შემდგომ, მთლიანობაში, რუსეთის საგარეო პოლიტიკა? რა საფუძველზე და ვის მიერ უნდა განსაზღვრულიყო რუსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები საგარეო-პოლიტიკურ სფეროში, მათი ცხოვრებაში განხორციელების ოპტიმალური გზები და მეთოდები? ამის გარდა, წარმოიშვა საბჭოთა კავშირის მიმართ საგარეო პოლიტიკის მემკვიდრეობითობის პრობლემა: იყო თუ არა საჭირო ასეთი მემკვიდრეობითობის შენარჩუნება და, თუ საჭირო იყო, რაში უნდა გამოხატულიყო ის.

სამყაროს სხვადასხვა ნაწილში დღესაც ჩაუმქრალი რეგიონული ომების და კონფლიქტების კერების არსებობის, ეთნიკური დაპირისპირების, ეკონომიკური და და ეკოლოგიური პრობლემების გამწვავების ფონზე, ამ კითხვებზე პასუხი არა მხოლოდ რუსეთის, არამედ

მრავალი სხვა ქვეყნის თანამედროვე განვითარებისთვის სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენდა.

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების პირველი ეტაპები დაკავშირებულია ბელოვეჟის სამიტთან. ბელოვეჟის შეთანხმება, როგორც პოლიტიკური ფენომენი, გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში, უწინარეს ყოვლისა, ძველ საკავშირო ცენტრში, სახელმწიფოებრივი და პარტიული ინტერესების დაპირისპირების შედეგად წარმოიშვა. ბელოვეჟის სამიტის ერთ-ერთი შედეგი იყო ის, რომ იქ მიღწეული შეთანხმებებით საფუძვლად დაედო რუსეთის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების და საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებელი და სრულუფლებიანი სუბიექტის დამკვიდრებას. მალე ნათელი გახდა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ყოფილი სსრკ-ს მიმართ საერთაშორისო უფლებამემკვიდრეობის შესახებ ნიშნავდა, რომ ახალი რუსეთი როგორც გაეროს წევრი და გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, საერთაშორისო არენაზე ერთ-ერთ უმთავრეს აქტორად რჩებოდა და, იმასაც, რომ რუსეთი აღიარებდა იმ დროის საერთაშორისო წესრიგს.

რუსეთის ფედერაცის ახალმა ხელმძღვანელობამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო, 1985 წლის შემდგომ წამოჭრილი ოთხი პრობლემიდან არც ერთი არ გადაწყვეტილა.

პირველი, - პოლიტიკური პლურალიზმის, დემოკრატიზაციის ნებისმიერი პროცესის ორგანული შემადგენელი ნაწილის პრობლემა.

მეორე, ნორმალური საბაზრო ეკონომიკის შექმნის პრობლემა.

მესამე - ფედერაციული ხელშეკრულების პრობლემა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა მეორე პრობლემას.

და, ბოლოს, მეოთხე - მსოფლიო ერთობაში როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი აქტორის შესვლის პრობლემა.

დასავლურ სამყაროში ინტეგრაციისკენ მიმართული სსრკ-ს ბოლო მთავრობის ძალისხმევის მიუხედავად, საბჭოთა კავშირი, მის შემდგომ კი ახალი რუსეთი, არ შეუშვეს არც დიდ შვიდეულში, არც ევროკავშირში და

არც ნატო-ში. ამასთან, რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი სისუსტე ქვეყნის შიდაპოლიტიკურ სიტუაციაში, რუსეთის შიდა პოლიტიკაში იყო.

თუ გავაანალიზებთ წინა ასწლეულის 90-იანი წლების დასაწყისის რფ-ის საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას, უნდა ითქვას, რომ ფორმითაც და შინაარსითაც ის იყო ცვალებადი რეალიებისადმი იძულებითი შეგუება და, იმავდროულად, ასახავდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე რუსეთის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით ბრძოლის ყველა პერიპეტიას, ეს იყო ბრძოლა ელიტის და ხელმძღვანელობის მეტოქე ფრაქციებს შორის და ბრძოლა თავად საგარეო პოლიტიკის მომავლისათვის. (3)

მსოფლიოში გეოპოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებასთან ერთად, რუსეთის წინაშე დადგა ახალი ევროპული, და აზიური პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, ისე, რომ, ერთი მეორისთვის არ დაეპირისპირებინათ. გიგანტური კავშირის დაშლის შემდეგ საგარეო პოლიტიკის სფეროში რუსეთის ორიენტაციის მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა ქვეყნის შესვლა ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოთა ოჯახში, თანამშრომლობა დასავლეთთან და საერთაშორისო ინსტიტუტებთან, მათ მიერ რუსეთის წამყვან ევროპულ დერჟავად, ისეთ სახელმწიფოდ აღიარება, რომელმაც სსრკ-ს სტატუსი გაითავისა. ასეთ პოზიციას რუსეთის საზოგადოება სწორ მიმართულებად აღიარებდა.

რუსეთის ახალი საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ინტენსიური ძიება დაიწყო მალევე სსრკ-ს დაშლისა და რუსეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ. მისი ფორმირება და მსოფლიოსთვის წარდგენა პირველად რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა1992 წლის 31 იანვარს სცადა. ამ დღეს ის გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე 15 წევრი-ქვეყნის და სახელმწიფოს მეთაურთა წინაშე გამოდიოდა. ელცინმა მათ შესთავაზა საერთაშორისო პროექტად ექციათ სტრატეგიული თავდაცვის კომპლექსის პროგრამა, რუსეთის თავდაცვითი კომპლექსის ტექნოლოგიური დამუშავებების გათვალისწინებით. მისი აზრით, ამგვარი გაერთიანებით შეიძლებოდა კოსმოსური თავდაცვის გლობალური სისტემის შექმნა. ელცინმა განაცხადა, რომ რუსეთი აშშ-ს და

დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს განიხილავს არა მხოლოდ პარტნიორებად, არამედ მოკავშირეებადაც.

იმ სხდომაზე რუსეთის პრეზიდენტი სხვა ინიციატივებითაც გამოვიდა, სახელდობრ, მან მსოფლიოს ლიდერებს შესთავაზა შექმნილიყო სწრაფი რეაგირების მექანიზმი, რომლის ოპერატიულად ამოქმედებაც გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ შესაძლებელი იქნებოდა პლანეტის ნებისმიერ რეგიონში, სადაც კი მშვიდობას და სტაბილურობას რაიმე დაემუქრებოდა. მისი განცხადებით, მოსკოვი უარს ამბობდა ნებისმიერი იდეოლოგიური დოქტრინისადმი საგარეო პოლიტიკის რაიმე დაქვემდებარებაზე და აცხადებდა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრინციპები უბრალო და გასაგებია: დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, კანონიერების და ზნეობრიობის უმთავრესობა.

გაეროს უშიშროების საბჭოში გამოსვლამდე რუსეთის პრეზიდენტმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა გაეროს გენერალურ მდივანს ბუტროს გალის. მასში გადმოცემული იყო რუსეთის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები შეიარაღების შემცირების და განიარაღების სფეროში: სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღება, ტაქტიკური ბირთვული იარაღი, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა და კოსმოსი, ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვა და იარაღის მიზნებისთვის გახლეჩვადი მასალების წარმოების აკრძალვა, მასობრივი მოსპობის იარაღის და მისი მიტანის საშუალებების გაუვრცელებლობა, ჩვეულებრივი შეიარაღება, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი, თავდაცვითი ბიუჯეტი, სამხედრო წარმოების კონვერსია.

ელცინის გამოსვლიდან ორი კვირის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმა ჟენევაში განიარაღების კონფერენციაზე და ადამიანის უფლებების კომისიის სხდომაზე გამოსვლაში განმარტა გაერო-ს გენერალური მდივნისადმი ელცინის ზემოაღნიშნული ინიციატივები და ზოგიერთი წინადადებაც დაუმატა.

რუსეთის ხელისუფლების აღმასრულებელი სტრუქტურების პარალელურად საგარეო პოლიტიკურ დოქტრინაზე მუშაობდნენ წარმომადგენლობით ორგანოშიც. 1992 წ. თებერვლის დამლევს

გამოქვეყნდა პარალელური, უფრო ზუსტად, ალტერნატიული საგარეო პოლიტიკის კონცეფცია. ეს იყო რუსეთის უმაღლესი საბჭოს კონცეფცია. მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტში (МГИМО) კონფერენციაზე *„გარდაქმნილი რუსეთი ახალ მსოფლიოში“*, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ რუსლან ხასბულატოვმა გადმოსცა მისი ძირითადი ასპექტები. კონფერენციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მაშინდელი რუსეთის საგარეო დაზვერვის დირექტორი ევგენი პრიმაკოვი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი, და სხვა სახელმწიფო პირები.

რ. ხასბულატოვის კონცეფციის შინაარსი ბევრ რამეში ემთხვეოდა პრეზიდენტის დოქტრინის მთავარ დებულებებს. ორივე უარს ამბობდა ახალი რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიერ იდეოლოგიზირებულ ბიპოლარულობაზე, ე.ი. ორ დაპირისპირებულ სისტემებად დაყოფაზე; ორივე დეკლარირებდა სამხედრო ძალის, როგორც საგარეო პოლიტიკის უპირატეს საშუალებად გამოყენების უარყოფას; ორივე აღიარებდა „რუსეთში ქმედუნარიანი ეკონომიკის ფორმირების“ მნიშვნელობას, საგარეო ბაზრებზე გასაყვანად ნაციონალური მრეწველობის, მთლიანობაში, ნაციონალური მეწარმეობისთვის დახმარების მნიშვნელობას და ა.შ.

მაგრამ, ბ. ელცინის და რ. ხასბულატოვის კონცეფციებში აშკარად ჩანდა განსხვავებებიც, რაც ნათლად მიანიშნებდა ხელისუფლების ორ შტოს შორის არა მხოლოდ უთანხმოებაზე, არამედ სერიოზულ დაპირისპირებაზეც. მაგალითად, უმაღლესი საბჭოს კონცეფციაში აქცენტი კეთდებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის იმ მიმართულებებზე, რაც ტრადიციულად წარსულში საბჭოთა კავშირს ახასიათებდა, სახელდობრ, ურთიერთობებზე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, რომლებიც თავის დროს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში შედიოდნენ. აგრეთვე, არაბული აღმოსავლეთი, აზია და აფრიკა ახალი რუსეთის საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მიმართულებებად სახელდებოდა. რ. ხასბულატოვის

აზრით, ამას ითხოვდა რუსეთის გეოპოლიტიკური მოსაზრებები და ეკონომიკური ინტერესები. ამის გარდა, ხასბულატოვის კონცეფციაში საუბარი იყო დსთ წევრ-სახელმწიფოებთან და დსთ მოსაზღვრე ქვეყნებთან ურთიერთობების პრიორიტეტულობაზეც. აღმასრულებელი ხელისუფლების კონცეფცია, პირიქით, ამჯობინებდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორიენტაციას აშშ-ის და დასავლეთის სხვა ქვეყნებზე.

იმ პერიოდში რუსეთის იდენტობის ძიებისას, იდეურ დებატებსა და პრაქტიკულ პოლიტიკაში, გაჩნდა „ევრაზიელობის“ იდეაც, რასაც მოჰყვა მწვავე კამათი იმაზე თუ როგორი უნდა ყოფილიყო ახალი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა, რაში მდგომარეობდა რუსეთის ჭეშმარიტი ინტერესები, მთლიანობაში რომელ იდეებს უნდა განესაზღვრა რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების, სახელდობრ, მისი საგარეო პოლიტიკის სფერო.

ეს დავა დაიწყო ზემოაღნიშნულ კონფერენციაზე. საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი და პოლიტიკურ საკითხებზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო მრჩეველი სერგეი სტანკევიჩი საპირისპირო პოზიციებიდან განსაზღვრავდნენ რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას.

მინისტრის პოზიციით რუსეთი ცივილიზებულ სახელმწიფოდ უნდა გარდაქმნილიყო, უნდა დამდგარიყო სახელმწიფოთა დასავლურ ოჯახში შესვლის გზაზე და გაჰყოლოდა დასავლურ ნორმებს. ა. კოზირევის აზრით ფაქტიურად რუსეთისთვის მოცემულ მომენტში არ არსებობდა რაიმე საფრთხის წყარო, პოტენციური მოწინააღმდეგე და რუსეთის ინტერესებისადმი მათთან ასოცირებული სამხედრო მუქარები, არ არსებობდა ობიექტური დაბრკოლებები ცივილიზებულ ერთობაში რუსეთის შეზრდისათვის. მან გამოთქვა აზრი, რომ რუსეთი ფრთხილი პარტნიორობიდან მეგობრულ ურთიერთობებისკენ გადასვლაზე კურსის აღებით, პერსპექტივაში უნდა გადასულიყო სამოკავშირეო ურთიერთობებზე მთელ ცივილიზებულ მსოფლიოსთან, მის სტრუქტურებთან, მათ შორის NATO-სთან, გაეროს-სთან და სხვა ორგანიზაციებთან. (4) მას მიაჩნდა, რომ რუსეთისათვის აუცილებელია ევროპის უსაფრთხოების სისტემაში შესვლა, რომ სწორედ ეს არის

რუსეთისათვის სასარგებლო და ეს ემთხვევა მის ინტერესებს. განსაკუთრებით მან ხაზი გაუსვა რუსეთის უსაფრთხოების განმტკიცებისთვის აშშ-თან ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობას. ჯერ კიდევ კონფერენციის გახსნამდე ა. კოზირევი ამბობდა, რომ აშშ-თან რუსეთის ურთიერთობების გასაფართოვებლად ხელისუფლება არანაირ დაბრკოლებას არ დაუშვებდა.

კონფერენციაზე მინისტრის ოპონენტი ს. სტანკევიჩი დაჟინებით იცავდა აზრს, რომ ბოლო დროს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ პრაქტიკაში ორი ხაზი შეიმჩნეოდა, რომლებსაც ძალზე პირობითად შეიძლება ეწოდოს „ატლანტიზმი“ და „ევრაზიელობა“.

მისი აზრით, ატლანტიზმი იდეების და სიმბოლოების გარკვეული სიმბიოზია, ესაა ევროპის ნაწილად ქცევის განზრახვა, „შვიდეულის“ მერვე წევრად გახდომით მსოფლიო მეურნეობაში ორგანულად ჩართვა, გემანიასა და აშშ-ზე, როგორც ატლანტიკური კავშირის ორ დომინანტზე, ფსონის დადება. ს. სტანკევიჩმა აღნიშნა მოცემული მიმართულების რაციონალურობა და პრაგმატიზმი, აღიარა მისი ბუნებრივობა - „იქ კრედიტებია, იქ არის დახმარება, იქ მოწინავე ტექნოლოგიებია, ბოლოს და ბოლოს, იქ არის სტილი, ესოდენ მიმზიდველი, ამჟამად ფორმირების პროცესში მყოფი რუსეთის ახალი საგარეო პოლიტიკისთვის“. მაგრამ, ამავე დროს, სტანკევიჩის აზრით, საგარეო პოლიტიკის მესვეურთ სიფრთხილის გამოჩენა მართებდათ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ამ იდეების უკიდურესობამდე მიყვანა.

მომდევნო წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის „პროამერიკულობას“ და „პროდასავლურობას“ ქვეყნის შიგნით დასაყრდენი არ ჰქონდა და ამჯობინეს მრავალვექტორული და მრავალხასიათობრივი საგარეო პოლიტიკა. ეს გარემოება გათვალისწინებულ იქნა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე უფრო მაღალ ეტაპზე მუშაობისას.

1992 წლის 19 აგვისტოს „ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულმა რუსეთის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის არასამთავრობო საბჭოს თეზისებმა სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო და არსებითი ზეგავლენა

მოახდინა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კურსზე. თეზისების გამოქვეყნებიდან უკვე ერთი წლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ საბჭოს მიერ შემუშავებული წინადადებები პრაქტიკულად ხორციელდებოდა და ანალიტიკური შეფასებანი დასტურდებოდა.

1992 წლის მეორე ნახევრიდან მომხდარმა ცვლილებებმა წარმოშვა ახალი სტრატეგიული კურსის შემუშავების აუცილებლობა. გარდა ამისა, საბჭოს წევრების აზრით, რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა გასცდა „ოქროს შუაგულს“ და გაცილებით უფრო სახიფათო მიმართულებით გადაიხარა. რუსეთში არსებობდნენ და მოქმედებდნენ ძალები, რომლებიც გარესამყაროსთან კრიზისის პროვოცირებას ცდილობდნენ, ამავე დროს, ქვეყნის ხელმძღვანელობას არ ჰქონდა რამდენადმე მაინც ერთობლივი მიდგომა საგარეო პოლიტიკის ინტერესებისა და მიზნებისადმი. ზემოთქმულიდან გამომდინარე საბჭოს წევრები მიიჩნევდნენ, რომ უნდა შექმნილიყო ერთიანი სახელმწიფოებრივი კონცეფცია. ამას ემსახურებოდა ახალი თეზისები, ანუ „რუსეთის სტრატეგია (2)“, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო იმ ეტაპზე საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის ძირითადი მიმართულება. **(5)** ამ დოკუმენტის ტექსტი ქართულად ითარგმნა და გამოქვეყნდა გაზეთში „კავკასიონი“. (6)

1992 წლის ოქტომბერში პრეზიდენტმა ელცინმა განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა მიმართულია ახლო საზღვარგარეთში რუსების და რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებების დაცვაზე და აუცილებელი იყო ურთიერთობების განმტკიცება არა მხოლოდ დასავლეთის ქვეყნებთან, არამედ აღმოსავლეთ ევროპის, აზიის, აფრიკის და ახლო და შორი საზღვარგარეთის სახელმწიფოებთანაც.

ამგვარად, იდეები, რომლებსაც საწყის ეტაპზე რუსეთის საგარეო პოლიტიკა ეფუძნებოდა, 1992 წლის დამლევს ჩამოყალიბდა. რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია შეიმუშავა საგარეო საქმეთა სამინიტრომ. მომზადებული დოკუმენტის საგარეო პოლიტიკის საბჭოზე განხილვის შემოკლებული სტენოგრამა გამოქვეყნდა ჟურნალში «Международная жизнь». (7)

1993 წლის აპრილის ბოლოს ბორის ელცინის განკარგულებით დამტკიცდა დოკუმენტი სახელწოდებით: *„რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ძირითადი დებულებები“*, რომელიც გამოქვეყნდა „Дипломатический вестник“ - ის სპეციალურ (№1-2) გამოშვებაში. მას შემდეგ რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა მისი ნორმების შესაბამისად ტარდებოდა.

კონცეფცია - 1993-ის მომზადებაში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, საგარეო დაზვერვის სამსახურის, უშიშროების საბჭოს აპარატის და უმაღლესი საბჭოს ორი კომიტეტის - საერთაშორისო საქმეების და საგარეო-პოლიტიკური კავშირების, აგრეთვე, თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხების კომიტეტის ექსპერტთა ჯგუფები. ამ მუშაობას ხელმძღვანელობდა უშიშროების საბჭოს უწყებათშორისი საგარეო-პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე იური სკოკოვი. დოკუმენტმა გაიარა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების ახალი მექანიზმის ფარგლებში შეთანხმებების და დამტკიცების ყველა პროცედურა. კონცეფცია მოიწონა უწყებათშორისმა საგარეო პოლიტიკის კომისიამ და დამტკიცდა ქვეყნის უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

კონცეფცია, როგორც მისი ავტორები აღნიშნავდნენ, მუშავდებოდა „ქვეყნის და მოქალაქეების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესებიდან გამომდინარე“ და არა რუსეთის საზოგადოებაში ამა თუ იმ ძალის იდეოლოგიური განწყობიდან და მისწრაფებიდან გამომდინარე. ეს ინტერესებია - რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოებრიობის ფორმირების პროცესის უზრუნველყოფა და მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვა; იმ პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების სტაბილურობას და შეუქცევადობას; რუსეთის აქტიურ და სრულუფლებიან მონაწილეობას საერთაშორისო ურთიერთობების ახალი სისტემის მშენებლობაში, სადაც მას უზრუნველყოფილი ექნება ღირსეული ადგილი“.

ამ დოკუმენტში ჩანს ქვეყნის იმჟამინდელი საგარეო პოლიტიკისთვის პასუხისმგებელი პირების დეკლარაციებისგან გარკვეული განსხვავება. პირველ რიგში ეს ეხება საგარეო პოლიტიკაში რუსეთის დამოუკიდებლობაზე აქცენტირებას, რაც რამდენადმე განსხვავდება დასავლეთთან ყოვლემხრივ თანამშრომლობაზე უწინდელი ხაზისგან. მოცემულ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ ფაქტს, რომ, მართალია ცივი ომის დასრულებით მსოფლიოში ტოტალური კონფრონტაცია გაქრა, მაგრამ, აშშ მაინც ესწრაფვის თავისი სამხედრო ლიდერობის შენარჩუნებას, მაშინ როდესაც, კონფრონტაციის საფუძველმა - სსრკ-ს სამხედრო პოტენციალთან დაპირისპირებაზე ორიენტირებულობამ - ოდინდელი მნიშვნელობა დაკარგა.

აგრეთვე, რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრინციპული კურსი „ცივილიზებული“ დასავლეთის სისტემაში რუსეთის შესვლისკენ მისწრაფებასთან ერთად მოიცავდა რუსეთის გარშემო ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელობის შესახებ კონცეფციას. დოკუმენტში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საგარეო პოლიტიკურ ამოცანებად განისაზღვრა რუსეთის გარშემო კონფლიქტების მოგვარება, რუსეთის ტერიტორიაზე მათი გავრცელების დაუშვებლობა და ახლო საზღვარგარეთში ეთნიკური რუსების და რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებების მკაცრი დაცვა.

მთლიანობაში, რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრინციპულ მიმართულებას წარმოადგენდა მის მიერ „დიდი დერჟავას“ სტატუსის მოპოვება, რასაც საფუძვლად ედო აზრი, რომ ცივი ომის დასრულება ავტომატურად არ ნიშნავდა სტაბილიზაციას მსოფლიო არენაზე და არსებით როლს კვლავაც სამხედრო-ძალისმიერი ფაქტორები ასრულებენ.

და მაინც, კონცეფციაში ხაზგასმულია, რომ არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თანამშრომლობა დასავლეთის წამყვან განვითარებულ სამრწეველო ქვეყნებთან, რომლებიც თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებზე დაყრდნობით სწრაფად ზრდიდნენ მსოფლიოში თავის ეკონომიკურ და ფინანსურ ძლიერებას, პოლიტიკურ გავლენას. ეს აუცილებელი იყო იმისთვის, რომ რუსეთს განეგრძო და

წარმატებით დაესრულებინა ქვეყნის პოლიტიკური რეფორმა, ჩამოეყალიბებინა თანამედროვე დინამიური მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფდა რუსეთელების ღირსეულ ცხოვრებას და ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. იმ პერიოდის რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, გასაგები იყო, რომ მისი საგარეო პოლიტიკის მთავარ მიმართულებას „დასავლური“ მიმართულება წარმოადგენდა.

ფედერალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს, რომ გეოგრაფიული მდებარეობით, თავისი ისტორიული გამოცდილებით რუსეთი ევრაზიული სახელმწიფოა და მის გრძელვადიან ინტერესს შეესაბამება დასავლური და აღმოსავლეთ აზიური მიმართულებების წონასწორობის პოლიტიკა და არა მათი ერთმანეთთან დაპირისპირება. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში დისბალანსის ლიკვიდაციისა და მისი დივერსიფიკაციის მოთხოვნას, ესე იგი მისი ყველა მიმართულებით (აშშ, ევროპის ქვეყნები, ჩინეთი, ინდოეთი, იაპონია, ახლო და შუა აღმოსავლეთი, კანადა, აზია/წყნარი ოკეანეთის ქვეყნები) გააქტიურებას მოიითხოვდა ევგენი პრიმაკოვი, რომელმაც რუსეთის საგარეო პოლიტიკის ოთხი ძირითადი პრიორიტეტი გამოჰყო: პირველი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გაძლიერება; მეორე, ცენტრისკენ მსწრაფი ტენდენციების განმტკიცება ყოფილი სსრკ ტერიტორიაზე. თუმცა, აქ საუბარი არ უნდა ყოფილიყო 1991 წლამდე არსებული კავშირის აღდგენაზე; მესამე პრიორიტეტად პრიმაკოვმა დაასახელა საერთაშორისო მდგომარეობის სტაბილიზაცია რეგიონულ დონეზე. „ჩვენ ერთად გავიმარჯვეთ ცივ ომში გლობალურ დონეზე, არ ღირს ვაშინგტონის თუ მოსკოვის ერთ-ერთ გამარჯვებულ მხარედ გამოყოფა“. - აღნიშნავდა ე. პრიმაკოვი, - ახლა მთავარ მიმართულებას რეგიონულ დონეზე სტაბილიზაციის განმტკიცებაში წარმოადგენს დსთ და ბალკანეთი; მეოთხე პრიორიტეტია - საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება, რომელიც ხელს შეუშლიდა დაძაბულობის ახალი კერების შექმნას და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას. (8)

ამგვარად, რუსეთის ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური მიმართულებები სულ უფრო სტრუქტურირებული ხდებოდა.

პირველი, ფესვს იდგამდა და ვრცელდებოდა აზრი, რომ რუსეთის სტაბილიზაცია უზრუნველყოფილი იქნებოდა მისი გარემომცველი ქვეყნების სტაბილურობით. ამასთან დაკავშირებით რუსეთი დაკავდა კონფლიქტების მოგვარებით ყოფილ სოციალისტური სივრცეზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან - გაერო-სთან, ეუთო-სთან თანამშრომლობის დონეზე.

მეორე, პარალელურად იზრდებოდა იმის გაგებაც, რომ კონფლიქტების მოგვარების სფეროში, მაგალითად ბოსნიაში, ყოფილი სსრკ რესპუბლიკების რეგიონებში, საერთაშორისო ორგანიზაციები, უწინდებურად, არასაკმაოდ ეფექტიანად ფუნქციონირებდნენ. აქედანაა - საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული აზრი უსაფრთხოების დამოუკიდებელი იარაღის არსებობის აუცილებლობის შესახებ. ერაყზე აშშ-ის თავდასხმის შემდეგ რუსეთში გაიზარდა ამერიკის საგრეო პოლიტიკის კრიტიკა და გაძლიერდა ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მიერ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გლობალური მიმართულების გადახედვის მოთხოვნა.

მესამე, პარლამენტარების და საზოგადოებრივი აზრის მხრივ განსაკუთრებით მწვავე კრიტიკას დაექვემდებარა მკვეთრად ცვალებად მსოფლიოში უსაფრთხოების სფეროში საშუალო და გრძელვადიანი პოლიტიკის უქონლობა. მთავრობისაგან მოითხოვდნენ სწორედ კონკრეტული და მკაფიო საგარეო პოლიტიკის პროგრამის დოკუმენტურად წარმოდგენას.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის დამკვიდრების თავდაპირველი პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო კონსენსუსის არარსებობა მისი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის საკითხში. მთავარი დისკუსია გაჩაღდა გეოსტრატეგიული კურსის ორი მიმართულების - დასავლეთ ევროპულისა და აზია/წყნარი ოკეანის - ორ ვარიანტს შორის არჩევანზე.

ცენტრში, რომელიც ტრადიციულად დასავლეთზე იყო ორიენტირებული, საბოლოოდ იმ გაგებამდე მივიდნენ, რომ რუსეთი წარმოდგენილი უნდა იყოს წყნარი ოკეანიის ერთობაში, რადგან ეს ერთობა უკვე არსებობს და მსოფლიო ეკონომიკის და პოლიტიკის ცენტრად გარდაიქმნება. რუსეთი კი, წინა ათწლეულებში, რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესებისგან იზოლირებული აღმოჩნდა, აზიის ქვეყნებთან ურთიერთობები მეორე პლანზე გადაიტანეს. ამ პერიოდში რუსეთი, „ეკონომიკური დიპლომატიის პრიორიტეტებიდან“ გამომდინარე, მხოლოდ იაპონიისადმი ყურადღებით შემოიფარგლა, იმედოვნებდა მასთან ტერიტორიული დავის მოგვარებას და სამშვიდობო კელშეკრულების დადებას, რათა ამ საფუძველზე ყოველმხრივ გაეუმჯობესებინა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები. უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობას იაპონიასთან განიხილავდნენ არა როგორც აღმოსავლეთ აზიურ, არამედ უფრო დასავლურ დერჟავასთან, რომელსაც დიდი ეკონომიკური ძლიერება გააჩნდა. (9)

ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ელიტის ნაწილში საგარეო პოლიტიკის ხასიათით გამოწვეული უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. იმ დროის პრეზიდენტის საბჭოს წევრი ანდრანიკ მიგრანიანი რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხასიათი ოთხი კატეგორიით გამოხატა: ფაციფუცი, იმპროვიზაცია, არაკომპეტენტურობა და ამის შედეგად აქეთ-იქეთ ხტომა. (10)

90-იანი წლების მიწურულს რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები დაიძაბა, შექმნილი ვითარება და ამ ურთიერთობის პერსპექტივები სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა, ექსპერტები „ცივი ომის“ შესაძლო დაბრუნებაზეც კი ალაპარაკდნენ. გეორგი არბატოვის სიტყვებით რომ ითქვას, რუსებსაც და ამერიკელებსაც ცივი ომის დასრულებამ „შარვალჩახდილებს მოუსწრო“. (11)

ვლადიმირ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სხვა ქვეყნებთან მოსკოვის ურთიერთობის სტილი საგრძნობლად შეიცვალა.

რუსეთის პოლიტიკა კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას სულ უფრო აქტიური, უფრო თანმიმდევრული და პრაგმატული ხდებოდა.

თემა 2

საერთაშორისო ურთიერთობების რუსული სკოლა და მისი გავლენა რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე

რუსეთის ხედვები საერთაშორისო პოლიტიკაზე და საგარეო პოლიტიკურ პრაქტიკაში ამ ხედვების განსაკუთრებული მახასიათებლების არსის განსაზღვრა შესაძლებელია რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორიენტაციის შესახებ არსებული დებატების ანალიზით.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსული საგარეო პოლიტიკა სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებში ფორმირდებოდა მეტად პოლიტიზირებულ პირობებში, იდენტობის პოლიტიკის საფუძველზე.

1990-იანი წლების საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურულმა ცვლილებებმა კომპლექსური ხასიათი შესძინა თავად ქვეყნის შიგნით მიმდინარე შიდა რეფორმებს. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ კი უფრო ინტენსიური გახადა კონფლიქტი რუსულ საშინაო პოლიტიკაში კონსერვატორულ და რეფორმისტულ ჯგუფებს შორის. რუსეთის რეფორმისტი ელიტის წარმომადგენლების მისწრაფებები შეუთავსებელი აღმოჩნდა კონსერვატორული ჯგუფების ხედვებთან. ამ პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობა ძალზედ გაუარესდა. ორი განსხვავებული იდეოლოგიის მქონე ჯგუფებს შორის დისჰარმონიამ დღის წესრიგში ისევ დააყენა კითხვა: *„ვინ ვართ ჩვენ, რუსები?"*.

ფაქტია, ასევე, რომ რუსეთში საგარეო პოლიტიკის შესახებ თეორიული მსჯელობის დაწყებას ხელი შეუწყო 1990-იანი წლებისთვის ტოტალიტარული სისტემის რღვევამ და სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების გათავისუფლებამ კომუნისტური წნეხისგან. ოფიციალურად გაცხადებული მარქსისტული იდეოლოგიის გაქრობასთან ერთად რუს მეცნიერებს ინტელექტუალური წინსვლის საშუალება

მიეცათ. პოსტ-საბჭოთა პერიოდში წარმოქმნილი რუსული საერთაშორისო თეორიების ანალიზი გვეხმარება პასუხები გავცეთ რუსეთის იდენტობის ირგვლივ წამოშობილ კითხვებს.

რუსული იდენტობის შესახებ აქამდე არსებულ დებატებს პოლიტიკური ჯგუფების მიერ დასმულმა კითხვამ ახალი სიცოცხლე შესძინა. კითხვაზე სხვადასხვაგვარ პასუხს გვცემს სხვადასხვა რუსული პოლიტიკური ჯგუფი. იმისდა მიხედვით, თუ რომელი პოლიტიკური ძალა გვევლინებოდა დროთა მანძილზე სახელმწიფოს სათავეში, შესაბამისად იცვლებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკაც.

პრო-დასავლური ორიენტაციის მქონე ლიბერალი მინისტრის, ანდრეი კოზირევის მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა პატრიოტი ნაციონალისტების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ასეთ პატრიოტულ-ნაციონალისტურ წინააღმდეგობას საფუძველს უქმნიდა ერთი მხრივ ,,ნატო-ს" ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკა და მეორეს მხრივ, რუსეთის შიგნით კონსერვატორული ელიტის რეაქციული პასუხი ქვეყანაში გატარებული ლიბერალური რეფორმებისადმი. კოზირევისეული საგარეო დოქტრინის მიხედვით რუსეთის დასავლეთთან თანამშრომლობა სტრატეგიული ხასიათის მატარებელი იყო. რუსეთი გახლდათ სახელმწიფო, რომელიც დიდ ევროპულ ოჯახს უბრუნდებოდა.

კოზირევის მომდევნო მინისტრი, ევგენი პრიმაკოვი გახლდათ პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც სცადა ხელახლა განესაზღვრა რუსეთის ეროვნული ინტერესი. საამისოდ მან საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტის ცენტრი დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადაამისამართა. პრიმაკოვის მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა გულისხმობდა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან დისტანცირების პოლიტიკის შეცვლას მრავალმხრივი თანამშრომლობისა და ინტეგრაციის პოლიტიკით, თანამშრომლური ურთიერთობების დამყარებას აზიის სახელმწიფოებთან და სტრატეგიულ პარტნიორობას ჩინეთთან. თუმცა, მსგავსი საგარეო პრაქტიკა, ბევრის აზრით, ვერ იყო მთლად გამოსადეგი რუსეთის იდენტობისა და ეროვნული ინტერესის განსაზღვრის პოლიტიკაში.

საბოლოოდ, ვლადიმერ პუტინი გახლდათ ის პრეზიდენტი, რომელმაც იკისრა შეევსო სივრცე რუსულ საგარეო პოლიტიკაში ელიტების სასურველ წარმოდგენებსა და არსებულ, მკაცრ რეალობას შორის. პუტინის მმართველობის ქვეშ მყოფი რუსეთი საერთაშორისო პოლიტიკისადმი პრაგმატული მიდგომის გამტარებელი სახელმწიფოა. სახელმწიფოსთვის მისაღები ან მიუღებელი იდენტობა თუ ეროვნული ინტერესი კონკრეტული რეალისტური სიტუაციებისა და კონდიციის საფუძველზე განისაზღვრება.

რუსულ იდენტობის პოლიტიკაში სამი მთავარი თეორიული სკოლა შეიძლება გამოვყოთ: *<u>პრო-დასავლური ლიბერალური, პრაგმატული სტატიზმი და ტრადიციონალისტური ნაციონალიზმი.</u>* თანამედროვე ეტაპზე ამ სკოლების წარმომადგენლებს ვუწოდოთ: *ა) ატლანტიზმი/ვესტერნიზმი- ზაპადნიკები, ლიბერალები ბ) თანამედროვე რუსული რეალიზმის სკოლა- ევრაზიანისტები (სოციალ-დემოკრატები, გასუდარსტვენიკები, ძერჟავნიკები) და გ) თანამედროვე სლავიანოფილები- ცივილიზაციონისტები, პანსლავისტები.*

თითოეული თეორიული სკოლის წარმომადგენლები განსხვავებულად გვისახავენ რუსულ იდენტობასა და ასევე განსხვავებულად წარმოგვიდგენენ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ორიენტირებსაც.

<u>ატლანტიზმი- თანამედროვე ზაპადნიკები:</u> ამ თეორიული სკოლის წარმომადგენლების აზრით რუსეთი არის ევროპული სახელმწიფო, რომლის ისტორიული განვითარების თავისებურებები მისი გეოგრაფიული მდებარეობით, და აქედან გამომდინარე, გეოპოლიტიკური დაუცველობით არის განპირობებული.[3] თანამედროვე ზაპადნიკები რუსეთს ევროპული ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ. თეორიული სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენლის, მაქსიმევიჩის აზრით, თვით აზიის ჩრდილოეთ რეგიონებში რუსეთის ექსპანსიაც კი ევროპული ცივილიზაციის გეოგრაფიული არეალის გაფართოებას ემსახურებოდა. ზაპადნიკების აზრით, რუსეთისთვის სასურველია განვითარების ევროპული მოდელი და პარტნიორობა და ინტეგრაცია ევროპულ

ქვეყნებთან. განსხვავებით ცივილიზაციონისტური სკოლისგან, ატლანტისტები რუსეთის განსაკუთრებული მისიისა თუ განვითარების უნიკალური გზის შესახებ მოსაზრებას უარყოფენ. ისინი ხაზს უსვამენ იმ რელიგიურ თუ კულტურულ თავისებურებებს, რომლებიც უპრობლემოდ თავსდება ერთიანი ევროპული ცივილიზაციის ფარგლებში.*პოლიტიკურ დონეზე* მათთვის საერთაშორისო ინსტიტუტებსა და რეჟიმებში ინტეგრაცია სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტია. მათ მიერ აქცენტი შიდა და არა საგარეო საფრთხეებზე კეთდება.

<u>თანამედროვე ევრაზიანისტები:</u> ეს თეორიული სკოლა ჰალფორდ მაკინდერის ჰართლენდის თეორიას ეფუძნება. ევრაზიანისტების მოსაზრებით, რუსებს არასდროს ჰქონიათ ერი-სახელმწიფო და ისინი ყოველთვის იმპერიის ხალხნი იყვნენ. რუსი ერი კი სწორედ იმპერიის შენებისა და გაფართოების ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბდა. რუსეთისთვის იმპერიის მაშენებლის ფუნქციაზე უარის თქმა დამღუპველი აღმოჩნდება. ევრაზიანისტების მიხედვით, ევროპეიზმი რუსეთისთვის უტოპიაა, ხოლო რეალობას ევრაზიანიზმი წარმოადგენს. ევრაზიანისტები ხაზს ცივილიზაციათა შენარჩუნების ტენდენციას უსვამენ და მათი აზრით, ევროპა რუსეთისთვის სამომავლოდ კიდევ უფრო ჩაკეტილი გახდება. რუსეთი ამ თეორიული სკოლის წარმომადგენლების მიხედვით განსაკუთრებული ცივილიზაციის წარმომადგენელი ქვეყანაა, ამიტომ მისი დაპირისპირება დასავლეთთან გარდაუვალია. დასავლეთთან დაპირისპირების ფონზე კი რუსეთის მოკავშირეებად ისინი აზიის სახელმწიფოებს განიხილავენ. რამდენადაც საჭიროა რუსეთის იმპერიად შენარჩუნება, აუცილებელია ევრაზიულ პლაცდარმზე კონტროლის შენარჩუნება.*პოლიტიკურ დონეზე* ამ თეორიული სკოლის ქვე-მიმართულებების წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია ეროვნული უსაფრთხოება, სტაბილურობა და ეროვნული ინტერესები. ისინი აქცენტს საგარეო საფრთხეებზე აკეთებენ. მხარს უჭერენ რუსეთის დივერსიფიცირებულ საგარეო პოლიტიკასა და მრავალპოლუსიან საერთაშორისო სისტემას.

თანამედროვე სლავიანოფილები: პან-სლავიზმის თეორიული სკოლის წარმომადგენლებისთვის რუსეთი არის განსაკუთრებული, სლავურ-მართლმადიდებლური ცივილიზაციის მატარებელი სახელმწიფო, რაც განაპირობებს დასავლეთის ნეგატიურ დამოკიდებულებას მის მიმართ. რუსეთის პოტენციური მოკავშირეები სხვა სლავი და მართლმადიდებელი ხალხებია, ხოლო მოწინააღმდეგეებად დასავლურ და ისლამურ სამყაროს მიიჩნევენ. ცივილიზაციონისტებისთვის საბჭოთა კავშირის ტერიტორია იმ არეალს წარმოადგენდა, სადაც ჩამოყალიბდა რუსული სახელმწიფო. მათი აზრით, იმპერიის დაშლის შემდეგ რუსი ეთნოსი დანაწევრდა. რუსეთის ისტორიული მისია კი ამჯერად ამ ერთობის გაერთიანებას გულისხმობს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე კონტროლის შენარჩუნება და ერთიანი სახელმწიფოს აღდგენა ამ არეში მეტოქე ცივილიზაციის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. თანამედროვეობაში აღნიშნული თეორიის წარმომადგენლები რუსულ პოლიტიკაში დიდ როლს ვერ თამაშობენ. სლავი და მართლმადიდებელი ხალხების გაერთიანების იდეა სამომავლოდ ნაკლებად რეალური ჩანს.

თუკი თვალს გადავავლებთ რუსეთის საგარეო პოლიტიკას ისტორიულ დისკურსში საბჭოთა კავშირიდან დღემდე, ნათლად ჩანს, რომ ქვეყანა ყოველთვის არ ხელმძღვანელობდა ერთი და იმავე საგარეო პოლიტიკური კურსით. განსხვავებული თეორიები თამაშობდნენ დიდ როლს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში განსხვავებულ ეპოქებში. ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია რუსულმა საგარეო პოლიტიკამ მაინც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განიცადა. იმპერიალისტური ზრახვებისგან თავის დაღწევის შემდეგ კოზირევისა და ელცინის დროინდელი რუსეთი ლიბერალურ, დასავლურ ღირებულებებს მიესწრაფოდა. წარუმატებელი ლიბერალური კამპანიისა და საგარეო თუ შიდა ფაქტორების გავლენის შედეგად 1996 წელს კოზირევი დათხოვილ იქნა. იგი პრაგმატიკოსმა ევგენი პრიმაკოვმა ჩაანაცვლა. პრიმაკოვის უპირველეს ამოცანას იმ დროისთვის რუსეთის საერთაშორისო იმიჯის აღდგენა წარმოადგენდა. პრიმაკოვის ხელმძღვანელობით რუსეთის

საგარეო პოლიტიკა მაქსიმალურად ცდილობდა ტრადიციული ეროვნული ინტერესების გატარებას. ამასთან, უნიპოლარული მსოფლიოს დაგმობა რუსეთის საგარეო პოლიტიკური რიტორიკის განოყოფელ ატრიბუტად იქცა.

90-იან წლებში მარგინალიზებული ევრაზიანისტული იდეები რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის, პუტინის ბოლო საპრეზიდენტო ვადის ფარგლებში ევრაზიული ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ იდეოლოგიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. გრძელვადიან პერსპექტივაში ევრაზიანისტული იდეები რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი თეორიული ჩარჩო გახდება.

ერთ დროს მცირე ხნით პოპულარული ლიბერალური იდეები ახლა საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილის პოზიციას წარმოადგენს. მათი გავლენა საგარეო პოლიტიკაზე (თუნდაც საშინაოზე) პრაქტიკულად არ შეიმჩნევა.

პრაქტიკაში რუსეთის საგარეო პოლიტიკური აქცენტები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კეთდება, თუმცა ურთიერთობები აშშ-სთან და ევროკავშირთან საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგის ცენტრს წარმოადგენს. ცხადია, რუსეთი ნაკლებად მტრულადაა განწყობილი ევროპის მიმართ ახლა, თუმცა ცდილობს მისი ერთიანობის გახლეჩას. ამიტომაა, რომ ევროპულ სახელმწიფოებთან საქმეს ორმხრივ ფორმატში იჭერს ხოლმე

რომ ამოვიდეთ თეორიული ჩარჩოდან, რუსეთმა დაარწმუნა საკუთარი თავი, რომ ქვეყანაში დემოკრატიის გავრცელება და ლიბერალური ღირებულებები მხოლოდ ფასადია და ის რეალურად მეტოქის, დასავლეთის (აშშ-ს) გეოპოლიტიკური ამოცანების განხორციელებას ემსახურება.[7] ამდენად რუსული საგარეო პოლიტიკა რეალისტური სკოლაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო პოლიტიკას ქვეყნის მთავრობა პრაგმატული მიდგომით ახორციელებს და რეალურად იდეოლოგიურ სარჩულს დიდი გავლენა შეიძლება არც დაეკისროს.

თემა 3

რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციები

2000 წლის 28 ივნისს პრეზიდენტმა ვ. პუტინმა რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ახალი რედაქცია დაამტკიცა. ამ დოკუმენტში მოცემული იყო მსოფლიოს განვითარების ტენდენციების და კანონზომიერებების შეფასება, განსაზღვრულია რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები. არსებითად ამ დოკუმენტში, ესე იგი ვლადიმირ პუტინის საგარეო პოლიტიკურ დოქტრინაში, მოცემული პოსტულატები რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის მოდევნო რედაქციების საფუძველი გახდა, ამიტომაც მასზე შედარებით ვრცლად შევჩერდებით.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაცია ატარებს დამოუკიდებელ და კონსტრუქციულ საგარეო პოლიტიკას. ეს პოლიტიკა ეფუძნება თანმიმდევრულობას და განჭვრეტადობას, ურთიერთმომგებიან პრაგმატიზმს, ის მაქსიმალურად გამჭვირვალეა, ითვალისწინებს სხვა სახელმწიფოთა კანონიერ ინტერესებს და გამიზნულია ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებაზე. აღნიშნულია, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის განმასხვავებელი ნიშანია მისი დაბალანსებულობა. ეს განპირობებულია რუსეთის, როგორც უმსხვილესი ევრაზიული დერჟავის გეოპოლიტიკური მდებარეობით, რომელიც ითხოვს ყველა მიმართულებით ძალისხმევის ოპტიმალურ შეხამებას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ასეთი მიდგომა წინასწარ განსაზღვრავს მსოფლიოში უსაფრთხოების როგორც გლობალურ, ასევე რეგიონულ დონეზე შენარჩუნებისთვის რუსეთის პასუხისმგებლობას, გულისხმობს ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე საგარეო პოლიტიკური მოქმედების განვითარებას და ურთიერთშევსებას.

კონცეფციაში კონსტატირებულია, რომ თანამედროვე რუსეთი დაინტერესებულია საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილური

სისტემით, რომელიც დაფუძნებულია თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის პრინციპებზე. ასეთმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს მსოფლიო ერთობის თითოეული წევრის სანდო უსაფრთხოება პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის გლობალურ დონეზე დასახელებულია საერთაშორისო ურთიერთობებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მარეგულირებელი როლის შენარჩუნება და გაძლიერება. ეს გულისხმობდა გაეროს წესდების ფუძემდებლური პრინციპების განუხრელ დაცვას, მათ შორის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების სტატუსის შენარჩუნებას; გაეროს რაციონალური რეფორმირება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე მისი სწრაფი რეაგირების მექანიზმის განვითარების მიზნით, კრიზისების და კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და მოსაგვარებლად მისი შესაძლებლობების გაზრდა; გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, რომელიც მთავარი პასუხისმგებელია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში, ამ ორგანოსთვის მეტი წარმომადგენლობითობის მინიჭება მის შემადგენლობაში ახალი მუდმივი წევრების პირველ რიგში ავტორიტეტული განვითარებადი სახელმწიფოების ჩართვის ხარჯზე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაეროს რეფორმირება გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ვეტოს უფლების ურყევობიდან უნდა გამომდინარეობდეს.

საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემების განხილვისას ხაზგასმულია, რომ რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის ფაქტორის შემდგომი შემცირებისა და იმავდროულად სტრატეგიული და რეგიონული სტაბილურობის გაძლიერების მომხრეა. ნათქვამია, რომ ამ მიზნით რუსეთის ფედერაცია განუხრელად შეასრულებს მოქმედი ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს შეიარაღების შეზღუდვის და შემცირების სფეროში და მონაწილეობას მიიღებს ახალი ხელშეკრულებების შემუშავებასა და დადებაში,

რომლებიც უპასუხებენ როგორც რუსეთის ეროვნულ ინტერესებს, ასევე სხვა სახელმწიფოთა უსაფრთხოების ინტერესებსაც. ამის გარდა, რუსეთი, მითითებულია დოკუმენტში, ადასტურებს თავის განუხრელ კურსს სხვა სახელმწიფოებთან ერთად ბირთვული იარაღის, მასობრივი მოსპობის სხვა იარაღების და მათი გადატანის საშუალებების გავრცელების აღსაკვეთად. რუსეთის ფედერაცია - შესაბამისი საერთაშორისო რეჟიმების გაძლიერების და განვითარების, მათ შორის რაკეტების და სარაკეტო ტექნოლოგიების გაუვრცელებლობისთვის კონტროლის გლობალური სისტემის შექმნის, მტკიცე მომხრეა, მას განზრახული აქვს მტკიცედ დაიცვას ბირთვული გამოცდების საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულებით ნაკისრი თავისი ვალდებულებები და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მოუწოდებს მასთან მიერთებისკენ.

კონცეფციის თანახმად რუსეთი შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარების ქმედით ინსტრუმენტად თვლიდა საერთაშორისო მშვიდობისმყოფელობას და გაეროს წესდების პრინციპებთან მკაცრი შესაბამისობით მისი სამართლებრივი საფუძვლების გაძლიერების მომხრეა. მხარს უჭერს რა გაეროს სწრაფი ანტიკრიზისული რეაგირების პოტენციალის ამაღლების და მოდერნიზაციის ღონისძიებებს, რუსეთის ფედერაციას განზრახული აქვს განაგრძოს აქტიური მონაწილეობა მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციებში, რომლებიც ტარდება როგორც გაეროს, ასევე რეგიონული და სუბრეგიონული ორგანიზაციების ეგიდით. ამგვარი მონაწილეობის აუცილებლობა და ხარისხი თანაბარზომიერი იქნება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებისა და საერთაშორისო ვალდებულებებისა. რუსეთი იქიდან ამოდის, რომ მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოა უფლებამოსილი გასცეს სანქციები მშვიდობის იძულების მიზნით ძალის გამოსაყენებლად .

ამრიგად, ამ კონცეფციიდან კარგად ჩანდა, რომ მშვიდობისმყოფელობის და უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლების შენარჩუნებით, რუსეთი თავისი გავლენის კონტროლის მექანიზმებს იცავდა.

საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტერორისტული მუქარისადმი წინააღმდეგობის გაწევის გაძლიერების აუცილებლობას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმთან, რომელსაც ძალუძს ვითარების დესტაბილიზება არა მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოებში, არამედ მთელს რეგიონებში, რუსეთის უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური ამოცანაა. რუსეთის ფედერაცია ამ სფეროში სახელმწიფოთა ურთიერთქმედების გაძლიერებისთვის ღონისძიებების შემდგომი შემუშავების მომხრეა. რუსეთს ნებისმიერი სახელმწიფოს პირდაპირ მოვალეობად მიაჩნდა ტერორისტული ხელყოფისგან თავისი მოქალაქეების დაცვა, საკუთარ ტერიტორიაზე ისეთი ქმედების აღკვეთა, რომლის მიზანია სხვა ქვეყნების მოქალაქეების და ინტერესების საწინააღმდეგოდ ამგვარი აქტების ორგანიზება, მათ შორის ტერორისტებისთვის თავშესაფრის მიცემის დაუშვებლობაც.

იმის გამო, რომ ტერორიზმი ხშირად გადახლართულია ზოგად სისხლის სამართლებრივ დანაშაულობასთან, რუსეთი, ხაზგასმულია დოკუმენტში, მიზანმიმართულად წინააღმდეგობას გაუწევს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას და ორგანიზებული დანაშაულობის ზრდას, მრავალმხრივ ფორმატში ითანამშრომლებს სხვა სახელმწიფოებთან, უწინარეს ყოვლისა სპეციალიზირებული საერთაშორისო ორგანოების ფარგლებში, და ორმხრივ დონეზეც.

კონცეფცია-2000-ის მიხედვით რუსეთის საგარეო პოლიტიკა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში უნდა უზრუნველყოფდეს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის ხელსაყრელ საგარეო პირობებს. ამისთვის აუცილებელია:

- *ქვეყანაში საბაზრო ტიპის ეკონომიკის ფორმირება და განახლებულ საგარეო ეკონომიკურ სპეციალიზაციაში და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში რუსეთის ფედერაციის მონაწილეობისაგან მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მიღება;*

• რისკების მინიმიზება მსოფლიო ეკონომიკაში რუსეთის შემდგომ ინტეგრაციისას ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით;

• რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიანი მონაწილეობის ხელშეწყობა საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, მათში ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვა; სამამულო ექსპორტის გაფართოების და იმპორტის რაციონალიზაციის, ასევე საზღვარგარეთ რუსული მეწარმეობის ხელშეწყობა, მისი ინტერესების მხარდაჭერა საგარეო ბაზარზე და სამამულო მეწარმეების და ექპორტიორების დისკრიმინაციისთვის წინააღმდეგობის გაწევა;

• უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა პირველ რიგში რუსეთის ეკონომიკის რეალურ სექტორსა და პრიორიტეტულ სფეროებში; საზღვარგარეთ რუსული საკუთრების დაცვის და ოპტიმალური გამოყენების უზრუნველყოფა;

• რუსეთის საგარეო ვალების ქვეყნის რეალურ შესაძლებლობებთან შესაბამისობაში მოყვანა, სახსრების მაქსიმალური დაბრუნების მიღწევა უცხოური სახელმწიფოების კრედიტების ანგარიშში; რუსეთის კანონმდებლობის და საერთაშორისო ხელშეკრულებით-სამართლებრივი ბაზის კომპლექსური სისტემის ფორმირება ეკონომიკურ სფეროში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთი მზად უნდა იყოს თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად ყველა არსებული ეკონომიკური ბერკეტების და რესურსების გამოყენებისათვის.

ჰუმანიტარულ სფეროში პრიორიტეტულ ამოცანად დასახელდა საზღვარგარეთ რუსეთის მოქალაქეების და თანამემამულეების უფლებების და ინტერესების დაცვა.

რეგიონში რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად გამოცხადდა კეთილმეზობლური ურთიერთობების და სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება დსთ მონაწილე სახელმწიფოებთან. კონცეფცია აღნიშნავდა თანამეგობრობის ფარგლებში სხვადასხვა სისწრაფით და სხვადასხვა დონით ინტეგრაციის ხასიათს, აქედან გამომდინარე რუსეთი განსაზღვრავდა ცალკეულად დსთ თითოეულ

ქვეყანასთან თავისი ურთიერთობების პარამეტრებს. მოცემული კონცეფციით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა დსთ წევრ სახელმწიფოებში კონფლიქტების მოსაგვარებლად ერთობლივ ძალისხმევას, თანამშრომლობის განვითარებას სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში, უსაფრთხოების სფეროში, საერთაშორისო ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლაში. სერიოზული აქცენტი გაკეთდა ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაზე, მათ შორის თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნაზე, ბუნებრივი რესურსების ერთობლივად რაციონალური გამოყენების პროგრამის რეალიზაციაზე.

კონცეფცია-2000-ში ტრადიციულად მნიშვნელოვნად ჩაითვალა ურთიერთობები ევროპის ქვეყნებთან. დოკუმენტის მიხედვით რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზანს ევროპის მიმართულებით წარმოადგენდა საერთოევროპული უსაფრთხოების და თანამშრომლობის სტაბილური და დემოკრატიული სისტემის შექმნა. ამასთან დაკავშირებით, კონცეფციაში ვრცლად იყო განხილული რუსეთის ფედერაციის ურთიერთობები ევროპის კონტინენტზე არსებულ უმნიშვნელოვანეს საერთაშორიო ინსტიტუტებთან - ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (ეუთო), ევროპის საბჭოსთან, ევროპის კავშირთან, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატო). დახასიათებულია თითოეული ორგანიზაციის როლი ურთიერთობების ახალი რეგიონული სისტემის ფორმირებაში და შეფასებულია მათთან რუსეთის ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები. აღნიშნულია, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთქმედება, პირველ რიგში ისეთ გავლენიან ქვეყნებთან, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია და საფრანგეთი, სერიოზული რესურსია ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ზრდისათვის ევროპულ და მსოფლიო საქმეებში რუსეთის მიერ თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად.

აშშ-თან მიმართებით პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა თანამშრომლობა განიარაღების, შეიარაღებაზე კონტროლის და მასობრივი მოსპობის იარაღის გაუვრცელებლობის, ასევე ყველაზე საშიში

ლოკალური და რეგიონული კონფლიქტების თავიდან აცილების და მოგვარების პრობლემებთან დაკავშირებით.

დოკუმენტის მიხედვით რუსეთის საგარეო პოლიტიკაში სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის მქონედ ითვლებოდა აზია. კონცეფციაში აღნიშნულია, რომ ეს განპირობებულია ამ დინამიურად განვითარებადი რეგიონისადმი რუსეთის პირდაპირი კუთვნილებით, აგრეთვე ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკური წამოწევის აუცილებლობით. ნავარაუდევი იყო რუსეთის მონაწილეობის გააქტიურება აზია/წყნარი ოკეანის რეგიონის ძირითად ინტეგრაციულ სტრუქტურებში - აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა უსაფრთხოების რეგიონულ ფორუმში (ასეანი), შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში.

აზიაში რუსეთის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ცხადდებოდა მეგობრული ურთიერთობების განვითარება წამყვან აზიურ სახელმწიფოებთან, პირველ რიგში ჩინეთთან და ინდოეთთან. მსოფლიო პოლიტიკის საკვანძო საკითხებისადმი რუსეთის და ჩსრ-ის პრინციპული მიდგომების თანხვდენა - რეგიონული და გლობალური სტაბილურობის საფუძველია. ჩინეთთან ურთიერთმომგებიან თანამშრომლობაში მთავარ ამოცანად დასახული იყო - ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთქმედების მასშტაბების პოლიტიკურ ურთიერთობების დონესთან შესაბამისობაში მოყვანა. ამავდროულად რუსეთი ესწრაფვოდა ტრადიციული ურთიერთობების გაღრმავებას ინდოეთთან, სამხრეთ აზიაში არსებული პრობლემების დაძლევასა და რეგიონში სტაბილურობის განმტკიცებას.

დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ რუსეთის ფედერაცია იაპონიასთან ურთიერთობების მყარი განვითარების, კეთილმეზობლობის მომხრეა, რაც ორივე ქვეყნის ეროვნულ ინტერესებშია. არსებული მოლაპარაკებითი მექნიზმების ფარგლებში რუსეთი განაგრძობს ორ სახელმწიფოს შორის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების გაფორმების ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების ძიებას.

კონცეფციის ავტორები პრინციპული მნიშვნელობას ანიჭებდნენ რუსეთისთვის სიტუაციის საერთო გაჯანსაღებას აზიაში, სადაც ძლიერდება რიგი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ამბიციები, ჩქარდება შეიარაღების ზრდა, კვლავ შენარჩუნებულია დაძაბულობის და კონფლიქტების კერები. რუსეთის ფედერაციის შეშფოთებას იწვევდა ვითარება კორეის ნახევარკუნძულზე, რასთან დაკავშირებითაც რუსეთი ესწრაფვოდა კორეის პრობლემის გადაწყვეტაში თანსწორუფლებიან მონაწილეობას, მხარს უჭერდა ორივე კორეულ სახელმწიფოსთან დაბალანსებულ ურთიერთობებს.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთის ეროვნულ ინტერესებს პირდაპირ ეხება და დსთ სამხრეთ საზღვრების უსაფრთხოებას ემუქრება ავღანეთში გაჭიანურებული კონფლიქტი. სხვა სახელმწიფოებთან ერთად რუსეთი ძალისხმევას გასწევს ავღანეთის პრობლემის პოლიტიკური მოგვარებისთვის, არ დაუშვებს ამ ქვეყნიდან ტერორიზმის ექსპორტს.

კონცეფციაში განხილულია ის ამოცანები, რომლებიც რუსეთის საგარეო პოლიტიკას უნდა გადაეწყვიტა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობებში, აღნიშნულია აფრიკული კონტინენტის ქვეყნებთან, ლათინური ამერიკის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გაფართოების აუცილებლობა.

ამგვარად, რუსეთის საგარეო პოლიტიკა გლობალურ ხასიათს ინარჩუნებდა. მის პრიორიტეტებს შორის კვლავაც რჩებოდა ურთიერთობები თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნების და რეგიონების უმრავლესობასთან.

2007 წლის 10 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი პროგრამული სიტყვით გამოვიდა 43-ე საერთაშორისო კონფერენციაზე მიუნხენში, რომელიც უსაფრთხოების საკითხებს იხილავდა. მაშინვე მსოფლიო საზოგადოებრიობამ ეს გამოსვლა შეაფასა როგორც დასავლეთისათვის ცივი ომის ოფიციალური გამოცხადება და ფულტონში ჩერჩილის სიტყვის ანალოგიად აღიქვა. ასეა თუ ისე, პუტინის გამოსვლა მართლაც შევიდა ისტორიაში როგორც შემობრუნების წერტილი საერთაშორისო პოლიტიკაში, მან სათავე დაუდო რუსეთის

უფრო აქტიურ საგარეო პოლიტიკას, რაც, საბოლოო ანგარიშით, საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოს ომით გამოიხატა. ზოგიერთმა ექსპერტმა დაიწყო გამოთქმის „ახალი ცივი ომი“ გამოყენება.

რა იყო რუსეთის პრეზიდენტის ამ გამოსვლის კვინტესენცია?

პუტინმა გაილაშქრა ერთპოლუსიანი მსოფლიოს იდეის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ხედვას. რუსეთის პრეზიდენტმა მსოფლიოში დაძაბულობისათვის დასავლეთს დასდო ბრალი, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც, მისი აზრით, თავის სამართლებრივ ნორმებს და მორალურ-პოლიტიკურ ღირებულებებს სხვა ქვეყნებს ძალით ახვევდა თავს.

მისი სიტყვებიდან შეიძლებოდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ რუსეთი ამ ღირებულებებს და ნორმებს არ იზიარებდა, ამერიკულ ინტერესებს თვისი ინტერესებისადმი დაპირისპირე-ბულობად აღიქვამდა, აშშ-ს მსოფლიო ლიდერობას არ იღებდა და მზად იყო გაერთიანებულიყო ყველასთან, ვინაც კი მის წინააღმდეგ იბრძოდა.

პუტინმა მხარდაჭერა დაუდასტურა აბსოლუტურ სუვერენიტეტს და სახელმწიფოთა საქმეებში ჩაურევლობას, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ფუძემდებლურ პრინციპს. „არავინ უკვე თავს უსაფრთხოდ არ გრძნობს, იმიტომ, რომ არავის არ შეუძლია ამოეფაროს საერთაშორისო სამართალს, როგორც ქვის კედელს““, - აღნიშნა რუსეთის ლიდერმა.

„ასეთი პოლიტიკა, რა თქმა უნდა, წარმოადგენს შეიარაღების ზრდის კატალიზატორს. ძალის ფაქტორის დომინირება გარდუვალად ასაზრდოებს ქვეყნების ლტოლვას მასობრივი განადგურების იარაღის დაუფლებისაკენ““, - დაუმატა მან. ზოგიერთმა დამკვირვებელმა ამ სიტყვებში დაინახა ირანის და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ამბიციების არაპირდაპირი გამართლება.

შეუზღუდველი ეროვნული სუვერენიტეტისა და გლობალიზაციის მომხრეთა შორის დავა - ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში. ამ უკანასკნელის მომხრეები მიუთითებენ, რომ „ქვის კედლებს“ ეფარებიან უპასუხისმგებლო დიქტატორული

რეჟიმები, რომლებიც მეზობლებს ემუქრებიან და თავის ქვეშევრდომთა უფლებებს ლახავენ. მეორეს მხრივ, გლობალიზაციას ბევრი აღიქვამს როგორც ამერიკანიზაციას, ხოლო საერთაშორისო ინსტიტუტებს - როგორც აშშ-ს გავლენის იარაღს.

ამ ლოგიკის შესაბამისად, ვ. პუტინმა გააკრიტიკა ეუთო, რომელსაც, მისი სიტყვებით რომ ითქვას, „ცდილობენ აქციონ სხვა ქვეყნების მიმართ ერთი ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის საგარეო პოლიტიკური ინტერესების უზრუნველყოფისათვის ვულგარულ ინსტრუმენტად“. რატომღაც რუსეთის პრეზიდენტს არ გაახსენდა, რომ ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელსაც ეუთო-ში იღებენ, კონსენსუსის პრინციპს ეყრდნობა. პუტინის კრიტიკა შეეხო ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების გამოყენებასაც, რომლებიც „ფორმალურად დამოუკიდებელნი არიან, მაგრამ მიზანმიმართულად ფინანსდებიან, მაშასადამე კონტროლსქვეშ არიან“, „...ჩვენ ამას განვიხილავთ როგორც უცხო სახელმწიფოთა ინსტრუმენტს ჩვენი ქვეყნის მიმართ პოლიტიკის გატარებაში“, - ხაზი გაუსვა პუტინმა.

დასავლეთის რეაქცია პუტინის გამოსვლაზე ძალზე ნეგატიური იყო.

ვინაიდან რუსეთში მომდევნო 2008 წელს პრეზიდენტის არჩევნები უნდა გამართულიყო მიუნხენის სიტყვა ბევრმა ვლადიმირ პუტინის პოლიტიკურ ანდერძად მიიჩნია. აშშ სადაზვერვო სამსახურის დირექტორმა მაიკლ მაკკონელმა მაშინ განაცხადა, რომ „მოსკოვი ნავთობით, გაზით და ენერგომატარებლებზე მაღალი ფასით დაბერილ კუნთებს ათამაშებს“, „რუსეთი შეიარაღდა ძლიერი ხელის ტაქტიკით მეზობელი სახელმწიფოების მიმართ“. მაკკონელმა პუტინის მიუნხენის გამოსვლის კომენტირებისას აღნიშნა: „პუტინი უჯერებს თავისი გარემოცვის უაღრესად კონსერვატიულ პირებს, რომლებიც ეჭვით ეკიდებიან შეერთებულ შტატებს. ისინი საქმეს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ჩვენ გვსურდეს რუსეთის ჩაძირვა ანდა მისი შეკავება ჩვენი ინტერესებისათვის“. (12) რუსეთის პრეზიდენტის მიუნხენის გამოსვლის

ძირითად იდეებს იცავდა და პრაქტიკულად ატარებდა ცხადია საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. (13)

2007 წლის მარტში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ (სსს) რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვა გამოაქვეყნა. (14) დოკუმენტი 60 გვერდიანი იყო და ის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის 2006 წლის 27 ივნისის დავალებით, (15) საგარეო საქმეთა სამინისტროს (სსს), სახელმწიფო დუმის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, სამეცნიერო წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით იყო შედგენილი, მიმოხილვა საერთაშორისო ურთიერთობათა იმდროინდელი მდგომარეობის შეფასების, ძირითად საფრთხეთა, კონფლიქტებისა და უსაფრთხოების პრობლემათა ანალიზს შეიცავდა.

მიმოხილვაში, ბუნებრივია, გარკვეული ადგილი საქართველოსაც ეთმობოდა. (16) იქ ეწერა, რომ „საქართველოს ხელისუფლებისა და პირადად მისი მეთაურის, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკა ეთნიკურ ნაციონალიზმზეა აგებული და დასავლურ ქვეყანათა, უწინარესად კი, აშშ-ის დახმარებით სარგებლობს. თბილისი ატარებს ისეთ ხაზს, რომელიც არსებული სამშვიდობო და სამოლაპარაკებო ფორმატის ნგრევისკენაა მიმართული, რის შედეგადაც სიტუაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ირგვლივ კიდევ უფრო იძაბება, საქართველოს იმედი აქვს, რომ შეძლებს ამ პრობლემებისადმი საერთაშორისო საზოგადოებას უფრო დიდი ყურადღება მიაქცევინოს, „გაყინული კონფლიქტების“ თემატიკაში ჩართოს ევროატლანტიკური სტრუქტურები და ამით დააჩქაროს დარეგულირება საკუთარ პირობებზე, ანუ საბოლოო ჯამში შთანთქას აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.“

ამასთან, დოკუმენტის შემდგენლები აღნიშნავდნენ, რომ ქართული მხარე არ წყვეტს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ანტირუსულ კამპანიას, თუმცა ბოლო დროს ცეცხლი აშკარად შენელებულია. საქართველო ცდილობს, თავის მიზნებში გამოიყენოს საერთაშორისო ორგანიზაციების პოტენციალი, „ცდილობს რა, რუსეთს აჰკიდოს პასუხისმგებლობა თავის ყველა, საგარეო თუ საშინაო ხასიათის

პრობლემებზე, და ამით გაამრავლოს ქვეყნის შიგნით „ქანჩის მოჭერა“, პოლიტიკურ ცხოვრებაში ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერება.“

„ასეთი შეფასების დამადასტურებელია რუსეთის საკითხზე სამმხრივი კომისიის 2006 წლის ივლისის მოხსენების დასკვნებიც, - ნათქვამია დოკუმენტში, - სადაც სახელდობრ, აღნიშნულია, რომ “ საქართველო შორსაა იმისგან, რომ იყოს დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შუქურა“, იმყოფება ძალზე სუსტ და არასტაბილურ მდგომარეობაში და მას მართავს უკიდურესად ექსცენტრული ხელმძღვანელობა“. ავტორთა აზრით, „დასავლეთი არ უნდა ახალისებდეს მცდარ აზრს, რომ საქართველოს პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებით“.

სსს ურჩევდა რუსეთის ხელისუფლებას, „ტფილისთან მიმართებაში პრინციპული ხაზის გატარებას. მაგრამ მთავარი აქ „იმ ქმედებათაგან თავის დაზღვევაა, რომლებიც ზიანს აყენებს ქართველი ხალხის გრძელვადიან ნაციონალურ ინტერესებს.“

მიმოხილვის ავტორთა აზრით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით უნდა მოგვარდეს. ამასთან რუსეთმა თანმიმდევრულად უნდა დაიცვას ის თეზისი, რომ „კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის მოხვეჭას პრეცენდენტული ხასიათი უნდა ჰქონდეს.“

საქართველო დოკუმენტში იქაც იყო ნახსენები, სადაც შემდგენლები რუსეთსა და ნატოს შორის არსებულ ურთიერთობებზე საუბრობენ და ამ ურთიერთობათა გართულებაში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ადანაშაულებენ. როგორც მიმოხილვის ტექსტიდან ირკვევა, ამ „გართულების“ არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნატო კვლავაც მიილტვის აღმოსავლეთისკენ და დაჩქარებული ტემპებით ცდილობს თავის რიგში უკრაინისა და საქართველოს მიღებას.

რუსეთის სსს-ში აღნიშნავდნენ, რომ ნატოს ურთიერთობას განსაკუთრებული ადგილი უკავია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. ამასთან მოსკოვი იქიდან ამოდის, რომ „ალიანსი კვლავაც რჩება იმ

გეოპოლიტიკურ და ძალოვან ფაქტორად, რომელიც ჩვენს საზღვრებთან უსაფრთხოების სფეროზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს.“

რუსული დიპლომატია ფიქრობდა, რომ პრინციპული მნიშვნელობა ექნება ალიანსის პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესს, რომელიც, „საყოველთაო აზრით, დამუხრუჭდა.“ რუსეთის დამოკიდებულება ნატოს ტრანსფორმაციისადმი იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ რამდენად დაიცავდა ნატო საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და რამდენად გაითვალისწინებდა - არა სიტყვით, არამედ საქმით - რუსეთის უსაფრთხოების ინტერესებს. „ნატოს გადაქცევა დახურული სამხედრო ბლოკიდან უფრო თანამედროვე ორგანიზაციად, რომელიც უსაფრთხოების არა მოჩვენებითი, არამედ რეალური საფრთხეებით იქნება დაკავებული, ხელს შეუწყობდა საერთაშორისო და ევროპული სტაბილურობის გამყარებას“ - ნათქვამი იყო დოკუმენტში.

საერთოდ კი მიმოხილვის უმეტესი ნაწილი ამერიკის საგარეო პოლიტიკის განქიქებას წარმოადგენდა, თანაც - ზოგჯერ ისე, რომ საკუთრივ ადრესატი დასახელებული არც იყო. „ბოლო წლების მოვლენები იმაზე მეტყველებს, რომ მსოფლიოს - პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ამა თუ იმ საერთაშორისო პრობლემის გადასაწყვეტად - თავს ძალის ფაქტორის ჰიპერტროფირებულ მნიშვნელობას ახვევენ“ - ვკითხულობთ იქ. ნართაულად ვაშინგტონსვე ბრალდებოდა „დასავლური გავლენის სფეროს ზრდის გზით მსოფლიო პოლიტიკაში გამყოფი ხაზების შენარჩუნება.“

რუსეთი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ამერიკის მცდელობა, ერთპოლარული სამყარო შექმნას, განწირულია. „მითი ამ ერთპოლარული სამყაროს შესახებ ერაყში დასამარდა - წერია მიმოხილვაში - თავად მოდელი აღმოჩნდა გამოუსადეგარი, რამდენადაც მის საფუძველში არ დევს და შეუძლებელია კიდეც იდოს თანამედროვე ცივილიზაციის ზნეობრივი დვრიტა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ერთპიროვნულ ლიდერობაზე პრეტენზიებს არც ამგვარი პრეტენზიის მქონე სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკრი რესურსები შეესატყვისება.“

დოკუმენტის ავტორები თვლიდნენ, რომ შექმნილ ვითარებაში იზრდება აუცილებლობა წამყვან სახელმწიფოთა კოლექტიური ლიდერობისა. ასეთ სახელმწიფოებს, ბუნებრივია, რუსეთიც ეკუთვნის. შედეგად: დოკუმენტის შემდგენლები მოგვიწოდებდნენ, „დავფიქრდეთ გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურაზე.“

უკანასკნელი წლების უმთავრესი მიღწევა - რუსეთის ახლადმოპოვებული საგარეოპოლიტიკური დამოუკიდებლობაა - ასკვნის რუსული დიპლომატია. მისი აზრით, გაღონიერებული რუსეთი საერთომსოფლიო პროცესების განვითარების მსხვილ პოზიტიურ ფაქტორად იქცა.

მერე კი საუბარი შეეხება სხვა ორგანიზაციებთან და რეგიონებთან ურთიერთობას. განსაკუთრებული ადგილი დაეთმო გაეროს, ნატოს, ეუთოსა და ევროპის საბჭოს. ეუთოზე საუბრისას მიმოხილვის ავტორები აღნიშნავდნენ, რომ „აშშ და სხვა დასავლური ქვეყნები ცდილობენ, ეუთოს საქმიანობა თავისი საგარეოპოლიტიკური ინტერესების უზრუნველყოფის ცალმხრივ ინსტრუმენტად გადააქციონ.“

ამერიკასა და საერთოდ დასავლეთთან შედარებით დოკუმენტში კონტრასტულად არის გამოკვეთილი ჩინეთი და აღნიშნული იყო, რომ ამ ქვეყანასთან ურთიერთობა ნდობის კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა და მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა. სხვა ქვეყნებსა და რეგიონებს, ნაკლები ყურადღება ექცევა.

ეს მიმოხილვა, მრავალწილად პუტინის მიერ 2007 წლის 10 თებერვალს მიუნხენში წარმოთქმულ თეზისთა გადამღერება იყო. პუტინის დოქტრინის საფუძველია - ამერიკული დომინირების მიუღებლობა, დომინირებისა, რომელსაც რუსეთი თავის მზარდ ენერგეტიკულ ილაჯსა და ინტელექტუალურ ლიდერობას უპირისპირებდა.

2007 წლის მიუნხენის გამოსვლაში, პუტინის ევროპელ მმართველ ელიტას ამერიკაზე შეტევა აუწყა. ეს შეტევა ნიშნავდა შემობრუნებას - ევროპაში ინტეგრაციის პოლიტიკიდან (ხაზგასმით ვამბობ -

კრემლისეული პირობებით) საწინააღმდეგო მხარისაკენ და დასავლეთთან ბარიერების აღმართვისაკენ.

2008 წელს რუსეთის პრეზიდენტი გახდა ვ. მედვედევი. მედვედევის მმართველობაც ერთგვარი პაუზა იყო და დაწყებული ტენდენცია ვერ შეაჩერა. მედვედევიც მიუნხენის ხაზს ატარებდა, 2008 წლის აგვისტოში პატარა საქართველოზე რუსეთის „ძლევამოსილი“ გალაშქრება ანდა იუშჩენკოს მისამართით მუქარებიც ხომ ამის დასტურია.

2008 წლის ივლისში გამოქვეყნდა რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ახალი რედაქცია.

გამოვყოთ საინტერესო ადგილები და 2008 წლის კონცეფცია შევადაროთ 2000 წლის კონცეფციას. როცა მოსკოვი „მუხლებზე წამოდგომის“ დოქტრინას მისდევდა და (როგორც ღარიბი ნათესავი ევროპელი ხალხის მდიდარ ოჯახში) მეტ-ნაკლებად თანასწორ პირობებში დასავლეთთან ინტეგრაციის ფრთხილი ილუზიებით ჯერ კიდევ არ იწუხებდა თავს. მოსკოვი და რუსეთის ფედერაცია ცდილობდნენ რაიმენაირად ამ ოჯახში თავისთვის საუკეთესო ადგილი მოეკვარახჭინებინათ. იმ პერიოდში რუსეთს სჯეროდა დსთ-ს მოკავშირეთა უღალატობისა და დარწმუნებული იყო პოსტსაბჭოთა სივრციდან დასავლეთის დისტანცირებაში. არ გასულა ამ თორმეტი წლის ნახევარიც კი და აღმოჩნდა, რომ ევროპა, რომლისკენაც რუსეთი მოძრაობდა, იმდენად ახლო აღმოჩნდა, რომ უხერხულობაში ჩავარდა. აღმოჩნდა, რომ თავად რუსეთთან ევროპა და დასავლეთი თავს კარგად ვერ გრძნობდნენ და მათი სამყაროც არც ისე მსგავსი ყოფილა, როგორც მოსკოვსა და დასავლეთის დედაქალაქებში ფიქრობდნენ. აღმოჩნდა, რომ პოსტსაბჭოური პოლიტიკური სიმპათია და ურთიერთგაგება ამოწურულა და გზასაყარი წარმოშობილა, რომლის შემდეგაც ზოგიერთი მახლობელი და პატარა მეზობელი თურმე ესოდენ რთულ „მოკავშირედ“ ქცეულა, დიდსა და შორეულ მოკავშირეებთან შედარებითაც კი. აღმოჩნდა, რომ ყველას თავისი, საკუთარი ინტერესები ჰქონია, თუმცა ურთიერთობის ტემპერატურაზე გავლენას მაინც კაპიტალი ახდენდა, ის აახლოვებდა და ერთ საერთო მნიშვნელზე დაჰყავდა ყოველგვარი უთანხმოება. აღმოჩნდა,

რომ რუსეთი თავისი გზით მიდის, მაგრამ ასევე, მის გვერდით პარალელურად თავისი გზით მიდის ზოგიერთი მისი მეზობელიც.

ყველაზე მეტად მოსკოვი იმან გააკვირვა, რომ „ოდესმე შორეული მომავლისთვის“ ნავარაუდევი დასავლეთის გაფართოება საბჭოთა იმპერიის სივრცეში ესოდენ სწრაფი და მისთვის უსიამოვნო აღმოჩნდა.

ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში. მაგრამ კონცეფცია-2008 უხალისოდ აღიარებდა ახალ გამოწვევებს, თანაც უფრო სტილისტურად. მაგალითად, ვეღარ ნახავთ სიტყვას „დერჟავა“, სამაგიეროდ გაჩნდა - „თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი გავლენიანი ცენტრი“. „მემკვიდრეობა იგრძნობა“-ო, ასე კონცეფტუალურად გვმოძღვრავდნენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი მოხელეები. ქართული ანდაზის არ იყოს „გინდ გახიე, გინდ გაფხრიწე - ორივე ერთია“.

საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზნები 2000 წლის კონცეფციაში

• *ქვეყნის საიმედო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მისი სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და განმტკიცება;*

ეს მიზანი ცხადია 2008 წლის კონცეფციაში უცვლელია

• *მსოფლიო ერთობაში ქვეყნის მტკიცე და ავტორიტეტული პოზიციების უზრუნველყოფა , რომლებიც ყველაზე უფრო უპასუხებს რუსეთის ფედერაციის, როგორც დიდი დერჟავას, როგორც თანამედროვე მსოფლიოს და ერთ-ერთი გავლენიანი ცენტრის ინტერესებს და რომლებიც აუცილებელია მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, ინტელექტუალური პოტენციალის ზრდისათვის;*

2008 წლის კონცეფციაში უცვლელია

• *ზემოქმედება ზოგადმსოფლიურ პროცესებზე სტაბილური, სამართლიანი და დემოკრატიული მსოფლიო წესრიგის ფორმირების მიზნით, რომელიც აგებული იქნება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმებზე, მათ შორის უწინარეს ყოვლისა გაერო-ს წესდების მიზნებსა და პრინციპებზე, სახელმწიფოებს შორის თანასწორუფლებიან და პარტნიორულ ურთიერთობებზე;*

კონცეფცია-2008-ში დამატებულია ფრაზა: „გაერო-ს როგორც ძირითადი ორგანიზაციის მაკოორდინირებელი როლით, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო ურთიერთობებს და უნიკალური ლეგიტიმურობა გააჩნია.“

• *ხელსაყრელი საგარეო პირობების შექმნა რუსეთის თანდათანობით განვითარებისათვის, მისი ეკონომიკის წამოსაწევად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად, დემოკრატიული გარდაქმნების გასატარებლად, კონსტიტუციური წყობის განსამტკიცებლად, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დასაცავად.*

კონცეფცია - 2008-ში ასეა: „... სამართლებრივი სახელმწიფოს და დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების რეალიზაციისათვის და, როგორც შედეგი, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად გლობალიზებად მსოფლიოში“.

• *კეთილმეზობლობის ზოლის ფორმირება რუსეთის საზღვრების პერიმეტრზე, რუსეთის ფედერაციის მიმდებარე რეგიონებში არსებული დაძაბულობის და კონფლიქტების კერების აღმოფხვრა და პოტენციური კერების წარმოშობის თავიდან აცილება;*

ახალ რედაქციაშია: კეთილმეზობლური ურთიერთობების ფორმირება მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, ნაცვლად საზღვრების პერიმეტრის გასწვრივ კეთილმეზობლობის ზოლის შექმნისა.

• *საზღვარგარეთის ქვეყნებთან და სახელმწიფოთშორისი გაერთიანებებთან თანხმობის და თანხვდენილი ინტერესების ძიება იმ ამოცანების გადაწყვეტის პროცესში, რომლებიც განისაზღვრება რუსეთის ეროვნული პრიორიტეტებით, ამ საფუძველზე პარტნიორული და სამოკავშირეო ურთიერთობების სისტემის მშენებლობა, რომლებიც გააუმჯობესებენ საერთაშორისო ურთიერთქმედების პირობებსა და პარამეტრებს;*

შეიცვალა: „... ამ საფუძველზე ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორული ურთიერთობების შექმნა“.

• *საზღვარგარეთ რუსეთის მოქალაქეების და თანამემამულეების უფლებების და ინტერესების ყოველმხრივი დაცვა;*

არ შეცვლილა.

• *მსოფლიოში რუსეთის ფედერაციის პოზიტიური აღქმის, რუსული ენისა და რუსეთის ხალხთა უფლებების უცხოეთის სახელმწიფოებში პოპულარიზაციის ხელშეწყობა;*

არ შეცვლილა.

• გაჩნდა ახალი პუნქტი, როგორც ჩანს 2000 წლის კონცეფციის პუნქტი 2-ის სანაცვლოდ: *„უცხოეთის სახელმწიფოებში რუსული ენისა და რუსეთის ხალხთა კულტურის მხარდაჭერა და პოპულარიზაცია, რომლებსაც უნიკალური წვლილი შეაქვთ თანამედროვე მსოფლიოს კულტურულ-ცივილიზაციურ მრავალფეროვნებასა და ცივილიზაციების პარტნიორობის განვითარებაში“.*

არსებითად ასახავს „რუსსკი მირ“-ის ფონდის ქსელის მუშაობის დაწყების ფაქტს.

მოკლედ ჩამოვთვალოთ, რა დარჩა ძველი ტექსტიდან, თუმცა პოლიტიკის არსიდან გამომდინარე კვლავაც აქტუალური იყო:

ციტატები 2000 წლის კონცეფციიდან:

„ამავდროულად მთელი რიგი პარამეტრებით ნატო-ს ახლანდელი პოლიტიკური და სამხედრო ქმედებები არ ემთხვევა რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების ინტერესებს, ხოლო ზოგჯერ კი პირდაპირ ეწინააღმდეგება მათ. პირველ რიგში ეს ეხება ნატო-ს ახალი სტრატეგიული კონცეფციის დებულებებს, რომლებიც არ გამორიცხავს ძალისმიერ ოპერაციების ჩატარებას ვაშინგტონის ხელშეკრულების მოქმედების ზონის მიღმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე, რუსეთი ინარჩუნებს ნეგატიურ დამოკიდებულებას ნატო-ს გაფართოებისადმი.

რუსეთის და ნატო-ს შინაარსიანი და კონსტრუქციული თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აგებული იქნება მხარეთა ინტერესების სათანადოდ გათვალისწინების

საფუძველზე და ურთიერთნაკისრი ვალდებულებების უპირობოდ შესრულებაზე“.

შესადარებლად, 2008 წლის რედაქციაში ეს დებულებები ასეა წარმოდგენილი: *„რუსეთი ინარჩუნებს უარყოფით დამოკიდებულებას ნატო-ს გაფართოების, სახელდობრ უკრაინისა და საქართველოს ალიანსის წევრად მიღების გეგმების, აგრეთვე მთლიანობაში ნატო-ს სამხედრო ინფრასტრუქტურის რუსეთის საზღვრებთან მიახლოების მიმართ, რაცარღვევს თანაბარი უსაფრთხოების პრინციპს, იწვევს ევროპაში ახალი გამყოფი ხაზების გაჩენას და ეწინააღმდეგება თანამედროვეობის რეალურ გამოწვევებზე პასუხების მოსანახად ერთობლივი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანებს“.*

„ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობებში აქტუალური რჩება შემუშავებული ადამიანური, სამეურნეო და კულტურული კავშირების შენარჩუნების, არსებული კრიზისული მოვლენების დაძლევისა და თანამშრომლობის დამატებითი იმპულსის მინიჭების ამოცანა ახალი პირობებისა და რუსეთის ინტერესების შესაბამისად...

კარგი პერსპექტივები აქვს რუსეთის ფედერაციის ურთიერთობების განვითარებას ლიტვასთან, ლატვიასთან და ესტონეთთან. რუსეთი ემხრობა იმას, რომ ეს ურთიერთობები შემოაბრუნოს კეთილმეზობლობის და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის მიმართულებით. ამის უცილობელი პირობას წარმოადგენს მოცემული სახელმწიფოების მიერ რუსეთის ინტერესების პატივისცემის, მათ შორის რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებების დაცვის შესახებ მნიშვნელოვან საკითხშიც.“

„თავისი საგარეო პოლიტიკის რეგიონული პრიორიტეტების განსაზღვრისას რუსეთის ფედერაცია ***ითვალისწინებს ძირითადი მსოფლიო ცენტრების ფორმირების ინტენსივობის და მიმართულობის მზაობის ხარისხს რუსეთთან ორმხრივი ურთიერთქმედების გასაფართოებლად“.***

კონცეფცია-2000 საგარეო პოლიტიკაში არასამთავრობო ორგანიზაციებს მცირე როლს ანიჭებდა, ერთი ფრაზით: *„არასამთავრობო*

ორგანიზაციების უფრო ფართო ჩართვა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური საქმიანობის სფეროში უპასუხებს სამოქალაქო საზოგადოების მიერ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერას და ძალუძს მის ეფექტიან რეალიზაციაში წვლილის შეტანა“

ახლა იმ ახალ პუნქტებს შევეხოთ, რომლებსაც უნდა აესახა ცვალებადი მსოფლიოს და რუსეთის პოლიტიკის რეალიები.

1. გაერო-ს და ორგანიზაციის რეფორმირების ყველაზე უფრო კონსერვატიული ვარიანტის მხარდაჭერა:

„საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირებისა და მსოფლიო პოლიტიკის კოორდინაციის ცენტრი XXI საუკუნეში უნდა დარჩეს გაერო, რომელმაც დაამტკიცა თავისი უალტერნატივობა და აღჭურვილია უნიკალური ლეგიტიმურობით. რუსეთი მხარს უჭერს მისი ცენტრალური და მაკოორდინირებელი როლის გაძლიერების ძალისხმევას. ეს გულისხმობს: გაეროს წესდებაში დაფიქსირებული მიზნებისა და პრინციპების განუხრელ დაცვას; გაერო-ს რაციონალურ რეფორმირებას მსოფლიოში ცვალებად პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალიებთან მისი ადაპტაციის მიზნით“.

გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის სტატუსი უნდა შენარჩუნდეს.

2. ფსონი ბრიჩ-სა და შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაზეა: *„განსაკუთრებული ადგილი ეთმობა შთო-ს შემდგომ გაძლიერებას, მისი ინიციატივების წაწევას აზია/წყნარი ოკეანის რეგიონში ყველა ინტეგრაციული გაერთიანებებს შორის პარტნიორული კავშირების შესაქმნელად.*

აზიაში რუსეთის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მეგობრული ურთიერთობების განვითარება ჩინეთთან და ინდოეთთან. რუსეთი გააღრმავებს რუსეთ-ჩინეთის სტრატეგიულ პარტნიორობას ყველა სფეროში მსოფლიო პოლიტიკის საკვანძო საკითხებისადმი პრინციპული მიდგომების თანხვდენის საფუძველზე რეგიონული და გლობალური სტაბილურობის ერთ-ერთი საბაზო მდგენელის სახით. ორმხრივი კავშირების სფეროში მთავარ

ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთქმედების მოცულობის და ხარისხის პოლიტიკური ურთიერთობების მაღალ დონესთან შესაბამისობაში მოყვანა.

ინდოეთთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღმავებისას, რუსეთი ატარებს პრინციპულ ხაზს საერთაშორისო აქტუალურ პრობლემებზე ურთიერთქმედების განსამტკიცებლად და ყველა მიმართულებით ურთიერთმომგებიანი ორმხრივი კავშირების ყოველმხრივ განსამტკიცებლად, განსაკუთრებით სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში არსებითი ზრდის უზრუნველსაყოფად.

რუსეთი იზიარებს ჩინეთისა და ინდოეთის დაინტერესებას ეფექტიანი საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთქმედების დასალაგებლად სამმხრივ ფორმატში რუსეთი-ინდოეთი-ჩინეთი.“

3. სტრატეგიული შეკავების იურიდიული ველის გაფართოება, ბრძოლა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან საშუალო სიშორის რაკეტების შემცირების შესახებ ხელშეკრულების და სხვა დოკუმენტების მონაწილე სახელმწიფოების გაზრდის ხარჯზე:

„ობიექტურად მოდის დრო გაიხსნას ეს ცარჩოები წამყვანი, უწინარეს ყოვლისა ბირთვული სახელმწიფოებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საერთო უსაფრთხიების უზრუნველყოფაზე გამიზნული ერთობლივი მოქმედებებით. ამასია - სტრატეგიული გამჭვირვალების არსი, რომელიც საფუძვლად უდევს რუსეთის ინიციატივებს, სახელდობრ ევროპის სესაძლო ბირთვული მუქარებისთვის კოლექტიური წინააღმდეგობის გაწევას და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1987 წლის საშუალო სიშორისა და მცირე სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის სესახებ ხელშეკრულების რეჟიმისათვის გლობალური ხასიათის მიცნიჭება.

თანმიმდევრულად გამოდის შეიარაღების ზდის აღსაკვეთად, წინააღმდეგობას უწევს ისეთი მადესტაბილიზებელი, მათ შორის ახალი სახეობის შეიარაღების შექმნისა და განლაგების მცდელობებს როგორიცაა: მცირე სიმძლავრის ბირთვული მუხტები, საკონტინენტთაშორისო

ბალისტიკური რაკეტების არაბირთვული ქობინებით, სტრატეგიული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები.“

4. მაკროეკონომიკა.

„რფ განამტკიცებს სტრატეგიულ პარტნიორობას ენერგეტიკული რესურსების წამყვან მწარმოებლებთან, აქტიურად ანვითარებს დიალოგს მომხმარებელ ქვეყნებსა და ტრანზიტის ქვეყნებთან, ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპებზე დაფუძნებით, რომელიც დაფიქსირებულია 2006 წლის „რვიანის“ სანკტ-პეტერბურგის სამიტის შემაჯამებელ დოკუმენტებში და იქიდან გამომდინარე, რომ ენერგორესურსების მიწოდების საიმედოობის მაგარანტირებელი ღონისძიებები თანმიმდევრულად უნდა მტკიცდებოდეს მოთხოვნის სტაბილურობისა და ტრანზიტის საიმედოობის უზრუნველსაყოფად;

რუსეთის ფედერაციის ინტერესების დასაცავად აქტიურად იყენებს რეგიონული და ფინანსური ორგანიზაციების შესაძლებლობებს შესაბამის რეგიონებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ ორგანიზაციების და სტრუქტურების საქმიანობას, რომლებიც ხელს უწყობენ დსთ სივრცეზე ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებას;

5. ჰუმანიტარული ველი.

„იმ რუსი მოქალაქეების და თანამემამულეების უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ, საერთაშორისო სამართლისა და მოქმედი ორმხრივი სეთანხმებების საფუძველზე, მრავალმილიონიანი რუსული დისპორის - Русский мир - ის განხილვა პარტნიორის სახით, მათ შორის რუსული ენისა და კულტურის სივრცის გაფართოების და გაძლიერების საქმეში.“

6. რეგიონული თანამშრომლობა.

პრიორიტეტი აქვს ისევ დსთ-ს. აქ უკომენტაროდაც ყველაფერი გასაგებია.

7. რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის რეალიზაცია.

აი აქ, ალბათ, ყველაზე საინტერესო რამ ჩანს. რფ მთავრობისთვის, კონცეფცია-2008-ში მესამე ადგილი მიუჩენიათ, პრეზიდენტისა და

ფედერალური კრების შემდეგ. წინა კონცეფციაში მთავრობა, როგორც საგარეო პოლიტიკის სუბიექტი საერთოდ არც ფიგურირებდა

დანარჩენი უცვლელად გადმოვიდა. გადაწყვეტილების მიღების და პასუხისმგებლობის დაღმავალი იერარქია ასეთია: უშიშროების საბჭო, შემდეგ რფ საგარეო საქმეთა სამინისტრო, შემდეგ რეგიონულ დონეზე რფ სუბიექტები, ამას მოსდევს აბზაცი პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების აუცილებლობის შესახებ (პრაქტიკულად სიტყვა-სიტყვით მეორდება).

ბოლოს წინა აბზაცი ჩავთვალოთ, რომ იმ დროის სეზონის ჰიტი და რეალიებისადმი პატივისცემის ხარკია: *„საგარეო პოლიტიკური ღონისძიებების დაფინანსებისას ფართოდ უნდა გამოიყენებოდეს ფედერალური ბიუჯეტის შესაძლებლობები,* ***აგრეთვე მიზიდულ უნდა იქნეს არასაბიუჯეტო სახსრები სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში ნებაყოფლობის საფუძველზე“.***

რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის თანახმად ქვეყნის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს რუსეთის პრეზიდენტი. წინასაარჩევნო კამპანიის დროს პუტინმა თავისი პროგრამა გადმოსცა შვიდ სტატიაში. პუტინის ერთ-ერთი საპროგრამო სტატია, „რუსეთი და ცვალებადი მსოფლიო“, გამოქვეყნდა 2012 წლის 27 თებერვალს გაზეთში „მოსკოვსკიე ნოვოსტი“.

სტატიაში პუტინი საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგის ძირითად თემებზე შეჩერდა. ყველა თავისი წინასაარჩევნო ინიციატივების შესრულების „საგზაო რუკები“ გადმოცემულია რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებებში, რომლებსაც ხელი მოაწერა 7 მაისს სახელმწიფოს მეთაურის პოსტის დაკავებისთანავე. ერთ-ერთი ბრძანებულებით (№ 605) - „რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკური კურსის რეალიზაციის ღონისძიებების შესახებ“ - საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა წლის ბოლომდე საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ახალი რედაქციის მომზადება. (19) 9 ივლისს ვ. პუტინმა რუსეთის ფედერაციის ელჩების და მუდმივი წარმომადგენლების თათბირზე (თემა: „რუსეთი ცვალებად მსოფლიოში: პრიორიტეტების მეკვიდრეობა და

ახალი შესაძლებლობა“) მონიშნა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და დააზუსტა საგარეო პოლიტიკური სამსახურების ამოცანები უახლოესი პერიოდისათვის და საერთაშორისო დღის წესრიგის და ქვეყანაში შიდა პროცესების გათვალისწუნებით. (20) იმავე წლის ივლისში საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რფ საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ახალი რედაქცია დაემყარებოდა ჯერ კიდევ 2000 წელს რუსეთის დიპლომატიის მიერ შემუშავებულ საბაზო პრინციპებს.

რუსეთის არსებობის 22 წლის განმავლობაში საგარეო პოლიტიკის მეოთხე კონცეფციის ახალი რედაქცია სამინისტრომ პრეზიდენტის სამსახურს დეკემბერში წარადგინა. მაგრამ, 2013 წლის იანვარში ცნობილი გახდა, რომ მისი დამტკიცება გადაიდო. როგორც აღმოჩნდა, აშშ-თან ურთიერთქმედების საკითხებში რუსეთის პოზიციები კონცეფციაში არასაკმაოდ მკაცრად იყო გაწერილი. თავდაპირველ ვერსიაში, სერგეი ლავროვმა შემდეგ ეს არაპირდაპირ დაადასტურა, ვერ მოასწრეს აშშ-ში მიღებულ „მაგნიტსკის კანონზე“ პასუხის ჩართვა.

კონცეფცია-2013-ის ბოლო ვერსია ვ. პუტინმა უშიშროების საბჭოზე 15 თებერვალს წარადგინა. ახალი რედაქცია მოცულობით ორჯერ უფრო დიდია წინა რედაქციაზე, მასში პუნქტობრივად არის გაწერილი ძირითადი დებულებები (სულ 104 პუნქტია)

რუსეთის პრეზიდენტმა მაღალი შეფასება მისცა საგარეო პოლიტიკის განახლებულ კონცეფციას. მან უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ ეს დოკუმენტი ითვალისწინებს ძალთა ბალანსის გადანაწილებას მსოფლიოში, ფინანსურ კრიზისს, არასტაბილურობას ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები არ შეცვლილა. ეს პრინციპებია: გამჭვირვალება, წინასწარ განჭვრეტადობა, პრაგმატიზმი, ეროვნული ინტერესების მიღწევებსა და დაცვაზე გამიზნულობა ყოველგვარი კონფრონტაციის გარეშე.

კონცეფციის პროექტის ავტორები ძირითადად ეყრდნობოდნენ პუტინის საპროგრამო სტატიას „რუსეთი და ცვალებადი მსოფლიო“. ერთ-

ერთ ასეთ დებულებას წარმოადგენს თეზისი იმის შესახებ, რომ რუსეთს თავისი საგარეო პოლიტიკის აგება უწევს უაღრესად არასტაბილურ (ტურბულენტურ) მსოფლიოში, ხოლო მისი მრავალი პრობლემა მომდინარეობს სხვა სახელმწიფოთა შიდა საქმეებში დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ს ჩარევის მცდელობიდან. ახალ კონცეფციაში ეს თეზისი დეტალურად არის დამუშავებული.

დოკუმენტის ავტორებს მსოფლიო 2008 წელთან შედარებით წარმოუდგენიათ გაცილებით უფრო „არასტაბილური“ და „არაწინასწარ განჭვრეტადი“. ამ ვითარების ფაქტორები აღწერილია მეორე განყოფილებაში „თანამედროვე მსოფლიო და რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა“. ეს ფაქტორებია:

პირველი - გლობალური კრიზისი, რომელიც „გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში სიღრმისეული ძვრების უმძლავრესი კატალიზატორია“.

არასტაბილურობის მეორე ფაქტორია - დასავლეთის ჩარევა სხვა სახელმწიფოების საქმეებში, როდესაც, როგორც „არაბული გაზაფხულის“ შემთხვევაში, „ღირებულებათა საკუთარი შკალის სხვებისთვის თავსმოხვევის მცდელობებს“ შეიძლება მოჰყვეს „საერთაშორისო ურთიერთობებში ქაოსსა და უმართავობისაკენ დაქანება“.

მესამე ფაქტორი - გაეროს როლის შერყევა - ვლინდება ისეთ მცდელობებში, როგორიცაა „კრიზისების რეგულირება გაეროს უშიშროების საბჭოს ფარგლებს მიღმა ცალმხრივი სანქციების და და ძალისმიერი ზემოქმედების ღონისძიებების გამოყენების გზით“, „მისი რეზოლუციის თვითნებურ წაკითხვა“, „კანონიერი რეჟიმების დამხობისკენ მიმართული კონცეფციების რეალიზაცია“.

მეოთხე - ტრანსასაზღვრო გამოწვევების და მუქარების გაძლიერება, სადაც ერთ-ერთ საკვანძო პუნქტად პირველად არის დასახელებული „მუქარები საინფორმაციო სივრცეში“.

არასტაბილურობის მეხუთე ფაქტორია - საერთაშორისო ურთიერთობების რეიდეოლოგიზაციის ტენდენცია“.

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით კონცეფციის ავტორებს გამოაქვთ დასკვნა: „გლობალური ტურბულენტურობის და

სახელმწიფოთა მზარდი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში პერსპექტივა არა აქვს ცალკეული „სიმშვიდისა და უსაფრთხოების ოაზისების“ აგების მცდელობებს. იმავდროულად რუსეთს ენიჭება „უნიკალური, საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული როლი გამაწონასწორებელი ფაქტორისა საერთაშორისო საქმეებში და მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში“. რუსეთის ამ ზემისიის შესაბამისად რუსეთი ააგებს კიდეც თავის საგარეო პოლიტიკას.

კონცეფციის ავტორთა აზრით, რუსეთს უნდა ჰქონდეს რამოდენიმე საკვანძო მიზანი. პირველი - დაეხმაროს მსოფლიო ეკონომიკის გადარჩენას, რისთვისაც „რუსეთს განზრახული აქვს აქტიურად შეუწყოს ხელი სამართლიანი და დემოკრატიული გლობალური სავაჭრო-ეკონომიკური და სავალუტო-ფინანსური არქიტექტურის ფორმირებას“ - რაც აშკარა მინიშნებაა მსოფლიო სარეზერვო ვალუტების დივერსიფიკაციის შესახებ რუსეთის ფედერაციის მიერ ლობირებულ იდეაზე.

მეორე მიზანია - ბრძოლა შიდა საქმეებში ჩარევასთან. ამისათვის მოსკოვი ეცდება „მიაღწიოს ადამიანის უფლებების და თავისუფლებების პატივისცემას“, მაგრამ „თითოეული სახელმწიფოს ეროვნული, კულტურული და ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით“. ხოლო ინტერნეტში - წინააღმდეგობას გაუწევს ამ მიზნებისთვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას.

მესამე მიზანია - გაერო-ს „უალტერნატივობის“ შენარჩუნება და, მაშასადამე, იმის დაუშვებლობა, რომ ***„დაცვის პასუხისმგებლობის“ კონცეფციის საბაბით*** (როგორც ეს ლიბიაში იყო) „ხორციელდებოდეს სამხედრო ინტერვენცია და ჩარევის სხვა ფორმები“.

ამ ამოცანების რეალიზაციას რუსეთი აპირებს მათ შორის „რბილი ძალის“ დახმარებით). ეს ტერმინი პუტინმა პირველად გამოიყენა თავის საპროგრამო სტატიაში, ხოლო შემდეგ რუსეთის დიპკორპუსისადმი ივლისის მიმართვაში. ახალ კონცეფციაში პირველად არის მოცემული მისი, ასე ვთქვათ, „რუსული“ განმარტება - „საგარეო პოლიტიკური ამოცანების კომპლექსური ინსტრუმენტარი სამოქალაქო საზოგადოების

შესაძლებლობაზე დაყრდნობით, საინფორმაციო-კომუნიკაციური ჰუმანიტარული და სხვა კლასიკური დიპლომატიის ალტერნატიული მეთოდები და ტექნოლოგიები“.

ასეთი „რბილი ძალის“ დახმარებით მოსკოვი იმედოვნებს შექმნას „ქვეყნის ობიექტური სახე“, ხოლო მასთან აერთად გააუმჯობესოს თავისი საგარეო პოლიტიკის „ინფორმაციული თანხლება“. ამისთვის გათვალისწინებულია „ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობების“, აგრეთვე, საზღვარგარეთ „მრავალმილიონიანი რუსული დიასპორის“ პოტენციალის გამოყენება. საზღვარგარეთ მცხოვრებ „თანამემამულეებს“ კონცეფციაში განსაკუთრებული როლი ეკისრებათ, ხოლო ე.წ. „როსსოტრუდნიჩესტვო“ პირველად არის მოხსენიებული იმ სტრუქტურებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ რფ-ს საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში.

აქცენტები შეცვლილია მეოთხე განყოფილებაშიც „რეგიონული პრიორიტეტები“. რფ-ს საგარეო პოლიტიკის აბსოლუტურ პრიორიტეტად დასახელებულია ინტეგრაცია პოსტსაბჭოთა სივრცეზე. კონცეფციაში დიდი ყურადღება ეთმობა დსთ-ს, საბაჟო კავშირს, ევრაზესს (და სამომავლო ევრაზიურ ეკონომიკურ კავშირს), კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას და სამოკავშირეო სახელმწიფოს და ბელორუსიას (რომელიც ფაქტიურად ამოვარდნილი იყო წინა კონცეფციაში). რუსეთი იმედოვნებს „ჩართოს გაღრმავებულ ინტეგრაციულ პროცესებში“ უკრაინაც.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ცალსახა პრიორიტეტად რჩება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის, „თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის განვითარება, მათი საერთაშორისო პოზიციების გაძლიერება. მდგრადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება“. საქართველოსთან ურთიერთობას რაც შეეხება, რუსეთი სამხრეთ კავკასიაში, უფრო კონკრეტულად კი ჩვენს საკუთარ ქვეყანაში მის მიერ შექმნილი „ახალი რეალობის“ მისი გადასახედიდან გაანალიზებასა და მასთან შეგუებას გვირჩევს. და მხოლოდ ამის ფონზე, საქართველოს ხელისუფლების მზაობიდან

გამომდინარე, მასთან ურთიერთობის ნორმალიზაციას შესაძლებლად მიიჩნევს. (25)

რფ-ს პრიორიტეტებს შორის მეორე ადგილი უკავია ევროკავშირს - განსაკუთრებით გამოყოფილია უვიზო რეჟიმის მიღწევის ამოცანა. ევროკავშირში უმნიშვნელოვანეს პარტნიორებად დასახელებულია გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები - ესე იგი , ის სახელმწიფოები, ვისთანაც რუსეთი აქტიურად თანამშრომლობს გაზის სფეროში. შემდეგ საუბარია ეუთო-სთან, ნატო-სთან, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებთან, ბალტიის რეგიონის ქვეყნებთან და ბალკანეთთან ურთიერთქმედებაზე.

ამის შემდგომ დგება აშშ-ს რიგიც. მისგან რფ მოითხოვს „ბირთვული შეკავების რუსეთის ძალების წინააღმდეგ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის არამიმართულობის სამართლებრივ გარანტიებს“, აგრეთვე „საერთაშორისო სამართლის ნორმების, მათ შორის სხვა სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დაცვას“.

მართალია ჩინეთი და ინდოეთი ნახსენებია აშშ-ს შემდეგ, მათთან „მეგობრული ურთიერთობების“ განვითარება რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ „უმნიშვნელოვანეს“ მიმართულებად არის წარმოდგენილი. აზია/წყნარი ოკეანეთის რეგიონი გამოცხადებულია „ყველაზე დინამიურად განვითარებად გეოპოლიტიკურ სივრცედ, სადაც თანმიმდევრულად ინაცვლებს მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის სიმძიმის ცენტრი“.

დაბოლოს, პატარა ინტრიგა. რომელი წლის კონცეფციიდანაა მისი ტექსტის ეს ბოლო წინადადება: *„საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება ხელსაყრელ პირობებს შექმნის რუსეთის ფედერაციის ხალხთა ისტორიული არჩევანის რეალიზაციისათვის სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიული საზოგადოების, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სასარგებლოდ.“*

პასუხი - ის ზუსტად ერთნაირია, გნებავთ 2000, გნებავთ 2008, გნებავთ 20013 წლებისათვის. ეს არის მემკვიდრეობითობის ჰიმნი.

2013 წლის დოკუმენტის სიახლე მის შინაარსში კი არა, კრემლის უკვე არსებულ კურსზე აქცენტირებაშია. ე.წ. „განახლებული“ რფ-ს საგარეო პოლიტიკის კონცეფციის შესახებ კომენტარებში ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყების მაღალჩინოსანი მოხელეები განახლების ფაქტსა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის „შემობრუნებაზე“ მიუთითებენ. სინამდვილეში კი საუბარია მხოლოდ დიდი ხნის ტენდენციების სიტყვიერ დაფორმატებაზე. პუტინისეული შემობრუნება დაიწყო თბილისის ვარდებისა (2003 წ.) და კიევის ნარინჯისფერი რევოლუციების (2004 წ.) შემდეგ. სწორედ ამ შოკისმომგვრელმა მოვლენებმა ჩააფიქრა კრემლის მესვეურნი და დასავლეთისაგან გასამიჯნად სანგრების თხრა დააწყებინა.

ასე რომ, პუტინმა კონცეფციაში ის ხაზი წარმოაჩინა, რომელსაც ცხრა წელიწადი აფორმებდა. განახლებული კონცეფციის არსი შემდეგშია. მოსკოვი აუწყებს მსოფლიოს: დასავლეთის მზე ესვენება და ფსკერზე ეშვება; რუსეთი „სტაბილურობის კუნძული“ და განსაკუთრებული „ცივილიზაციაა“, რომელიც არავის მისცემს მის შიდა პროცესებზე ზეგავლენის ნებას; მოსკოვი ააგებს თავის გალაქტიკას სხვა მეზობელი სახელმწიფოებისგან. კონცეფციას სიტყვიერ ჩენჩოს თუ მოვაცილებთ, აშკარა ხდება, რომ მოსკოვი ღიად ამბობს: ჩვენ შევაკავებთ დასავლეთს და მის გავლენას არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეზეც.

კონცეფციის კითხვისას კრემლის არაადექვატურობის შთაბეჭდილება იქმნება. რუსეთი ხომ სტაგნაციას განიცდის. ხელისუფლება კორუფციას ვერ უმკლავდება. მსოფლიოში ინტერესი რუსეთის მიმართ დაღმა ეშვება. და ამ დროს კრემლისეული კონცეფცია ძლევამოსილ დერჟავაზე საუბრობს, რომელიც აპირებს მთელ მსოფლიოს თავისი „ფასეულობითი ორიენტირები“ შესთავაზოს! იქნებ კრემლი სხვა ქვეყანაზე ლაპარაკობს? რა უნდა იყოს ეს კრემლისეული „ფასეულობები“? კორუფცია - როგორც სახელმწიფოს მშენებლობის საშუალება? თუ ძალადობა - როგორც საზოგადოების კონსოლიდაციის ინსტრუმენტი? ან იქნებ მართლმადიდებლური ფუნდამენ-ტალიზმი - როგორც ახალი იდეოლოგია?

არა მგონია კონცეფციის ავტორებს ადგილი და დრო სრულიად არ ესმოდეთ. უფრო ვფიქრობ, ამ კონცეფციას ორი ამოცანა აქვს: პირველი, ჩვეულებისამებრ, ძალის მირაჟის და იმიტაციიის შექმნა და, მეორე - მოსახლეობაში რისკებისა და მსოფლიო მუქარების წინაშე შიშის დანერგვა, მტრებისაგან ალყაშემორტყმული ქვეყნის სახის გაძლიერება. საბჭოთა პროპაგანდას განა ეს ფუნქცია არ ჰქონდა?!

როგორც ითქვა, კონცეფციაში არის ცნება „რბილი ძალა“. ზოგიერთმა რუსმა ე.წ. პოლიტოლოგმა აიტაცა ეს ცნება და განაცხადა, რუსეთმა გავლენის დასავლურ ინსტრუმენტებს მიმართაო. მაგრამ მოდით დავფიქრდეთ: ნუთუ რუსეთს აქვს გავლენის არაძალისმიერი არგუმენტები, რომლებიც მას ასე მიმზიდველ სახელმწიფოდ აქცევდა? რუსეთის გავლენა ოთხ ფაქტორს ეფუძნება - ბირთვულ იარაღს, ნედლეულს, იარაღით ვაჭრობას და არაგანჭვრეტად უნარიანობას. დავუმატოთ ამას უსიშროების საბჭოში „ვეტოს“ უფლებაც, რასაც ასე ელოლიავება და გააფთრებით ებრძვის ამ ორგანიზაციის რეფორმირებას.

„რბილი ძალა“ მოიცავს, პირველ რიგში, საინფორმაციო, ჰუმანიტარულ, ზოგადსაკაცობრიო და სხვა საზოგადოებაზე ზემოქმედების მექანიზმებს. მათ უნდა შექმნან მიმზიდველი რუსეთის სახე. ამის რა საფუძველია აქვთ ჩვენს ჩრდილოელ სამეზობლოში?

გაცილებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ კრემლი ამბობს: ჩვენ წინააღმდეგობას გავუწევთ სხვა სახელმწიფოების მიერ თავიანთი „რბილი ძალის“ გამოყენების მცდელობასო. აი ეს უკვე სერიოზული რამ არის. საუბარია იმაზე, რომ გზა გადაუღობო „უფლებადამცველ კონცეფციებს“, რომელსაც დასავლეთი იყენებს; ეს სხვა არაფერია თუ არა გარედან ნებისმიერი ლიბერალური გავლენის აღსაკვეთად რუსეთის ჩაკეტვა.

თემა 4

რუსეთი გლობალურ სისტემაში

აშშ-სა და ევროპასთან (ანუ, როგორც რუსეთში ეძახიან, დასავლეთთან) ურთიერთობას კვლავაც ცენტრალური ადგილი უჭირავს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. ცივი ომის დროს აშშ "მთავარ მოწინააღმდეგდ" იყო მიჩნეული და ბუნებრივია, რომ ცივი ომის დასასრულიდან მოყოლებული ამერიკის გავლენის სფეროების გაფართოება რუსეთის შეშფოთებას იწვევს. ცივი ომის ინერცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ რუსეთის მიერ მთავარი მოწინააღმდეგის, არამედ მოწინააღმდეგესთან ბრძოლის ველის იდენტიფიკაციაზეც. ეს ბრძოლის ველი ევროპაა. ამერიკულ-ევროპული ალიანსის გახლეჩა რუსეთის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ცივი ომის დროს და ეს სტრატაგემა ახლაც აქტიურად გამოიყენება. 2007 წლის მიწურულს პუტინმა პირდაპირ მოუწოდა დასავლეთს ბოლო მოეღოთ "სულელური ატლანტიკური სოლიდარობისათვის." სხვაგვარად, განაცხადა მან, დასავლეთისათვის შეუძლებელი იქნება რუსეთთან ურთიერთობათა გაუმჯობესება. მოსკოვს სურს, რომ ნატო (ალიანსი, რომელზეც დგას "სულელური ატლანტიკური სოლიდარობა") მოძველებულად და "ცივი ომის გადმონაშთად გამოცხადდეს." ასეთ შემთხვევაში მსოფლიო "მულტიპოლარული" გახდება, სადაც რუსეთს გაცილებით მეტი ძალაუფლება და გავლენა ექნება, ხოლო აშშ-ის ძლიერება კი შემცირდება და იგი რიგითი დიდი სახელმწიფოს რანგამდე ჩამოქვეითდება. რუსი მაღალჩინოსნები ხშირად უსვამენ ხაზს, რომ აშშ-მა და რუსეთმა თავიანთი ურთიერთობები თანასწორობის საფუძველზე უნდა ააგონ. ეს რიტორიკა ბოლო დროს გაჩნდა, როცა რუსეთს საშუალება შეექმნა ყოფილ საბჭოთა სივრცეში აშშ-ის გავლენას დაპირისპირებოდა იმ პირობებში, როცა ერაყში ომის გამო ამერიკის იმიჯი საგრძნობლად შეილახა. რუსული საგარეო პოლიტიკის მესვეურები მიიჩნევენ, რომ აშშ-ს მხოლოდ

ძალის ენა ესმის და რომ იგი ანგარიშს არ უწევს სხვა დიდი სახელმწიფოების ინტერესებს (ეს რწმენა 1990-იანი წლების გამოცდილებიდან მომდინარეობს). შესაბამისად, რუსეთის ინტერესების დასაცავად საჭიროა არა მხოლოდ დაპირისპირება აშშ-სთან, არამედ მასთან თავის დაჭერა როგორც თანასწორთან (სიტყვიერად მაინც) რათა იგი უფრო დამთმობი გახდეს. ამავე დროს, რუსეთი კმაყოფილებას უნდა გრძნობდეს იმით, რომ უპირისპირდება უძლიერეს საერთაშორისო მოთამაშეს, რადგან ეს მას თვითრწმენას უმაღლებს და თავს აგრძნობინებს დაახლოებით ისევე ძლევამოსილად, როგორიც ცივი ომის დროს იყო. კეთილი ნების ჟესტების დრო გავიდა და ახლა რუსეთმა ყველას უნა აჩვენოს თავისი ნება და უნარი დაიცვას თავისი ინტერესები ყველა ხელმისაწვდომი გზით (სამხედრო გზის ჩათვლით, როგორც ეს მოხდა 2008 წლის აგვისტოში). მოსკოვი აცნობიერებს, რომ ზოგიერთ სფეროში (როგორიცაა მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა და ტერორიზმთან ბრძოლა) მისი ინტერესები აშშ-ის ინტერესებს ემთხვევა, მაგრამ ამ ინტერესებზე მაღლა ისევ და ისევ უსაფრთხოების პრობლემები დგება (აშშ კი რუსეთისათვის კვლავაც ყველაზე დიდ საფრთხედ განიხილება). საერთო პრობლემებს (მასობრივი განადგურების იარაღი, ტერორიზმი) რაც შეეხება, აქ რუსეთი ცდილობს ყველა თავსატეხი აშშ-ს გადაულოცოს. პირველ რიგში ეს ითქმის ირანის ბირთვულ პროგრამაზე, რომელიც რუსეთმა ვაშინგტონის პრობლემად აქცია (და პარალელურად გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოს ადებს შესაბამის რეზოლუციებს, რითაც აშშ-ს საქმეს კიდევ უფრო ურთულებს) და ამგვარად კიდევ უფრო გაურთულა აშშ-ს საქმეები საერთაშორისო არენაზე. რაც უფრო მეტი პრობლემა ექნება აშშ-ს მით უფრო იოლი იქნება რუსეთისათვის ამერიკული გავლენის განეიტრალება ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში.

ცხადია, რუსეთი ნაკლებად მტრულადაა განწყობილი ევროპის მიმართ, მაგრამ მისი ერთიანობის გახლეჩვასაც ცდილობს და ევროპულ სახელმწიფოებთან საქმეს ორმხრივ ფორმატში იჭერს ხოლმე. რუსეთ-ევროკავშირის ფორმატში ურთიერთობა ნიშნავს საქმის დაჭერას

აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთანაც, რომელთაც რუსულ მმართველობაზე ერთობ მძიმე მოგონებები აქვთ და მოსკოვს ეჭვით უყურებენ. შესაბამისად, კრემლიც ცდილობს ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ძირითად ევროპელ მოთამაშეებთან (ყოფილ დიდ სახელმწიფოებთან) ურთიერთობებით გადაჭრას – როგორიცაა საფრანგეთი და გერმანია (დიდი ბრიტანეთი, როგორც აშშ-ის ტრადიციული მოკავშირე, რუსეთის პოტენციურ პარტნიორად არ მოიაზრება). ეს იოლი გასაგებია, რადგან რუსეთის საგარეო პოლიტიკური ხედვა კვლავაც მე-19 საუკუნისეულ ძალთა ბალანსის გათვლებს ემყარება. ამავე დროს საფრანგეთს ტრადიციულად კარგი ურთიერთობები ჰქონდა რუსეთთან, გერმანია კი ცდილობს დავიწყებას მისცეს არასასიამოვნო მოგონებები მეორე მსოფლიო ომზე და 70-იანი წლებიდან მოყოლებული მოსკოვთან ახლო პარტნიორობას ამყარებს. აცნობიერებს რა, რომ ახლო ისტორიული კავშირების მიუხედავად რუსულ და ევროპულ ფასეულობებს შორის სერიოზული განსხვავებებია, მოსკოვი ცდილობს ევროპული დიდი სახელმწიფოების პრაგმატულ ინტერესებზე ითამაშოს (გერმანიის შემთხვევაში ეს შეიძლება ენერგეტიკული თანამშრომლობა იყოს, საფრანგეთის შემთხვევაში კი ევროპული პოლიტიკის აშშ-სგან უფრო დამოუკიდებლად ქცევის ტრადიციული მცდელობა). თუმცა, ზოგჯერ რუსეთი აშკარად გადაჭარბებულად აფასებს ხოლმე ბერლინისა და პარიზის გავლენას ევროპულ პოლიტიკაზე, რითაც ცხადი ხდება რომ მას ძალიან ცუდად ესმის ევროკავშირის რეალობები (სადაც ყველა სახელმწიფოს თავისი ზომისა და ძალის განურჩევლად ვეტოს უფლება გააჩნია). აქვე ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთმა წარმატებებს მიაღწია საფრანგეთთან და გერმანიასთან (განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელთან) პარტნირობის დამყარების მცდელობაში.

რუსულ-გერმანული პარტნიორობა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად მნიშვნელოვნად გამყარდა ერაყში ამერიკული კამპანიის ერთობლივად დაგმობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ფონზე, რომელმაც პიკს ჩრდილოეთ ნაკადის პროექტის შეთანხმებით მიაღწია (გაზსადენი, რომელმაც რუსეთი ბალტიის ზღვის

გავლით პირდაპირ გერმანიას უნდა დაუკავშიროს). ეს პროექტი აღმოსავლეთ ევროპაში პუტინ-შრიოდერის პაქტად მონათლეს (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ანალოგად). პუტინისეული რუსეთის პოლიტიკამ ენერგეტიკული საკითხი რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობათა დღის წესრიგის უმთავრეს თემად აქცია. აცნობიერებს რა, რომ რუსეთი სამხედრო თვალსაზრისით აშშ-ს ევროპაში მეტოქეობას ვეღარ გაუწევს, რუსეთი პოლიტიკური ექსპანსიის იარაღად ენერგორესურსებს იყენებს. პარადოქსია, მაგრამ ყველა არსებული გაზსადენი (ყოველ შემთხვევაში, ისინი მაინც რომელთა მეშვეობითაც ევროპას მიეწოდება გაზი) საბჭოთა კავშირის დროს აიგო, მაგრამ ეს უკანასკნელი არასოდეს ცდილობდა გაზის პოლიტიკური ზეწოლის იარაღად გამოყენებას (გააჩნდა რა სხვა იარაღებიც). რუსეთის ახლანდელმა რეჟიმმა თავი გამოიჩინა არა მხოლოდ ურჩი მეზობლებისათვის გაზის გადაკეტვით (რამაც შეშფოთება გამოიწვია მსოფლიოში), არამედ ევროპულ ენერგობაზარზე აგრესიული გაფართოებითაც. "გაზპრომმა" შეისყიდა წილები არაერთ ევროპულ გაზგამანაწილებელ ქსელში, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა თავისი მონოპოლია ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში. არ გააჩნია რა ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკა ევროკავშირი უძლურია შეაჩეროს "გაზპრომის" ექსპანსია. რუსეთს კვლავაც არ მოუხდენია ენერგეტიკული ქარტიის რატიფიცირება, რის წყალობითაც კვლავაც ინარჩუნებს თავისუფლებას ენერგეტიკული საკითხების გადაწყვეტის დროს - ანუ, დასავლეთი არ გააკაროს თავის ენერგობაზარს და თვითონ კი ყველაფერი გააკეთოს ევროპულ ენერგობაზარზე შეღწევისათვის. აშშ ევროპისათვის ენერგომოწოდების დივერსიფიკაციის ლობირებას ცდილობს, მაგრამ შესაბამისი პროექტები (მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი - ნაბუკო) ჯერჯერობით გაყინულია.

რუსეთის წარმატებულმა ექსპანსიამ ევროპულ ენერგობაზარზე კიდევ უფრო გაამყარა კრემლის თავდაჯერებულობა და ამბიციები. 2006 წლის აპრილში "გაზპრომის" ხელმძღვანელობა ღიად დაემუქრა ევროკავშირს გაზის გათიშვით თუკი ამ უკანასკნელის წარმომადგენლები

(რომლებიც იმ დროისათვის როგორც იქნა შეშფოთდნენ "გაზპრომის" აგრესიული გაფართოებით) არ "შეწყვეტდნენ ევროპაში "გაზპრომის" საქმიანობისათვის ხელის შეშლას." სხვა შემთხვევაში "გაზპრომი" ალტერნატიულ ბაზარს იპოვიდა. ეს მუქარა სხვა არაფერი იქნებოდა თუ არა ბლეფი, რადგან ალტერნატიულ ბაზრად მხოლოდ ჩინეთი თუ გამოდგება, მაგრამ ეს უკანასკნელი რუსულ გაზს უბრალოდ იმ მიზეზის გამო ვერ მიიღებს, რომ შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არსებობს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთი ხშირად აყენებს ხოლმე რუსეთიდან გაზის იმპორტის საკითხს ორმხრივი მოლაპარაკების დროს, მაგრამ მოსკოვი მუდამ თავს არიდებს კონკრეტული ვალდებულების აღებას. ეს სიფრთხილე იოლი ასახსნელია: ჯერ ერთი, ჩინეთი ნამდვილად არ გადაიხდის ისეთ საფასურს, როგორსაც იხდის ევროკავშირი; მეორეც, რუსულ-ჩინური მეგობრობის ნაძალადევი ჟესტების მიუხედავად კრემლს კარგად უნდა ესმოდეს, რომ რუსული გაზის მიღების შემთხვევაში ჩინეთი კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გაძლიერდება და მეტ საფრთხეს შეუქმნის რუსეთს. ენერგეტიკული საკითხი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა ორმხრივ ურთიერთობებში, რომელიც გარეგნულად ძალიან მეგობრული ჩანს. ეს არ არის ურთიერთობები თანასწორთა შორის: ჩინური საქონელი რუსეთის ბაზარს იპყრობს და სავაჭრო ბალანსს პეკინის სასარგებლოდ ცვლის; ჩინეთის თავდაცვის ბიუჯეტი კი ბოლო წლების განმავლობაში სწრაფად იზრდება, მაშინ როცა რუსეთის შეიარაღებული ძალები ჯერ კიდევ ვერ გამოსულა 90-იანი წლების მძიმე შოკიდან. მოკლედ, ბალანსი ირღვევა და ის შიში, რომელსაც რუსეთი ამ დარღვევის გამო განიცდის, ასე თუ ისე, ხსნის ზოგიერთ დათმობას მოსკოვიოს მხრიდან - მაგალითად, ზოგიერთი აქამდე საკამათო სასაზღვრო ტერიტორიის ჩინეთისათვის გადაცემას. ყურადღებიან რუს ანალიტიკოსებს არ უნდა გამორჩენოდათ კორპორაცია "რენდის" ექსპერტების მიერ გაკეთებული სცენარი ჩინეთის მიერ რუსეთში შესაძლო ინტერვენციის შესახებ. ამ პროგნოზის მიხედვით შეჭრა დაახლოებით 2015 წელს ექნება ადგილი (იმ დროისათვის რუსეთი უკიდურესად დასუსტდება, მისი ბირთვული არსენალი თითქმის

უვარგისი გახდება) იმ რეგიონში, რომელიც ისტორიულად ჩინეთს მიეკუთვნებოდა და სადაც ახლა დიდი ოდენობით მიედინებიან ჩინელი მიგრანტები. "რენდის" მიერ გაკეთებული ამ სცენარების გარეშეც რუსი ანალიტიკოსები და პოლიტიკოსები ალბათ კარგად აცნობიერებენ შორეულ აღმოსავლეთში შექმნილ მძიმე რეალიებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთის პოლიტიკა ჩინეთთან მიმართებაში საკმაოდ ორაზროვანია. აშკარა შიშს ზოგჯერ ანტი-ამერიკული განწყობა და წამოწყებები ძლევს ხოლმე, რაც მოსკოვს პეკინისკენ უბიძგებს. რუსეთი თავის უახლეს ავიაგამანადგურებლებს ყიდის ჩინეთზე და ეს უკანასკნელი უკვე "მიგების" საკუთარ ვარიანტებს აწარმოებს (მოსკოვი კი ამაზე პროტესტს თითქმის არ აცხადებს). ჩინეთთან იარაღით ვაჭრობა წმინდა კომერციული მოგების ინტერესით თუ აიხსნება, რამაც არ შეიძლება არ მოგვაგონოს ლუკიანოვის წუხილი მხოლოდ კომერციაზე ორიენტაციასა და ერთიანი სტრატეგიის არარსებობის თაობაზე.

სხვა დიდ სახელმწიფოებთან რუსეთის ურთიერთობებს თუ შევაჯამებთ, უნდა დავასკვნათ, რომ მოსკოვი აცნობიერებს ჩინურ საფრთხეს, მაგრამ აშშ უფრო დიდ და უშუალო საფრთხედ განიხილება, რომლის დაბალანსებაც აუცილებელია (და თუ საჭიროა, ჩინეთთან პარტნიორობის მეშვეობითაც). ეს არის გადაუდებელი ამოცანა, რომელიც უნდა გადაიჭრას ახლო მომავალში. ხოლო ჩინეთის საკითხი კი უნდა გადაიდოს და ამავე დროს რუსეთმა უნდა მოახერხოს რომ ჩინეთმა მისგან დამატებითი ბუნებრივი რესურსები არ მიიღოს. ევროკავშირი ყველაზე უწყინარი მოთამაშეა, რომელიც "პრომლემებს" მხოლოდ აშშ-სთან მისი ახლო კავშირის გამო ქმნის. სხვა მხრივ იგი საფრთხეს არ წარმოადგენს და ერთობ კარგი სავაჭრო პარტნიორია.

გავლენიანი რუსი პოლიტიკოსები სისტემატიურად უსვამენ ხაზს იმას, რომ მათთვის მიუღებელია ერთპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირება, რომ მსოფლიო მრავალფეროვანია და გეოპოლიტიკური ცვლილებები რეგიონალურ პრინციპებს უნდა დაეფუძვნოს და არა ლიბერალურ — დემოკრატიული იდეოლოგიის საკუთარ ინტერესებში ჩაყენებას... და მის ძალადობრივ გავრცელებას. ე.ი. რუსი ლიდერების

განცხადებით, თანამედროვე რუსული სახელმწიფოსთვის კატეგორიულად მიუღებელია «ისტორიის დასასრულის» დასავლური გაგება და მიიჩნევენ, რომ რუსეთის როლი და ადგილი მსოფლიო გეოპოლიტიკაში, სსრკ–ის დაშლის შემდეგ მართალია გარკვეულწილად შეიცვალა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი, ანგარიშგასაწევი და ძლიერია.

რუსეთის სახელმწიფოს ასეთ ამბიციებს მსოფლიო პოლიტიკაში უდავოდ აქვს რეალური საფუძველი, მიუხედავად ცივი ომის დასასრულისა და სსრკ-ის დაშლის მძიმე მემკვიდრეობისა: დანგრეული ეკონომიკა, ინფლაცია, დემორალიზებული სამხედროები, კორუფციის აღზევება სახელმწიფო დაწესებულებებსა და ძალოვან სტრუქტურებში, მძიმე კრიმინოგენური ვითარება და სხვა. დაახლოებით ამგვარი იყო ელცინისდროინდელი რუსეთი, მაგრამ რუსეთის გარკვეული წრეების მონდომებითა და ხელშეწყობით ხელისუფლებაში მოყვანილ იქნა ისეთი ფიგურა, რომელიც იმდროინდელ რუსულ საზოგადოების ამბიციების დაკმაყოფილებაზე იზრუნებდა, ქვეყანის დაშლას შეჩერებდა და ღრმა კრიზისიდან გამოიყვანდა...

რუსეთის ახალმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რეალურად შეაფასა მოვლენები, ძირეულად შეცვალა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და რუსეთს მსოფლიო არენაზე ახალი იმპულსი შესძინა. პირველ რიგში მან საგარეო ურთიერთობების მოგვარებით დაიწყო და აშშ-სთან ურთიერთობები მოაწესრიგა. ამ სახელმწიფოებს შორის მანამდე არსებული დაძაბული ურთიერთობების სერიოზულ დათბობას ხელი შეუწყო 2001 წლის 11 სექტებრის აშშ-ში მომხდარმა ტერაქტმა. ამ ვითარებაში პრეზიდენტ პუტინის ვიზიტი აშშ-ში ორ ქვეყანას შორის დაგროვილი პრობლემების განხილვასა და მსოფლიოში მიმდინარე აქტუალური საკითხების გადაწყვეტას დაეთმო. რა თქმა უნდა, ყოველივე ამაში დადებითი იმპულსი ისტორიულმა მეხსიერებამაც შეიტანა, განსაკუთრებით იმან, რომ აშშ და რუსეთი (სსრკ) მეორე მსოფლიო ომში იყვნენ მოკავშირეები.

პრეზიდენტ პუტინის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამერიკის შეიარაღებული დანაყოფების ცენტრალურ აზიაში დაშვებაზე, შეიძლება

ითქვას რევოლუციურ წინ გადადგმულ ნაბიჯად იქნა აღქმული მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ რუსეთ –ამერიკის ურთიერთობებში, რამაც საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო რუსეთის ფედერაციის დასავლეთთან ინტეგრირებას, მაგრამ დროის ასეთ მოკლე პერიოდში რუსეთის საზოგადოებისათვის პრეზიდენტ ვ. პუტინის ამგვარი გადაწყვეტილება ძნელად აღსაქმელი აღმოჩნდა, (უკმაყოფილება ღიად გამოხატეს მთელმა რიგმა პოლიტიკურმა პარტიებმა, სამხედროებმა და ა.შ.), მაგრამ როგორც დრომ აჩვენა, საბოლოო ჯამში შემდგომმა მოვლენებმა ამ გადაწყვეტილების სისწორე დაადასტურა.

ვლადიმერ პუტინს, პირველ ყოვლისა, იმ პერიოდში ამერიკისაგან მხარდაჭერა სჭირდებოდა, რათა მომხდარიყო შეთანხმება ეროვნული თავდაცვის სისტემასა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ავღანეთში აშშ-სადმი ომის მხარდაჭერამ რუსეთში ყველას ნათლად დაანახა დასავლეთთან ალიანსში ყოფნის მომგებიანობა და მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყოფნის შესაძლო ნეგატიური მხარეები. დასავლეთთან პარტნიორულმა ურთიერთობამ ვ. პუტინს საშუალება მისცა აქცენტი «ენერგეტიკული იმპერიის» შექმნისაკენ გადაეტანა და «ელცინიზებული» რუსეთი კვლავ მსოფლიოს ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ ექცია. მთელი ევროპა მნიშვნელოვნ წილად გახდა დამოკიდებული რუსეთის ენერგეტიკაზე, რითაც რუსული სახელმწიფო თავის სასარგებლოდ დღემდე მანიპულირებს...

რუსეთი ასეთი მნიშვნელოვანი მიღწევებით მაინც არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან იმპერიულმა ამბიციებმა კვლავ გაიღვიძეს და თავი იჩინეს ისე, რომ საერთაშორისო ურთიერთობებსაც სერიოზული კვალი დაამჩნიეს. რუსეთსა და დასავლეთს შორის მორიგი დაპირისპირება კოსოვოში მიმდინარე მოვლენებაც განაპირობა. კოსოვოს ომმა სერიოზული ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია არა მარტო რუსეთის მოსახლეობაში, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაშიც.

ნატოსთან მიმართებაში რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრაგმატიზმი ეფუძნებოდა განვითარებულ მოვლენებს. პუტინმა 2007 წ. სატელევიზიო გამოსვლისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ კოსოვო შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, მაშინ რატომ არ შეიძლება აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც იყოს დამოუკიდებელი. სართაშორისო ექსპერტების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ რუსეთის მხრიდან მოცემულ პერიოდში იყო დაშვებული სერიოზული შეცდომა იმ თვალსაზრისით, რომ მან სრულად არ გამოიყენა ის შესაძლებლობები, რომლებსაც მას ნატოსთან თანმშრომლობის დოკუმენტები უქმნიდა. ასეა თუ ისე, კოსოვოს პრეცენდენტი მაინც მოხდა, რამაც მთელი რუსეთის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია, შედეგად კი მსოფლიომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარება მიიღო. რუსეთის ფედრაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ერთ ერთ სატელევიზიო გამოსვლისას აღნიშნა, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს შემდეგ მსოფლიო შეიცვალა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთი მსოფლიოში თანასწორი მოთამაშეა და კავკასიაში, აგრეთვე ზოგიერთ სხვა რეგიონში გეოპოლიტიკურ ცვლილებებს არ დაუშვებს. რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებამ კი თავის მხრივ რამოდენიმეჯელ გაახმოვანა მოსაზრება, რომ თუ უკრაინა და საქართველო ნატოში შევლენ, ეს იქნება გეოპოლიტიკური ცვლილება, რაც უკარნახებს რუსეთს გადახედოს საკუთარი უსაფრთხოების კონცეფციას.

დ. მედვედევის აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალ პრეზიდენტად ბარაკ ობამას არჩევამ ორი ქვეყნის ურთიერთობა მკვეთრად გააუმჯობესეს. მან კერძოდ აღნიშნა: «არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ინერციით ბევრი სახელმწიფო იმას აკვირდება, თუ საიდან ქრის ქარი რუსეთ — ამერიკის ურთიერთობებში. დიახ, დღეს ამ ურთიერთობებს არცთუ ისე მარტივი პერიოდი უდგას. ჩვენც ძალიან ბევრი კითხვა გვაქვს, მათ შორის მორალური თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს პრობლემა ამერიკელ ხალხთან. ჩვენ არ გვახასიათებს მტრული ანტიამერიკანიზმი და ვიმედოვნებთ, რომ ამერიკის ახალი

ადმინისტრაციაც არჩევანს რუსეთთან სრულყოფილი ურთიერთობების განვითარების სასარგებლოდ გააკეთებს»...

ამის გარდა, რუსეთის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა კონკრეტული წინადადებაც შესთავაზა საერთაშორისო თანამეგობრობას. «ჩვენ გამოვდივართ გაეროს კარგად გააზრებული რეფორმის ინიციატივით, რეფორმებზე დაყრდნობით კი აუცილებელია გაეროს შეიარაღებაზე კონტროლის საერთაშორისო რეჟიმის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. შეიარაღებაზე კონტროლის განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ოფიციალურ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთქმედებას ენიჭება» . საგარეო პლიტიკური თვალსაზრისით რუსეთი მიიჩნევს, რომ აუცილებელია კრიზისული სიტუაციების რეგულირებისათვის უნივერსალური დიპლომატიური მეთოდების შემუშავება. მედვედევის აზრით, ევროპის უსაფრთხოების ხელშეკრულების მიღება შეთანხმების მონაწილეთათვის ქცევის წესებს გასაგებს გახდიდა. ამ ხელშეკრულებამ ხელი უნდა შეუწყოს კონფლიქტების გადასაწყვეტად ერთიანი მიდგომის შემუშავებას და შეიარაღებაზე კონტროლისათვის საიმედო ინსტრუმენტის შექმნის თაობაზე პოზიციების დაახლოებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:
ა) რუსეთის ახალი როლი გლობალურ გეოპოლიტიკაში ნაკარნახევია როგორც ისტორიული მეხსიერებით, ასევე გარკვეული რევანშისტული განწყობითაც. იმიტომ, რომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთის გეოპოლიტიკურმა დანაკარგებმა საგარეო პოლიტიკური ასპექტით სერიოზულ მასშტაბებს მიაღწია. რუსეთის ფედერაციის თანამედროვე საზღვრები, განსხვავებით სსრკ-ს საზღვრებისაგან წარმოადგენს ამ სახელმწიფოსა და რუსი ერის ნაციონალურ სიამაყეს. ამიტომ ახალ რეალობაში რუსეთის გეოპოლიტიკური ფუნქცია მთლიანად დაეფუძნება გლობალურ და რეგიონალურ ძალთა პოლუსს.

ბ) ევროპა ხელს არ უშლის რუსეთის პოლუსის ჩამოყალიბებას და იგი მის ინტერესებშიც შედის, რადგან იზოლირებული და

ამბიციადაუკმაყოფილებელი რუსეთი შეიძლება გაცილებით უფრო დიდი საფრთხის მატარებელი გახდეს მსოფლიოსათვის.

მსოფლიო პროცესებში ღრმად ჩახედულ ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ამერიკული ძალის პოლუსი XXI ს-შიც შეინარჩუნებს სიძლიერეს და გაბატონებულ მდგომარეობას მსოფლიოს მრავალპოლუსიან სტრუქტურაში, მაგრამ ასევე შეგვახსენებენ, რომ არ უნდა დავივიწყოთ ისტორიული კანონზომიერება, რომელიც დღემდე უდავოდ მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ჯერ კიდევ ვენის კონგრესიდან მოყოლებული, ლამის აქსიომატურ ჭეშმარიტებად იქცა: ერთი, ცალკე აღებული სახელმწიფოს ნებისმიერი მისწრაფება გლობალური ბატონობისაკენ, (თუნდაც ეს ყველაზე ნათელი იდეალებით იყოს ნაკარნახევი), უეჭველად წააწყდება მძაფრ წინააღმდეგობას გაერთიანებული სახელმწიფოებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების მხრიდან, ყოველივე ამას დღეს ანტიგლობალისტური მოძრაობის სახელით იცნობენ. ამდენად, რუსეთი კვლავაც შეეწინააღმდეგება ერთპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირებას და იგი ამ ბრძოლაში მარტო ნამდვილად არ იქნება.

თემა 5

რუსეთის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში

რუსეთი და სამხრეთ კავკასია

თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში "ჩინგიზ-ხანის მემკვიდრეობა" ნიკოლაი ტრუბეცკოი მთელ თავს უძღვნის სამხრეთ კავკასიელ ერებს. იგი წერს, რომ სომხები რუსეთის ბუნებრივი მოკავშირეები არიან, მაგრამ ამავე დროს, რეგიონში ისინი არავის უყვარს და აქედან გამომდინარე სომხეთთან ზედმეტი დაახლოება რუსეთისათვის უარყოფით შედეგებს მოიტანს. აზერბაიჯანი კასპიური ნავთობის გამოა მნიშვნელოვანი, საქართველო კი იმის გამოა მნიშვნელოვანი, რომ თბილისზე კონტროლის დაკარგვას შეიძლება ბაქოზე კონტროლის დაკარგვაც მოჰყვეს. ქართველები სახიფათოები არიან, რადგამ დასავლეთისკენ საკმაოდ აუხსნელ სწრაფვას განიცდიან. იმისათვის, რათა ხელი შეუშალოს საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციას, რუსეთმა აფხაზური ნაციონალიზმი უნდა გააღვივოს.

"ჩინგიზ-ხანის მემკვიდრეობა"'20-იან წლებში დაიწერა და, როგორც ვხედავთ, მოყოლებული იქიდან სამხრეთ კავკასიის მიმართ რუსეთის დამოკიდებულებაში ბევრი არაფერი შეცვლილა. ტრუბეცკოიმ ყველა ნიუანსი დაიჭირა გარდა ერთისა, რომელიც უკავშირდება სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიულ სიახლოვეს სრუტეებთან. მას სტრუტეები არ უხსენებია, რადგან მიაჩნდა, რომ რუსეთის მიერ ამ რეგიონის მიმართ ყურადღება დიდი შეცდომა იყო გამომდინარე რუსეთის მცდელობიდან ქცეულიყო ევროპული ტიპის დიდ სახელმწიფოდ. მაგრამ სრუტეების ფაქტორთან ერთად ტრუბეცკოის ანალიზი სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ინტერესებზე თითქმის ყველაფერს გვეუბნება.

რუსეთის ინტერესებს სერიოზული საფრთხე 1980-იანი წლების ბოლოს დაემუქრა, როცა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ნაციონალისტური მოძრაობები მოედო. მოსკოვს ძალიან უჭირდა ეროვნული თვითგამორკვევის პროცესის შეჩერება, რომელსაც სამივე რესპუბლიკა სრული დამოუკიდებლობისკენ მიჰყავდა. 1989 წლის აპრილში ქართველების, ხოლო 1990 წლის იანვარში აზერბაიჯანელების წინააღმდეგ გამოყენებულმა ძალამ ნაციონალისტური განწყობა მხოლოდ კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა და გააძლიერა. მაგრამ ძალიან მალე სამხრეთ კავკასია ერთგვარ ბრძოლის ველად იქცა, სადაც სომხები აზერბაიჯანელებს ეომებოდნენ, ქართველები კი სეპარატისტებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. კონფლიქტებმა არა მხოლოდ შეაფერხა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების განვითარება, არამედ ისინი რუსეთზე ერთობ დამოკიდებულებად აქცია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ომში გამარჯვებას მხოლოდ ის მხარე მოახერხებდა, რომელიც მოსკოვიდან სამხედრო დახმარებას მიიღებდა. რა თქმა უნდა, ეს დახმარება უანგარო არ იყო. აზერბაიჯანულ-სომხური კონფლიქტი საბოლოოდ შეწყდა ისეთ ვითარებაში, როცა სომხებმა არა მხოლოდ სადავო მთიანი ყარაბაღის, არამედ აზერბაიჯანის ძირითადი ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს. აზერბაიჯანულ-რუსული ურთიერთობები საგრძნობლად გაფუჭდა, მაგრამ სამაგიეროდ რუსეთმა გააძლიერა თავისი გავლენა და ყოფნა (არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ეკონომიკურიც) სომხეთში. ამ უკანასკნელის ურთიერთობები აზერბაიჯანთან და თურქეთთან პრაქტიკულად გაიყინა, რითაც იგი კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული გახდა რუსეთზე. რაც შეეხება საქართველოს, იგი ჩათრეული აღმოჩნდა არა მხოლოდ სეპარატისტებთან ომში, არამედ მძიმე და სისხლიან სამოქალაქო დაპირისპირებაშიც. აფხაზეთში სეპარატისტებთან ომის წაგების შემდეგ (აფხაზებს თითქმის ღიად ეხმარებოდა რუსეთი) საქართველოს მთავრობა სამოქალაქო ომში დამარცხების საფრთხის წინაშე დადგა და იძულებული გახდა დახმარება რუსეთისათვის ეთხოვა. სანაცვლოდ საქართველოს მთავრობაში წამყვან პოსტებზე პრორუსული პირები დაინიშნენ და ქვეყანა დსთ-ში შევიდა იმ იმედით, რომ ადრე თუ

გვიან მოსკოვს გული მოულბებოდა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დაეხმარებოდა. რუსეთმა თითქოსდა მთლიანად დაიბრუნა კონტროლი რეგიონზე. ერთადერთ პოტენციურ პრობლემას აზერბაიჯანი წარმოადგენდა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ამ ქვეყანაში ერთადერთი ინტერესი ნავთობი იყო, ბაქოს იმედგაცრუება პრობლემებს ვერ შექმნიდა – აზერბაიჯანულ ნავთობს ხომ მაინც რუსეთზე უნდა გაევლო სხვა ალტერნატივის არარსებობის გამო.

გარდამტეხ მომენტად სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკაში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ინიცირება იქცა. ალტერნატიული ენერგომარშრუტის გამოჩენამ ძირი გამოუთხარა სტატუს კვოს და ბოლო მოუღო რუსეთის ჰეგემონიას რეგიონში. საქართველო მაშინვე მიესალმა დასავლეთთან დაახლოების შესაძლებლობას და ნატოში თავისი ინტეგრაციის საკითხიც კი დააყენა. სამხრეთ კავკასია კიდევ ერთხელ უსხლტებოდა ხელიდან რუსეთს. ამას ისიც დაემატა, რომ ჩეჩენმა მეამბოხეებმა თავად რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას შეუქმნეს საფრთხე. ძველი რუსული სტრატაგემის მიხედვით რეგიონის სრული კონტროლი მაშინ იყო შესაძლებელი, თუკი მეზობელი რეგიონებიც კონტროლდებოდა. სამხრეთ კავკასიის დაკარგვით ჩრდილოეთ კავკასიაც დაიკარგებოდა.

კავკასია უმთავრესი საკითხი იყო, რომელიც პუტინს უნდა გადაეჭრა. 2000 წლისათვის მოულოდნელად გაპრეზიდენტების შემდეგ მას ნამდვილად ესაჭიროებოდა სწრაფი და გადამწყვეტი გამარჯვება თავისი მდგომარეობის გასამყარებლად. ჩეჩნეთში მიმდინარე სამხედრო კამპანიის სრულმასშტაბიან ომად გადაქცევასთან ერთად მან გააძლიერა ზეწოლა საქართველოზე – მომავალი სამხრეთ კავკასიური ენერგოკორიდორის ყველაზე სუსტ რგოლზე. მან საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღება ბრძანა, რის მოტივადაც ჩეჩნეთში სეპარატისტებთან ომის საჭიროება დაასახელა (საქართველოს თავისი ტერიტორიიდან რუსეთში მუსლიმანი მებრძოლების შეშვებაში ედებოდა ბრალი). მაგრამ სინამდვილეში მიზანი ალბათ საქართველოს ეკონომიკისათვის ძირის გამოთხრა იყო, რადგან ეს უკანასკნელი ძალიან

იყო დამოკიდებული რუსეთის შრომის ბაზარზე. 2000 წლის დასაწყისში პუტინმა ხელი მოაწერა რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას (რომელიც 2009 წლის შუაგულამდე იყო ძალაში), რომელმაც, როგორც ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ამოცანა, წინ წამოსწია "საზღვარგარეთ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის საკითხი მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ზომების მეშვეობით". აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებისათვის რუსული პასპორტების გაცემით რუსეთი უკვე პრეტენზიას აცხადებდა უფლებაზე ჩარეულიყო საქართველოს შიდა საქმეებში სხვადასხვა ზომებით, რომლებიც სამხედრო ზომებსაც გულისხმობდა (სწორედ ამას ნიშნავდა "სხვა ზომები"). საქართველოზე პუტინის ზეწოლამ უკუშედეგი გამოიღო. 2002 წელს აშშ-მა თავისი სამხედრო ინსტრუქტორები გაგზავნა საქართველოში ადგილობრივი შეიარაღებული ძალების ტერორისტებთან (რომლებიც, როგორც რუსეთი ირწმუნებოდა, საქართველოში თავშესაფარს ნახულობდნენ) ბრძოლისათვის მოსამზადებლად. რუსეთი ჯერ კიდევ სუსტი იყო, რათა რაიმეთი ხელი შეეშალა აშშ-ის მიერ მის გავლენის სფეროში ამ შემოღწევისათვის. თუმცა, თავისი შიდა სისუსტეების გამო (ფართოდ გავრცელებული კორუფცია, სიღარიბე, სეპარატიზმი და სუსტი სახელმწიფო მმართველობა) საქართველო კვლავ რჩებოდა ყველაზე სუსტ რგოლად, რომელიც შეიძლებოდა (და უნდა) გაწყვეტილიყო. მოსკოვმა მწვანე შუქი აუნთო თავის ენერგოგიგანტებს ("გაზპრომსა" და "რაო ესს") საქართველოში წარმატებული ექსპანსიისათვის (როგორც მათ მანამდე ეს უკვე გააკეთეს სომხეთში). ამავე დროს რუსეთი ყველანაირად ცდილობდა საქართველო "არშემდგარ ქვეყნად" წარმოეჩინა, რითაც იგი რაღაცნაირად გაამართლებდა საქართველოს შიდა საქმეებში შესაძლო ჩარევას. არშემდგარი ქვეყნის პროპაგანდა მხოლოდ 2003 წლის ნოემბერში, ვარდების რევოლუციასთან ერთად დასრულდა, რომელმაც უზარმაზარი სტიმული მისცა საქართველოს მოდერნიზაციის პროცესს და დასავლეთში დემოკრატიის ახალი ტალღის დაბადების იმედები გააჩინა (რამაც თავის მხრივ ახალი შიშები მოსკოვს გაუჩინა).

2003 წლის შემდეგ საქართველოსთან ურთიერთობები კიდევ უფრო გაუარესდა, მაშინ როცა აზერბაიჯანთან და სომხეთთან მიმართებაში ისინი დიდად არ შეცვლილა. აზერბაიჯანულ-სომხური კონფლიქტი გაყინულ მდგომარეობაში რჩებოდა, ისევე როგორც სომხეთი რუსეთის გავლენის ქვეშ. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ალტერნატიულ ენერგეტიკულ პროექტებში მონაწილეობის მიუხედავად მისი საგარეო პოლიტიკა მაინც საკმაოდ დაბალანსებული იყო (განსხვავებით ქართულისაგან). იგი თანამშრომლობდა დასავლეთთან და ამავე დროს რუსეთის შესახებაც არ ივიწყებდა. თავის მხრივ, მოსკოვიც სიფრთხილეს იჩენდა. აზერბაიჯანის შიდა სისუსტეები უკვე გამოყენებულ იქნა; ქვეყანა სტაბილური და საქართველოზე გაცილებით უფრო მეტად დაცული იყო. ამ ვითარებაში რუსეთის მთავარ მიზანს წარმოადგენდა არ დაეშვა აზერბაიჯანის ჩართვა ახალ ენერგერგეტიკულ პროექტებში, რომლებიც კიდევ უფრო მეტად გამოუთხრიდა ძირს რუსეთის მონოპოლიას. საქართველოსთან ომის შემდგ (რომელზეც ქვემოთ წავა საუბარი) "გაზპრომმა" ბაქოს მთელი აზერბაიჯანული გაზის შესყიდვაც კი შესთავაზა. რასაკვირველია, ეს გარიგება სერიოზულ დარტყმას მიაყენებდა ალტერნატიულ ენერგეტიკულ პროექტებს და რეგიონში დასავლეთის გავლენას შეამცირებდა. მაგრამ ამ საკითხზე მოლაპარაკებები გაიწელა და ნაკლებად სავარაუდოა ბაქო მის პოლიტიკაში ასეთ მკვეთრ ცვლილებაზე წავიდეს. თეორიულად ეს მაშინ მოხდება, თუკი რუსეთი აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე წავა, მაგრამ ეს ისეთი დათმობაა, რომელიც მოსკოვს ცალკე თავსატეხს გაუჩენს. მთლიანი ყარაბაღის აზერბაიჯანისათვის დათმობით რუსეთის პოზიცია სომხეთში სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგება. გარდა ამისა, რუსეთი ამ გარიგებაზეც რომ წავიდეს, მისი განხორციელება ძალიან რთული იქნება. მთიანი ყარაბაღი ერთგვარი ჯინია, რომელიც ბოთლიდან გამოუშვეს და ახლა უკვე ძნელად კონტროლდება.

მოსკოვი ყოველთვის ხვდებოდა, რომ აქცენტი საქართველოზე უნდა გადაეტანა, რადგან ამ უკანასკნელს არაერთი შიდა სისუსტე გააჩნდა და ამავე დროს ნატოსკენ მიისწრაფოდა. რუსეთმა დიდი

ხელოვნებით ითამაშა იმ შიშზე, რომელსაც ევროპაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სეპარასტისტული კერები იწვევდა. მოსკოვი გამუდმებით არწმუნებდა დასავლეთს, რომ საჭიროების შემთხვევაში აუცილებლად დაიცავდა თავის მოქალაქეებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. საქართველოს ნატოში შესვლა მის ტერიტორიაზე რუსული ჯარებითურთ (თუნდაც სამშვიდობოების რანგში) სხვა არაფრით თუ არა სამხედრო დაპირისპირებით დასრულდებოდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეთნიკური კონფლიქტები უნდა გადაეჭრა და რუსი სამშვიდობოებისგან განთავისუფლებულიყო. თუმცა, მოსკოვის კეთილი ნების გარეშე კონფლიქტების გადაჭრა ძნელად წარმოსადგენი იყო, ხოლო მოსკოვს კი მრავალი მიზეზი ჰქონდა რათა ეს არ გაეკეთებინა (ამ მიზეზებთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყარაბაღის მსგავსად აფხაზეთიცა და სამხრეთ ოსეთიც გარკვეულწილად ბოთლიდან გამოშვებულ ჯინებად იყვნენ ქცეულნი). საქართველოს ხელისუფლება მოთმინებას კარგავდა შექმნილ გამოუვალ მდგომარეობაში. 2008 წლის აპრილში ბუქარესტში გამართულ ნატოს სამიტზე გადაწყდა, რომ საქართველოსა და უკრაინისათვის დიდი ხნის ნანატრი გაწევრიანების სამოქმედო გეგმა არ მიეცათ, რამაც თბილისი კიდევ უფრო სასოწარკვეთილი, მოსკოვი კი უფრო თავდაჯერებული გახადა. რუსეთმა აფხაზეთში თავისი სამხედრო ყოფნა კიდევ უფრო გააფართოვა, რითაც ცხადი გახადა, რომ ამ ანკლავის ანექსია მხოლოდ დროის საკითხი იყო (აფხაზური შავი ზღვის სანაპიროს მნიშვნელობა მოსკოვისათვის გასაგები გახდება თუკი გავითვალისწინებთ, რომ რამდენიმე წელიწადში რუსეთის შავი ზღვის ფლოტს შეიძლება ყირიმის დატოვება მოუხდეს). ნერვების ომი 2008 წლის აგვისტოში ნამდვილ ომში გადაიზარდა. რუსეთმა არა მხოლოდ უკუაქცია ქართული არმია, არამედ საქართველოს ტერიტორის ძირითად ნაწილშიც შეიჭრა, რითაც თბილისი მსხვერპლად აქცია მსოფლიო საზოგადოების თვალში და დასავლეთისგან სასტიკი კრიტიკაც დაიმსახურა. საქართველოს ძირითად ტერიტორიაზე შეჭრის გადაწყვეტილება შეიძლება აიხსნას მოსკოვის სურვილით მიეღწია თვალსაჩინო წარმატებისა და გამარჯვებისათვის, ეძია შური დამცირების

შემდეგ, დაესაჯა "უმადური" ქართველები და აღედგინა ცივ ომში დამარცხების შემდეგ გამქრალი სიდიადის შეგრძნება. იმავე დროს, საქართველოში შეჭრითა და თბილისთან მიახლოების მეშვეობით რუსეთის ხელმძღვანელობა ალბათ იმედოვნებდა, რომ შეშინებული და დამცირებული ქართველი ხალხი საჯარო დემონსტრაციებს მოაწყობდა თავისი ავანტიურუსტული მთავრობის წინააღმდეგ და ეს უკანასკნელიც დედაქალაქიდან გაქცევით უშველიდა თავს. აგვისტოში რუსეთის ქცევა გარკვეულწილად სააკაშვილსა და პუტინს შორის არსებული პიროვნული შუღლითაც უნდა აიხსნას, რაც ხაზს უსვამს პიროვნების უზარმაზარ როლს რუსეთის ოფიციალურ პოლიტიკაში. საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ სულ მალე მოსკოვმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად სცნო, რითაც ამ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების განთავსების უფლება დაიბევა. ეს ყველაფერი იმ იმედით გაკეთდა, რომ დასავლეთი გადაყლაპავდა რუსეთის გაძლიერებას და რუსეთის აგრესიის სიტყვიერი დაგმობის იქითY არ წავიდოდა (რაც სიმართლე გამოდგა).

აცნობიერებდა რა, რომ საქართველოს წინააღმდეგ აგრესია გარკვეულ დაბალანსებას საჭიროებდა, მოსკოვი ყარაბაღის თაობაზე სამშვიდობო ინიციატივით გამოვიდა, რომელსაც 2008 წლის 2 ნოემბერს რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების მიერ ერთობლივ სამშვიდობო დეკლარაციაზე ხელის მოწერა მოჰყვა. თუმცა, დეკლარაციას არანაირი კონკრეტული ღონისძიება არ მოჰყვა, რომელიც რუსეთს რეგიონში კონსტრუქციულ მოთამაშედ წარმოაჩენდა და საქართველოსთან ომის შემდეგ მის შერყეულ იმიჯს გამოაკეთებდა. ის ფაქტი, რომ ოფიციალურმა ბაქომ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო (რაც რუსულმა პრესამ მოსკოვის საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთ დიდ გამარჯვებად შეაფასა) იოლად აიხსნება: საქართველოს კატასტროფულმა დამარცხებამ აზერბაიჯანს სრულიად გასაგები შიში აღუძრა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის განადგურებით რუსეთი ასევე ანადგურებდა დასავლეთთან აზერბაიჯანის დამაკავშირებელ გზასაც და ერთ-ერთზე რჩებოდა ბაქოსთან (უნდა აღინიშნოს, რომ აგვისტოს ომის

დროს რუსეთის კასპიურმა ფლოტმა მანევრები გამართა, რაც ალბათ გამაფრთხილებელი სიგნალი იყო ბაქოსთვის). პრეზიდენტ ალიევს უკიდურესი სიფრთხილე მართებდა ქართულ-რუსული ომის შემდეგ, მაგრამ როგორც კი ცხადი გახდა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა გადარჩა, აზერბაიჯანის მხრიდან სომხეთთან შერიგების ჟესტები შეწყდა. რუსეთის წინადადებები გაზის შესყიდვის თაობაზე ასევე უკუგდებულ იქნა. სტატუს კვო სამხრეთ კავკასიაში არ შეცვლილა თუკი არ ჩავთვლით რუსეთის გაფართოებულ სამხედრო ყოფნას საქართველოს სეპარატისტულ ანკლავებში. აზერბაიჯანთან ურთიერთობები კვლავაც დაძაბული რჩება ყარაბაღის პრობლემის გამო, ხოლო სომხეთი კვლავაც ერთგული მოკავშირეა, რომელიც ამისდა მიუხედავად მანევრირების გარკვეულ საშუალებას მაინც ინარჩუნებს (მაგალითად, ერევანმა უარი განაცხადა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცნობაზე). ამგვარ ვითარებაში რუსეთის შემდგომი ზეწოლის ყველაზე რეალურ ობიექტად ისევ საქართველო რჩება, მითუმეტეს რომ მოსკოვს კვლავაც აქვს მიზეზები უმაყოფილო იყოს ომის საბოლოო შედეგებით (მიუხედავად იმისა, რომ სეპატატისტულ ანკლავებზე სრული კონტროლი დაამყარა), უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ალტერნატიული ენერგოკორიდორი კვლავაც ფუნქციონირებს მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებების დროს რამდენიმე რუსული ჭურვი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მახლობლად აფეთქდა (ცხადია, ეს შეიძლება განგებ გაკეთდა ამ ენერგომარშრუტის დისკრედიტრაციის მიზნით). გარდა ამისა, საქართველოს შემთხვევაში ვითარების გამწვავების მცდელობას ნამდვილად აქვს აზრი, რადგან ომის შემდეგ ამ ქვეყნის სტრატეგიული მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, მისი მთავრობა კრიტიკის ობიქტადაა ქცეული და მას შეიძლება კვლავაც გაუჩნდეს პრობლემები ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით, რომლებიც კვლავაც არ არიან ინტეგრირებულნი საზოგადოებაში.

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ახლანდელი პოზიციების შეფასება რომ დავასრულოთ აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთY ბოლოდროინდელი რუსულ-თურქული დაახლოება, რომელიც ქართულ-

რუსული ომის დამთავრებიდან მალე დაიწყო. აშკარად შეეშინდა რა რეგიონში რუსეთის რუსეთის ექსპანსიის, ანკარა "კავკასიაში სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმის" ინიციატივით გამოვიდა. ინიციატივას ჯერჯერობით არანაირი კონკრეტული ნაბიჯი არ მოჰყოლია, რაც რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას მოიტანდა, მაგრამ მოსკოვმა ყველაფერი გააკეთა, რათა ინიციატივა თურქეთთან დაახლოებისათვის გამოეყენებინა. 2009 წლის თებერვალში პრეზიდენტმა მედვედევმა თავის თურქ კოლეგას უპასპინძლა და, ახალ საერთო ენერგეტიკულ პროექტებზე შეთანხმების გარდა კავკასიურუი საქმეებიდან არარეგიონული სახელმწიფოების გამორიცხვის შესახებ ისაუბრა. ყოფილ საბჭოთა კავშირში აშშ-ის გავლენის განეიტრალებისათვის ბრძოლაში მოსკოვი თავის ისტორიულ მეტოქესთან დაახლოებას ცდილობს.

რუსეთი შუა აზიაში

რუსეთის ექსპანსია შუა აზიაში კავკასიაზე უფრო გვიან დაიწყო. მე-19 საუკუნის შუაგულში რეგიონში რუსეთის გაფართოებამ სერიოზული განგაში გამოიწვია ბრიტანეთში, სადაც ფიქრობდნენ, რომ რუსეთი ინდოეთში შეჭრისთვის პლაცდარმს იმზადებდა. რეგიონში პირველობისათვის ბრძოლა (რომელსაც დიდი თამაში უწოდეს) საბოლოოდ 1907 წელს დასრულდა, როცა ლონდონი და სანკტ პეტერბურგი გავლენის სფეროების განაწილებაზე შეთანხმდნენ. ამ შეთანხმების მიხედვით რუსეთი არ უნდა გაფართოებულიყო თურქესტანს იქით (ავღანეთისა და ტიბეტის მიმართულებით) და თავისი გავლენის სფერო მიიღო სპარსეთში. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ შუა აზიაში რამდენიმე საბჭოთა რესპუბლიკა გაჩნდა და რეგიონის მნიშვნელობა გაიზარდა არა მხოლოდ სტრატეგიული მდებარეობის (რის გამოც მე-19 საუკუნეში რუსებმა იქაურობა აითვისეს) არამედ დიდი ოდენობით ენერგორესურსების გამოც.

1980-იანი წლების ბოლოს, როცა საბჭოთა რესპუბლიკებში ნაციონალისტურმა მოძრაობებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა

რუსეთის იმპერიას, შუა აზიის რესპუბლიკები მორჩილებას იჩენდნენ და მოსკოვის ერთგულები რჩებოდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონზე რუსეთის გავლენა საკმაოდ შესუსტდა, რამაც სხვა სახელმწიფოებს დიდ თამაშში ჩართვის შესაძლებლობა მისცა. თურქეთი ერთი-ერთი პირველი იყო, ვინც შესაძლებლობის გამოყენება სცადა და ყოფილ თურქესტანში კულტურული, ეთნიკური და რელიგიური კავშირების მეშვეობით გავლენის სფეროს გაფართოებას შეუდგა. მაგრამ ანკარას მცდელობებმა შეაშფოთა ადგილობრივი ლიდერები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რესპუბლიკებს თავის ნება-სურვილზე მართავდნენ. უკვე 1990-იანების დასაწყისში შუა აზის რესპუბლიკები შუა საუკუნეებისეულ ისლამურ დიქტატურებად იქცნენ, რომლებიც ისტორიის მცოდნეებს ბუხარასა და ხივას აგონებდა. თურქული გავლენის გავრცელება, სხვა ყველაფერთან ერთად, გარკვეულწილად დემოკრატიული მმართველობისა და ლიბერალიზმის ფასეულობების გავრცელებას ნიშნავდა. ამის წყალობით რუსეთს რეგიონში სერიოზული ალტერნატივა არ გამოუჩნდა და სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიისგან განსხვავებით შუა აზიის რესპუბლიკები სეცესიასა და ირედენტისტულ კონფლიქტებს გადაურჩნენ (რუსეთი არ იყო დაინტერესებული მათ გაღვივებაში) მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი კონფლიქტებისათვის პოტენციალი არსებობდა (უპირველეს ყოვლისა ფერგანას ველის სახით, რომელიც შუა აზიის ყველაზე ნაყოფიერ ადგილს წარმოადგენს და უზბეკეთს, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს შორისაა განაწილებული). ადგილობრივი მმართველები აღმოსავლური დიპლომატიის საუკეთესო ტრადიციებში რუსეთს მათი სისუსტეების გამოყენების არანაირ საბაბს არ აძლევდნენ და ამ მხრივ ყველაზე მეტად თავი ყაზახეთმა გამოიჩინა. ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი რუსული უმცირესობა ცხოვრობდა და აქედან გამომდინარე პრეზიდენტი ნაზარბაევი დიდ სიფრთხილეს იჩენდა რუსეთთან ურთიერთობაში, რომელიც ძველი გავლენის დაკარგვით გაღიზიანებული შურისძიებაზე ოცნებობდა და განტევების ვაცებს ეძებდა (ეს ნიშა მშვენივრად შეავსო საქართველომ). პოლიტიკური ლოიალობის სანაცვლოდ ყაზახეთმა

თავისი ეკონომიკა განავითარა და პრაქტიკულად რეგიონულ ლიდერადაც იქცა. დასავლეთთან ახლო ეკონომიკური კავშირების მიუხედავად (1990-იანი წლების შუაგულში ყაზახეთმა თავის უდიდეს საბადოებზე ამერიკული ენერგოგიგანტები დაუშვა) ნაზარბაევს არასოდეს დაუყენებია სერიოზული ეჭვის ქვეშ თავისი პრო-მოსკოვური ორიენტაცია და დუგინის მიერ "ერთ-ერთ უდიდეს ევრაზიელად" იქნა დასახელებული.

შუა აზიის კიდევ ერთი ქვეყანა, რომელიც დიდ როლს თამაშობდა რუსეთის რეგიონულ პოლიტიკაში, ტაჯიკეთი იყო. დამოუკიდებლად გახდომისთანავე ეს სახელმწიფო სამოქალაქო ომის მორევში აღმოჩნდა, რასაც ავღანეთიდან ინტერვენცია მოჰყვა (ეს უკანასკნელი მხარს ოპოზიციას უჭერდა). ცხადია, მოსკოვი ვერ შეეგუებოდა ტაჯიკეთში ტერორიზმისა და ფუნდამენტური ისლამის კერის გაჩენას. შესაბამისად, რუსეთი სამოქალაქო ომში ჩაება და კონფლიქტის დასრულების შემდეგ ქვეყნის ტერიტორია აღარ დაუტოვებია.

რეგიონის პოლიტიკური ლანდშაფტი მნიშვნელოვნად შეიცვალა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. პუტინმა აშშ-ს ტერორიზმთან წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება შესთავაზა და ახალი რუსულ-ამერიკული თანამშრომლობის წყალობით შუა აზიაში ამერიკული სამხედრო ბაზები გაჩნდა. მაგრამ მოსკოვი სანაცვლოდ სერიოზულ დათმობებს ელოდა (სავარაუდოდ სამხრეთ კავკასიაში) და როცა ისინი ვერ მიიღო, სულ უფრო და უფრო ღიად დაიწყო უკმაყოფილების გამოხატვა რეგიონში აშშ-ის სამხედრო ყოფნის გამო. გარდა ამისა, რუსეთი შიშობდა, რომ ვაშინგტონი შუა აზიაში სამხედრო ყოფნით არ დაკმაყოფილდებოდა და პოლიტიკური და იდეოლოგიური გავლენის მოპოვებასაც შეეცდებოდა. რუსი მკვლევარები გულდასმით სწავლობდნენ აშშ-ის პოლიტიკას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში და გარკვეული ლოგიკისა და თანმიმდევრობის დანახვა შეძლეს: აშშ ჯერ სამხედრო ბაზას ხსნიდა რომელიმე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში; შემდეგ, როცა უკვე ფეხს მოიკიდებდა, ადგილობრივ მთავრობის კრიტიკას იწყებდა ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო და რეჟიმის

ცვლილებას ამზადებდა. ეს ეჭვები გამძაფრდა კიდევ ერთი ფერადი რევოლუციით, ამჯერად ყირგიზეთში (2005 წლის მარტში) - ქვეყანაში, რომელიც იქამდე რუსეთს "იდეოლოგიურ დისკომფორტს" არასოდეს უქმნიდა. იმ დროს საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ რუსეთის გარშემო პრო-ამერიკული "ნარისნჯისფერი რეჟიმების" რკალი იქმნებოდა. ტრადიციული შიშები გარე მტრებისა და ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის თაობაზე მართლდებოდა. თუკი "ნარინჯისფერმა ვირუსმა" თვით შუა აზიურ რესპუბლიკაში შეაღწია, მაშინ ამისგან აღარცერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა არ იყო დაზღვეული. თუმცა, ეს შიშები უსაფუძვლო გამოდგა. ჯერ ერთი, ყირგიზეთი რეგიონში ყველაზე უფრო ლიბერალური სახელმწიფო იყო და მისმა ნაკლებად რეპრესიულმა რეჟიმმა უბრალოდ ვერ გაუძლო სამოქალაქო არეულობას, მაშინ როცა სხვა შუა აზიური რეჟიმები არა მხოლოდ უფრო რეპრესიული, არამედ უფრო სტაბილურიც იყო. გარდა ამისა, პოსტ-რევოლუციური ყირგიზული რეჟიმი არც ისე დემოკრატიული და პრო-ამერიკული აღმოჩნდა, როგორც ამის იმედი დასავლეთის მემარცხენეებს ჰქონდათ. იქიდან სულ რაღაც ორ თვეში კი უზბეკეთის მთავრობა სასტიკად გაუსწორდა სახალხო მღელვარებას ქალაქ ანდიჯანში. პრეზიდენტი ქარიმოვი დაეჭვდა, რომ ეს მხოლოდ რევოლუციის დასაწყისი იყო და, როცა ვაშინგტონმა იგი ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის გააკრიტიკა, მან ამერიკულ ჯარებს მისი ქვეყნის ტერიტორიის დატოვება მოსთხოვა და სუუამიდანაც (რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს საქართველოს, აზერბაიჯანს, უკრაინას და მოლდოვას) გამოვიდა. მოსკოვი ზეიმობდა. ახლა მას შეეძლო ადგილობრივი ლიდერების "ნარინჯისფერ" შიშებზე ეთამაშა და ამგვარად რეგიონში თავისი გავლენა განემტკიცებინა. აშშ-ს კი შუა აზიაში ანდიჯანის დილემა ყოველთვის დაუდგებოდა. იგი კასპიური რესურსებით და ავღანეთში სამხედრო კამპანიის გასაგრძელებლად შუა აზიაში სამხედრო ბაზების შენარუნებით იყო დაინტერესებული, მაგრამ ამავე დროს არ შეეძლო თვალი დაეხუჭა ადამიანის უფლებათა აშკარა დარღვევაზე და ამგვარი ფაქტები უნდა ეკრიტიკებინა, რაც ადგილობრივი დიქტატორებისათვის

მიუღებელი იყო. რაც შეეხებოდა რუსეთს, მას დიდად არ აინტერესებდა ლიბერალური ფასეულობები და ამგვარად მშვენივრად ეწყობოდა შუა აზიელ ლიდერებს.

უზბეკეთში ბაზა მხოლოდ დასაწყისი იყო. კიდევ ერთი ყირგიზეთში რჩებოდა. მოსკოვს გააჩნდა გარკვეული საფუძველი ეფიქრა, რომ მას არაფერში სჭირდებოდა ამერიკელების სამხედრო ყოფნა. რუსებმა შეძლეს ავღანელების დამარცხება ტაჯიკეთში და, აქედან გამომდინარე, ამერიკული ბაზები რუსეთის უსაფრთხოების ინტერესებზე უფრო მეტად აშშ-ის ექსპანსიონისტურ ზრახვებს ემსახურებოდა. 2005 წლის ივლისში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტზე ყირგიზეთში ამერიკული ბაზის ყოფნის ვადების განსაზღვრის საკითხი დაისვა. 2006 წლის აპრილში მოსკოვში გამგზავრების წინ ყირგიზეთის ახალი პრეზიდენტი ბაკიევი წლის ბოლოსთვის ბაზის დახურვით დაიმუქრა. ილუზიები ყირგიზეთის მთავრობის პრო-ამერიკულობაზე საბოლოოდ გაიფანტა, მაგრამ აშშ-ის ბაზა მაინც რჩებოდა ერთგვარი დასავლური ორიენტაციის სიმბოლოდ მაშინ როცა ყირგიზეთის გარშემო იყვნენ ფრთხილად მოთამაშე ყაზახეთი, ტაჯიკეთი (ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე 11 სექტემბრის შემდეგ ისევ იმყოფებოდნენ ნატოს წევრი სახელმწიფოების ჯარები, მაგრამ ქვეყანა მაინც რუსეთის სერიოზული გავლენის ქვეშ რჩებოდა) და უზბეკეთი და თურქმენეთი (დიქტატურები, რომლებიც თავიანთი გაზის ექსპორტს რუსეთზე გავლით ახდენდნენ და ამითაც იყვნენ დაკავშირებულნი მოსკოვთან).

იმ დროისათვის უკვე ნავთობზე ფასების ფასების მკვეთრმა მატებამ და ევროპის "გაზპრომზე" დამოკიდებულებამ დასავლეთში შეშფოთება გამოიწვია და ამან ბუნებრივად გაზარდა შუა აზიის მნიშვნელობა. რუსეთი ერთადერთი ადგილი იყო, რომლის გავლითაც შუა აზიური ნავთობი და გაზი შეიძლებოდა მსოფლიო ბაზარზე გასულიყო და მოსკოვი, ცხადია, ამ პრივილეგიის დათმობას არ აპირებდა. 1990-იანი წლების ბოლოს კრემლმა თავისი გულისწყრომა გამოხატა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტთან დაკავშირებით. არადა, შეიძლება ითქვას, რომ ამ მილსადენმა მხოლოდ ოდნავ თუ შეარყია რუსეთის მონოპოლია კასპიურ

ენერგორესურსებზე. პროექტი სახიფათო იყო არა როგორც მილსადენი (როგორც ასეთი), არამედ როგორც პრეცედენტი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი მოჰყვა, რამაც კრემლში მეტი შეშფოთება გამოიწვია, რადგან მილსადენს შეიძლებოდა დაეკავშირებინა განხილვის სტადიაში მყოფი ნაბუკოსა და ტრანსკასპიური მილდადენები, რითაც ალტერნატიულ კორიდორებში არა მხოლოდ აზერბაიჯანი, არამედ უკვე შუა აზიაც ჩაერთვებოდა თავისი კასპიური მარაგებით. გარდა ამისა, პუტინი ნავთობაზე უფრო მეტ მნიშვნელობას გაზს ანიჭებდა. მოსკოვმა ბევრი ხერხი სცადა ნაბუკოს პროექტის ჩასაგდებად და საბოლოოდ თურქმენეთსა და ყაზახეთს უმნიშვნელოვანესი შეთანხმება გამოსტყუა, რომლის მიხედვითაც თურქმენეთიდან რუსეთზე ყაზახეთის გავლით ახალი გაზსადენი უნდა აშენდეს. გარიგებას ჯერჯერობით არანაირი კონკრეტული ნაბიჯი არ მოჰყოლია, მაგრამ ამავე დროს მან მნიშვნელოვნად შეასუსტა ნაბუკოს პოზიციები. რუსეთს შეუძლია კმაყოფილი იყოს შუა აზიაში შექმნილი სტატუს კვოთი. ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია რუსეთის მონოპოლიას რაიმე საფრთხე შეუქმნას, თურქმენეთია. მისი პრეზიდენტი ბერდიმუჰამედოვი იმეორებს, რომ მის ქვეყანას საკმარისი გაზი გააჩნია არა მხოლოდ იმისათვის, რომ "გაზპრომი" მოამარაგოს, არამედ იმისათვისაც, რომ ნაბუკოში ჩაერთთოს და ამასთან ერთად ჩინეთსაც კი მიაწოდოს გაზი. ეს განცხადებები უკვე დადასტურებულ იქნა დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ, რომლებმაც თურქმენეთში უზარმაზარი საბადოები მოიკვლიეს. ეს რუსეთისათვის როგორც კარგი შანსი, ასევე გამოწვევაცაა, რადგან თურქმენეთის საბადოები არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ ჩინეთის დიდ ყურადღებასაც მიიპყრობს. უნდა აღინიშნოს, რომ თურქმენეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიაზოვი მოულოდნელად გარდაიცვალა (2006 წლის დეკემბერში) მაშინ, როცა პეკინთან ხელი მოაწერა კონტრაქტს ჩინეთისათვის გაზის მიწოდების თაობაზე. რუსეთს საჯაროდ არასოდეს დაუგმია ჩინურ-თურქმენული ენერგოთანამშრომლობა მაშინ როცა ნაბუკოთი თავის გაღიზიანებას ვერ მალავს. ისევ და ისევ ჩინეთთან "დაყვავების" პოლიტიკა ტარდება,

დასავლური პროექტების წინააღმდეგ კი სერიოზული მუშაობა მიდის. ნაბუკო მოსკოვზე ევროპის ენერგოდამოკიდებულებას და შესაბამისად იქ რუსეთის გავლენასაც შეამცირებს, რასაც ძველ კონტინენტზე აშშ-ის გავლენის გაძლიერება მოჰყვება.

"დიდი თამაში" ახალ ფაზაში შედის და ამჯერად ენერგორესურსები ჩაითრია. რუსეთი თავისი მონოპოლიის შენარჩუნებას ცდილობს, მაგრამ ეს არც ისე იოლი იქნება. ადგილობრივი ლიდერები (რომლებიც ტრადიციულ აზიელ მმართველებს განასახიერებენ: არიან ფრთხილები, თავს იძვრენენ და არასოდეს არ ეუბნებიან ვინმეს საბოლოო თანხმობას) ცხადია, კარგად ხვდებიან რომ რუსეთი საბჭოთა კავშირი აღარაა და მოსკოვის ჩანაცვლება შეიძლება: თუკი ვაშინგტონით არა (ეს უკანასკნელი შეშფოთებას აღძრავს დემოკრატიის გავრცელების იდეების გამო), მაშინ პეკინით მაინც. ამავე დროს, ექსცენტრიული შუა აზიელი ლიდერები პრობლემებს უქმნიან როგორც ვაშინგტონს, ასევე მოსკოვს. 2008 წლის დეკემბერში უზბეკეთმა ევრაზესი დატოვა და ამგვარად აშშ-სთან ხელახალი დაახლოების თავისი სურვილი დააფიქსირა. ადგილობრივი ლიდერები თამაშობენ თამაშებს, რომლებსაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში თამაშობდნენ მათი წინამორბედები. ისინი მზად არიან ითანამშრომლონ ყველასთან, ვინც მათ უსაფრთხოებისა და მათი რეჟიმისათვის ფულადი მოგების გარანტიას მისცემს. რუსეთს საკმაოდ უჭირს ისეთ რეჟიმებთან გამკლავება, რადგან მათ შიდა სისუსტეები არა აქვთ (როგორც ყაზახეთს, რომლის ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი რუსული უმცირესობა ცხოვრობს) და ამავე დროს გააჩნიათ ბუნებრივი რესურსები და მათი ექსპორტის მარშრუტების დივერსიფიკაციაზე ფიქრობენ. ასეთი რეჟიმებია თურქმენეთი და უზბეკეთი. მათგან განსხვავებით ყირგიზეთი ღარიბი ქვეყანაა, არ გააჩნია ბუნებრივი რესურსები და მისი პოზიციები კიდევ უფრო დასუსტდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო. ამის დამსახურება იყო, რომ ყირგიზეთი კიდევ უფრო იოლად მანიპულირებადი გახდა და საბოლოოდ აშშ-ის სამხედრო ბაზის თავიდან მოცილება გადაწყვიტა. გადაწყვეტილება,

რბილად რომ ვთქვათ, რაღაცნაირად მაინც იყო დაკავშირებული მოსკოვის მიერ გამოყოფილ ფინანსურ დახმარებასთან.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც რუსეთმა შეიძლება გავლენის ბერკეტად გამოიყენოს რეგიონში. ეს რუსული უმცირესობებია, რომლებიც სეპარატიზმის საფრთხეს ვერ შექმნიან (ყაზახეთის გამოკლებით – სხვაგან რუსები დიდი ოდენობით არ ცხოვრობენ), მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნან ადგილობრივი მთავრობების კრიტიკისათვის მათი (ეთნიკური რუსების) უფლებათა დარღვევის გამო. მაგრამ ადგილობრივ ლიდერებთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით (რომლებსაც 90-იანი წლების დასაწყისის არეულობის დროს კრემლისათვის პრობლემები არ შეუქმნიათ) მოსკოვს ეს საკითხი არასოდეს დაუყენებია მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ შუა აზიის ზოგიერთ რესპუბლიკაში რუსები ერთობ მძიმე პირობებში ცხოვრობენ. საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში მოსკოვმა რუსული პასპორტები გასცა და ამგვარად აფხაზები და ოსები რუსეთის მოქალაქეებად აქცია იმ განზრახვით, რომ შემდეგ ისინი "დაეცვა." ამავე დროს კრემლი გამუდმებით აკრიტიკებს ესტონეთსა და ლატვიას ამ ქვეყნებში მცხოვრები რუსების უფლებათა დარღვევის გამო. შუა აზიელი რუსები კი მოსკოვმა უბრალოდ მიატოვა, რადგან ადგილობრივ მმართველებთან საქმის გართულება არ სურს. და ბოლოს, რუსეთთან უშუალო საზღვარი მსოლოდ ყაზახეთს აქვს, რაც სხვა რესპუბლიკებს მოსკოვისგან საქართველოზე გაცილებით მეტად უფრო დაცულს ხდის.

ამ ეტაპზე რუსეთის უმთავრესი ამოცანა შუა აზიის ნაბუკოში ჩართვის არდაშვებაა. მოსკოვს ძლიერი მოკავშირე ჰყავს ყაზახეთის სახით, რომელსაც ამ პროექტთან დაკავშირებით დიდი ენთუზიაზმი ჯერ არ გამოუხატავს. ყაზახეთის რეგიონული როლის გათვალისწინებით მისი პოზიცია შეიძლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ნაბუკოსათვის. ძალიან ბევრია დამოკიდებული ასტანასა და მოსკოვს შორის ურთიერთობათა შემდგომ განვითარებაზე. იმავე დროს რუსეთს არაინაირი შეშფოთება არ გამოუხატავს ყაზახეთის ჩინეთთან ენერგეტიკულ თანამშრომლობაზე (ყაზახეთიდან ჩინეთში ნავთობის

ტრანსპორტირებისათვის მილსადენი უკვე შენდება). შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის "წყალობით" მოსკოვს ძალიან გაუჭირდება რეგიონული საქმეებიდან ჩინეთის გათიშვა, მაგრამ ისევ და ისევ, მოსკოვი უფრო აშშ-ის გათიშვითაა დაინტერესებული.

რუსეთი უკრაინასთან, მოლდოვასთან და ბელორუსთან მიმართებაში

1991 წელს საბჭოთა კავშირის დასამარებას რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის ლიდერების გადაწყვეტილება დასჭირდა. საბჭოთა რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას იმპერიის არსებობაზე გადამწყვეტი გავლენა არ მოუხდენია, სანამ ქვეყნის დაშლა სამი უდიდესი სლავური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ არ გადაწყვიტა. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული მოსკოვი კარგ ურთიერთობებს ინარჩუნებდა როგორც კიევთან, ასევე მინსკთან. ერთადერთ პრობლემას უკრაინასთან ურთიერთობაში ყირიმში ბაზირებული შავი ზღვის ფლოტი წარმოადგენდა. კიევმა საკუთარი თავი ფლოტის ახალ მეპატრონედ გამოაცხადა, რითაც ბუნებრივია, მოსკოვი განარისხა. თუმცა, ორმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ და მომმე სლავმა ერმა სერიოზული კონფრონტაციის თავიდან არიდება მაინც შეძლო. უკრაინას ალბათ არც არასოდეს სჯეროდა, რომ მთელი ფლოტი მას დარჩებოდა. ეს უბრალოდ მოლაპარაკებისა და ვაჭრობის კარგ თემას წარმოადგენდა (ისევე როგორც უკრაინის ტერიტორიაზე დარჩენილი ბირთვული ქობინები) და ამავე დროს პრესტიჟის საკითხიც იყო უკრაინის ხელისუფლებისათვის, რომელიც სიდიდით მეორე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას განაგებდა. დავა საბოლოოდ გადაჭრილ იქნა, მაგრამ უკრაინის ქცევამ ნათლად აჩვენა, რომ კიევი მომავალში არც ისე იოლი პარტნიორი იქნებოდა. ეს აჩვენა უკრაინის ტერიტორიაზე დარჩენილ ყოფილ საბჭოთა ბირთვული იარაღის გარშემო გამართულმა მოლაპარაკებამაც, რომელიც როგორც მოსკოვისათვის, ასევე ვაშინგტონისთვისაც მტკივნეულ საკითხად იქცა. ყაზახეთისა და

ბელორუსისგან განსხვავებით, რომლებიც არანაირ პრობლემას არ ქმნიდნენ, კიევი ბირთვული იარაღის დათმობის და გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაზე მიერთების სანაცვლოდ გარკვეულ პრივილეგიებს ითხოვდა. საბოლოოდ, 1994 წელს უკრაინამ უსაფრთხოების გარანტიები მიიღო რუსეთის, აშშ-ის, საფრანგეთის, ბრიტანეთისა და ჩინეთისგან და სანაცვლოდ გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას მიუერთდა. 1997 წელს კიევსა და მოსკოვს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა. ამ დოკუმენტმა ყირიმზე უკრაინის სუვერენიტეტი დაადასტურა. პარალელურად გაფორმებული სხვა შეთანხმებების მეშვეობით ყირიმში რუსული ფლოტის ყოფნის საკითხიც შეთანხმდა. ცხარე კამათისა და შელაპარაკებების შემდეგ უკრაინა რუსეთისათვის მეგობრულ ქვეყნად იქცა რომლის რეჟიმიც მნიშვნელოვნად ჰგავდა რუსულს.

რახან რეჟიმები ვახსენეთ, თუკი უკრაინისათვის შეიძლებოდა კვაზი-დემოკრატია გვეწოდებინა, ბელორუსში ლუკაშენკას ავტორიტარული მმართველობა გამეფდა რითაც იგი მოსკოვისათვის კიდევ უფრო მოხერხებულ პარტნიორად იქცა (გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ლუკაშენკას ფიგურა პრაქტიკულად გამორიცხავდა დასავლეთთან ყველანაირ დაახლოებას მითუმეტეს, როცა შუა აზიის დიქტატურებისგან განსხვავებით ამ ქვეყანას ნავთობი და გაზი არ გააჩნდა). ლუკაშენკა წლების განმავლობაში დიდი ხელოვნებით თამაშობდა რუსეთის ამბიციებზე – მოსკოვს მის ურყევ მეგობრობაში არწმუნებდა, სიამოვნებით საუბრობდა მოსკოვთან ორი ქვეყნის შესაძლო გაერთიანებაზე და სამაგიეროდ ეკონომიკურად შეღავათიან პირობებს იღებდა. თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ბელორუსის ლიდერი მუდამ თავს არიდებდა კონკრეტულ ვალდებულებებს, რაც მისი რუსი კოლეგების გულისწყრომას იწვევდა.

მოლდოვა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ღარიბი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა, რომელსაც ძნელად თუ შეუქმნია რაიმე პრობლემა მოსკოვისათვის. ვერ შეძლო რა დნესტრისპირეთში პრობლემის მოგვარება ქვეყანა მოსკოვის სერიოზული გავლენის ქვეშ რჩებოდა, მით

უფრო რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები მისი სეპარატისტული რეგიონის ტერიტორიაზე იყვნენ. დნესტრისპირეთის შემთხვევა ბევრს გვეუბნება ყოფილი სატელიტებისადმი რუსეთის დამოკიდებულებაზე. მოლდოვას მოსკოვისათვის რაიმე შეშფოთების საბაბი არ მოუცია, როგორც მაგალითად მისცეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა და საქართველომ. მაგრამ რახან მოლდოვას პრობლემა გააჩნდა, ეს პრობლემა გამოყენებულ უნდა ყოფილიყო. მითუმეტეს, რომ მოსკოვს ძალიან არ მოსწონდა დისკუსიები და მითქმა-მოთქმა მოლდოვასა და რუმინეთის შესაძლო გაერთიანების შესახებ. რუსეთის თამაშებით იმედგაცრუებულმა კიშინოვმა მოსკოვის ალტერნატივის გამოძებნა სცადა. იგი 1997 წელს გუუამ-ში შევიდა და 2006 წელს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის თანამშრომლობის გეგმასაც კი მიუერთდა, მაგრამ დნესტრისპირეთის პრობლემას არცერთი ეს ნაბიჯი არ წყვეტდა. მოსკოვმა მალე კიშინოვზე ზეწოლა თავის ბაზარზე მთელი რიგი მოლდოვური საექსპორტო პროდუქტების აკრძალვით გაზარდა (პრივილეგია, რომელიც საქართველომ ბოლომდე გამოსცადა საკუთარ თავზე). პარალელურად მოსკოვმა კეთილი ნების ჟესტიც გააკეთა დნესტრისპირეთის პრობლემის შესაძლო მოგვარებაზე საუბრის სახით. 2008 წელს მოლდოვას პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა მსოფლიოს "წამყვან სახელმწიფოებს" მოლდოვას ნეიტრალიტეტის აღიარება და გარანტირება სთხოვა (ფორმალურად რესპუბლიკა ნეიტრალურია დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული), რითაც უარი თქვა ნატოში გაწევრიანებასა და რუსეთის გავლების სფეროდან გასვლაზე. მაგრამ კრემლი ამისდა მიუხედავად დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარებას სულაც არ ჩქარობს.

მთლიანობაში კიშინოვთან ურთიერთობა ისე დრამატულად არ ვითარდებოდა, როგორც ურთიერთობები კიევსა და მინსკთან. მოლდოვას რუსეთის გამოწვევის არც პოტენციალი გააჩნდა (განსხვავებით უკრაინისგან) და არც ამბიციები (განსხვავებით საქართველოსგან). ეს სუსტი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა კვლავაც კეთილი ნების ჟესტებს ელის მოსკოვისგან. რაც შეეხება უკრაინას და

ბელორუსს, მათ როგორც ყოფილი საბჭოთა სივრცის უფრო ძლიერმა მოთამაშეებმა, მოსკოვს სერიოზული შიშები აღუძრეს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეს უკანსკნელი 2004 წლის შემდეგ "ნარინჯისფერი საფრთხის" შიშმა შეიპყრო. პუტინისათვის უკრაინის რევილუცია არ იყო მხოლოდ მოსკოვის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის (იანუკოვიჩის) დამარცხება; მისთვის ეს იყო ძველი, კორუმპირებული უკრაინული რეჟიმის აღსასრული (რომელთანაც კრემლს საქმის დაჭერა უიოლდებოდა) და პუტინისათვის პირადი შეურაცხყოფაც. რუსეთის ლიდერმა ირწმუნა, რომ უკრაინული მოვლენები აშშ-ის მიერ იყო მოწყობილი და ამან იგი კიდევ უფრო ცინიკური გახადა ვიდრე ადრე და შურისძიების სურვილიც კიდევ უფრო გაუმძაფრა. მოსკოვმა გაზის იარაღი აამოქმედა არა მხოლოდ უკრაინისა და საქართველოს, არამედ ბელორუსისა (და ასევე სომხეთის) წინააღმდეგაც კი. თუკი ლუკაშენკა რუსეთის ერთგული იყო, ახლა დადგა დრო, როცა მას ეს საქმითაც უნდა დაემტკიცებინა (დათანხმებოდა გაერთიანებას); წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაზისათვის მეტი გადაეხადა. მაგრამ ლუკაშენკამ უკან არ დაიხია. რუსების ზეწოლამ იგი კიდევ უფრო გააჯიუტა და შესაძლო გაერთიანებაზე საუბარი საერთოდ შეწყდა. მინსკმა კიევის დარად გაზრდილი საფასურის გადახდა დაიწყო გაზზე. კიევს რაც შეეხება, "ნარინჯისფერი საფრთხე" არც ისე საშიში აღმოჩნდა, როგორც ეს თავიდან ჩანდა, რადგან "ნარინჯისფერი ლიდერები" მალე ერთმანეთს დაერივნენ და ქვეყანა პრო-დასავლური და პრო-რუსული კურსის მომხრეებს შორის გახლეჩილი აღმოჩნდა. უკრაინა – ყოფილი საბჭოთა კავშირის სიდიდით მეორე სახელმწიფო – დასუსტებული აღმოჩნდა შიდა ბრძოლებისა და პოლიტიკური კონსენსუსის არარსებობის გამო.

ამ ფაქტორებმა კრემლს უფრო მშვიდად აგრძნობინა თავი. "ნარინჯისფერი იდეა" დისკრედიტირებული იყო. ნარინჯისფერი ლიდერების რეპუტაციას გაზის ბიზნესის კონტროლის გარშემო შექმნილმა გაუგებარმა აჟიოტაჟმაც საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა. იმავე დროს უკრაინამ ვერ მიიღო ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა 2008 წლის აპრილის სამიტზე. ცხადია, რუსებმა კარგად დაინახეს ქვეყანაში

არსებული განხეთქილება და მათი რიტორიკაც უფრო მოქნილი გახდა. ყირიმის პრობლემა ისე ხშირად აღარ მოიხსენიებოდა და იმავე დროს ეს პრობლემა კიევის ნატოში გაწევრიანების ამბიციებთან იქნა მიბმული. 2008 წლის ივნისში მოსკოვმა მეგობრობის, თანამშრომლობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულებიდან გამოსვლის საკითხი დააყენა იმ შემთხვევისათვის თუკი უკრაინა ნატოში შევიდოდა (რითაც კიევს, ისევ და ისევ, ყირიმის გარშემო არსებულ უთანხმოებაზე მიანიშნა). 2008 წლის ოქტომბერში პრეზიდენტმა იუშჩენკომ შემრიგებლური ჟესტი გააკეთა ხელშეკრულების ათი წლით გაგრძელების სახით. კიევის ნატოში ინტეგრაციის გეგმების ჩაშლის შემდეგაც კრემლმა გააგრძელა ენერგოშანტაჟის პოლიტიკა და 2009 წლის დასაწყისში კიევს გაზი გადაუკეტა და უკრაინის წინააღმდეგ უპრეცედენტო პროპაგანდისტული კამპანიაც ააგორა (რათა ჩრდილი მიეყენებინა მისი, როგორც ტრანზიტორი ქვეყნის, რეპუტაციისათვის). კიევის რეპუტაცია მართლაც შეირყა. მაგრამ ასევე შეირყა მოსკოვის რეპუტაციაც. რუსეთს აშკარად იმის იმედი ჰქონდა, რომ კიდევ ერთი გაზის სკანდალი ჩრდილოეთ ნაკადის პროექტის შანსებს გაზრდიდა (რომელიც ტრანზიტორ სახელმწიფოებს საერთოდ თამაშგარეთ ტოვებს), მაგრამ ევროკავშირმა ნაბუკოს უფრო აქტიურად განხილვა დაიწყო. თუმცა, სკანდალმა კიდევ უფრო გაამძაფრა გაზის ბიზნესის თაობაზე უთანხმოებები უკრაინაში და აქაური პოლიტიკური კლიმატი კიდევ უფრო გააუარესა.

2009 წლის თებერვალში მოსკოვმა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სამიტს უმასპინძლა, რომელიც მის მორიგ წარმატებად იქცა გამომდინარე იქიდან, რომ შეხვედრაზე სწრაფი რეაგირების ძალების შექმნა გადაწყდა (ნატოს ანალოგი). ორგანიზაციამ სერიოზული ნაბიჯი გადადგა სრულყოფილ სამხედრო ალიანსად ჩამოყალიბებისკენ, თუმცა მალე ნათელი გახდა, რომ გადაწყვეტილების პრაქტიკაში გატარება პრობლემატური იქნებოდა. მინსკმა ეჭვის ქვეშ დააყენა ბელორუსის ფარგლებს გარეთ ოპერაციებში თავისი მონაწილეობა. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების

ორგანიზაციის სწრაფი რეაგირების ძალების მომავალი კვლავაც ბუნდოვანია მიუხედავად ხმამაღალი დაპირებებისა და, შესაბამისად, მოსკოვის ლიდერობა ყოფილ საბჭოთა კავშირში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ასეთ ვითარებაში კრემლი უდაოდ გააძლიერებს თავის ზეწოლას ბელორუსზე (საქართველოს მსგავსად "კიდევ ერთ უმადურ ძმურ ერზე"), მაგრამ ეს ამოცანა ალბათ რთული აღმოჩნდება, რადგან ლუკაშენკას რეჟიმი უკრაინულზე უფრო სტაბილურია და საქართველოსგან განსხვავებით ბელორუსს შიდა სისუსტეები (სეპარატისტული ანკლავები) არ გააჩნია.

რუსეთი ყოფილ საბჭოთა სივრცეს თავის უკანა ეზოდ განიხილავს და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველაფერს აკეთებს სატელიტების გავლენის სფეროში შენარჩუნებისათვის. მეთოდურად იქნა გამოყენებული იმ რესპუბლიკების შიდა სისუსტეები, რომლებმაც ურჩობა გამოავლინეს. 1990-იანმა წლებმა მოსკოვს სერიოზული ეჭვები აღუძრა რუსეთის "ლეგიტიმურ" გავლენის სფეროში დასავლეთის შეღწევის თაობაზე. შიშები და ეჭვები კიდევ უფრო გაამძაფრა "ნარინჯისფერმა რევოლუციებმა" და სადღეისოდ ერთგულების გამოხატულებაც კი (მოლდოვას ვარიანტი) კრემლს ეჭვებს ვერ უფანტავს. აცნობიერებს რა, რომ თავად ვერ შექმნა ეფექტური პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელი (და აქედან გამომდინარე ვერაფერს სთავაზობს ყოფილ სატელიტებს) მოსკოვი შიშობს (სამართლიანად), რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები პირველ შესაძლებლობისთანავე გაუსხლტებიან კრემლს. გაზის იარაღი თითქმის ყველა ყოფილი სატელიტის წინააღმდეგაა ამოქმდებული, მათ შორის ყველაზე ერთგულების წინააღმდეგაც (როგორიც სომხეთია). შუა აზიის რესპუბლიკები ან იარაღისგან არ დაზარალებულან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავად გააჩნიათ ენერგორესურსები.

კრემლმა საკუთარი თავი დაარწმუნა, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკა მხოლოდ აშშ-ის გეოპოლიტიკური ამოცანების განხორციელებას ემსახურება და რომ დემოკრატიის გავრცელება და ლიბერალური ღირებულებები მხოლოდ შირმაა. ამ რწმენით კრემლი

გამართლებას პოულობს თავისი საქციელისათვის, რომელიც მოკლებულია რაიმე პრინციპებსა და ფასეულობებს და მიმართულია ან კომერციულ მოგებაზე ან ევრაზიაში აშშ-ის გავლენის განეიტრალებაზე. რუსეთი კმაყოფილი იქნება თუკი აშშ-სთან მიაღწევს გარიგებას, რომლის მიხედვითაც ყოფილი საბჭოთა კავშირი მისი გავლენის სფეროში დარჩებოდა. შესაბამისად, კრემლს ძალიან აღიზიანებს და აშფოთებს ვაშინგტონის მხროდან ამგვარ გარიგების სურვილის არქონა და შესაძლოა იმის ეჭვებსაც უჩენს, რომ აშშ-ს თავად რუსეთის დაშლა აწყობს. მოსკოვის ანტიამერიკულ განწყობას ესეც აძლიერებს.

რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე იდეოლოგიები (მაგალითად, ევრაზიულობა) სერიოზულ გავლენას არ ახდენს. მთლიანობაში იგი პრაგმატულია, თუმცა ამავე დროს აშკარად გადაჭარბებულად აფასებს "ამერიკულ საფრთხეს." ეს გადაჭარბებული შეფასება ასევე ახდენს გავლენას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან გატარებულ პოლიტიკაზე. ამ უკანასკნელების აშშ-ზე ორიენტირება გაცილებით უფრო დიდ საფრთხედაა აღქმნული ვიდრე მათი ჩინეთზე ორიენტირება. მოსკოვს სურს დსთ უსაფრთხო ზონად აქციოს, სადაც არ იქნება წარმოდგენილი არცერთი სხვა დიდი სახელმწიფო, უპირველესად კი აშშ. აქედან გამომდინარეობს, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები უნდა დარჩნენ სუსტებად და რუსეთზე დამოკიდებულებად რათა დასავლეთთან დაკავშირების შანსიც არ მიეცეთ. ეს დამოკიდებულება ყველანაირი საშუალებით უნდა იქნას მიღწეული და თუკი "რბილი ძალა" არ მუშაობს (რუსეთს კი ეს ნამდვილად აკლია) მაშინ ეს უნდა გაკეთდეს ომის მეშვეობით, რომელიც "პოლიტიკის გაგრძელებაა სხვა საშუალებებით."

თემა 8

რუსეთი და ევროკავშირი

რუსეთთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება ევროპის ქვეყნების გადაუდებელი ამოცანაა. ამ დასკვნამდე მიდიან ევროპელი და ამერიკელი ექსპერტები. რამდენად მნიშვნელოვანია ევროპისათვის ის, თუ რა ხდება რუსეთში? რა ადგილი უკავია ამ საკითხს ევროპის დღის წესრიგში? ეს კითხვები ცენტრალურ ადგილს იკავებს ევროპის, რუსეთის, ამერიკის სამეცნიერო-კვლევით თუ ანალიტიკურ პუბლიკაციებში, მოხსენებებში. ეს გასაგებიცაა, რადგან საერთაშორისო სისტემის ამ აქტორებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ზოგადად ამ სისტემის სამომავლო ხასიათისა და ბუნების ჩამოყალიბებაზე.

სადღეისოდ ევროპა ძალზე ფოკუსირებულია თავის შიდა პრობლემებზე, 2011-2012 წლებში, ევროპის საკვანძო ინტეგრაციული მოდელი სერიოზული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. გაჩნდა პრობლემები შენგენის ზონასთან, ევროსთან დაკავშირებით, საერთო ბაზრის მთელ რიგ ასპექტებზეც წევრ-ქვეყნებს შორის უთანხმოებაა. ევროპაში ძალისმიერ პოლიტიკას დაუბრუნდნენ – გერმანია და საფრანგეთი თავის აზრს ახვევს საბერძნეთს და, გარკვეულწილად, იტალიას და ესპანეთს. საფრანგეთმა მიმდინარე კრიზისით ისარგებლა და დიდი ბრიტანეთის გავლენის შეზღუდვას ცდილობს. რაც დრო გადის ევროპას საგარეო პოლიტიკისათვის სულ უფრო მცირე რესურსები (დრო, ფული და ამბიცია) რჩება. და მაინც, ევროპაში გაჩნდა გაგება, რომ მსოფლიო ძალზე სწრაფად იცვლება და რუსეთის ამბებს იმავე პროცესის ნაწილად განიხილავენ, რაც ხდება ახლო აღმოსავლეთში, თავად ევროპასა და მთელს მსოფლიოში, ეს პროცესი კი გლობალურ დონეზე ინტერნეტით გაერთიანებული საპროტესტო აქტივობაა.

Eევროპელებს დიდი ხნის განმავლობაში მედვედევზე გულუბრყვილო წარმოდგენა ჰქონდათ, ეგონათ, რომ ის რუსეთის

მოდერნიზაციაზე სერიოზულად ლაპარაკობდა, ელიტის მხოლოდ მცირე ნაწილი ელოდა პუტინის დაბრუნებას ხელისუფლებაში ისე, როგორც ეს მან გააკეთა. ბერლინსა და ბრიუსელში რუსეთის რეპუტაციას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. თანდათან რუსეთთან თანამშრომლობის შესახებ ოპტიმიზმი პესიმიზმით იცვლება.

ამჟამად ევროპის ქვეყნები გაურკვევლობას განიცდიან იმასთან დაკავშირებით თუ რა ხდება რუსეთში. როგორც ჩანს, ევროპელები რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების თაობაზე არსებული ცნობების სიმწირესაც იცნობიერებენ, თუმცა, ამასთან ერთად, ევროპელები არც იმისთვის არიან მზად, რომ ოპოზიციურ მოძრაობას პოლიტიკური, სიტყვიერი თუ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინონ. ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში დაბნეულობა სუფევს, ბევრი კითხვებია იმაზე თუ რამდენად სწრაფად მივა პუტინის რეჟიმი კრახამდე, შესძლებს თუ არა ეს რეჟიმი გადარჩენას და კონსოლიდაციას. ერთი სიტყვით, სრული გაურკვევლობაა. თუმცა ამგვარი ვითარება ხომ ისტორიულად ევროპისათვის უცხო არ არის, ჩერჩილს უთქვამს, “რუსეთი – გამოცანაში გახვეული, რებუსში შეფუთული იდუმალებაა”-ო.

ბოლო წლების განმავლობაში რუსეთისადმი ევროპის დამოკიდებულების ევოლუცია შემდეგნაირად გამოიყურება: გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ევროპელი ლიდერები თვლიდნენ, რომ რუსეთს ისეთნაირადვე უნდა მოეკიდო როგორც “დიდ პოლონეთს”, რომ ევროპულ კლუბში მისი ინტეგრირება შესაძლებელია და, რომ ამ ინტეგრაციისათვის ევროპას შეუძლია რუსეთს უფრო განვითარებული დემოკრატია და უფრო თავისუფალი ბაზრები მოსთხოვოს. მაგრამ, ევროპაში დღეისათვის კრიზისი მძვინვარებს და ის სულ უფრო აღიქვამს რუსეთს არა როგორც დიდ პოლონეთს, არამედ როგორც “პატარა ჩინეთს”, რომელთანაც შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივი ბიზნესის კეთება და მეტი არაფერი. ევროპელები გაცილებით ნაკლებ ესწრაფვიან რუსეთთან მიმართებით აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებას, ეს ადვილი შესამჩნევია მოდერნიზაციის გარშემო პარტნიორობის პროექტთან დაკავშირებით. თავის დროს ევროკავშირსა და რუსეთს შორის

რამოდენიმე ხელშეკრულება გაფორმდა. მათი არსი ბიზნესის და ტექნოლოგიის სანაცვლოდ რუსეთისგან უფრო მეტი პოლიტიკური მოდერნიზაციის მოთხოვნაში მდგომარეობდა. დე-ფაქტო ეს პროექტები ევროკავშირის წევრი-ქვეყნების საქმიანი ინტერესების ექსკლუზიურად დაკმაყოფილების პროექტებად იქცა. ევროპა კვლავაც განაგრძობს რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევაზე რეაგირებას, თუმცა ეს კეთდება დიდი სიფრთხილით, ნაკლები ხმაურით. უნდა ვიფიქროთ, რომ ევროპა რუსეთის გარდაქმნისადმი მინიმალური მოთხოვნების ვარიანტზე გადავიდა.

რუსეთთან ურთიერთობაში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში ახალი ვექტორის გაჩენას ის ადასტურებს, რომ ევროპის ქვეყნები რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევას პრაქტიკულად აღარ განიხილავენ. ამ საკითხის გაშუქება ქეთრინ ეშტონს გადაულოცეს. ეს კი სრულიად გასაგები მიზეზების გამო იმას ნიშნავს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ცოტა რამ თუ კეთდება. ამ მიმართებით ყველაზე მეტი რეაქცია დიდ ბრიტანეთშია, დაუდასტურებელი ინფორმაციით, რუსეთმა ამის გამო არაოფიციალურად აკრძალა ზოგიერთი ინგლისელის შესვლა თავის ტერიტორიაზე. ძლიერი რეაქცია შეიმჩნეოდა აშშ-ში, სადაც ინტერესების ლობირების და ლობისტებისადმი მისაწვდომობის უზრუნველყოფის დიდი ხნის ტრადიცია არსებობს.

რაც შეეხება იმავე დიდი ბრიტანეთის და რუსეთის ურთიერთობას, აშკარაა, რომ ეს ქვეყნები ფსიქოლოგიურად ერთმანეთს ვერ უგებენ. ორივე ქვეყანა – ყოფილი იმპერიაა, მსოფლიო მოწყობაზე მათ იმპერიული ხედვები აქვთ. ინგლისელები ამბობენ: “რუსეთი ათი წლის შემდეგ დიდმპყრობელი ქვეყანა აღარ იქნება. ჩვენთვის რუსეთთან კომპრომისის ძიებას აზრი არა აქვსო”. ამ მიმართებით ცივი ომის რეციდივები იგრძნობა. რუსეთი კი ამბობს: “ინგლისელები აშშ-ის ინტერესებს ემსახურებიან, დიდი ბრიტანეთი ათი წლის შემდეგ დიდმპყრობელი ქვეყანა აღარ იქნება. ჩვენთვის დიდ ბრიტანეთთან კომპრომისს აზრი არა აქვსო”.

დიდი ბრიტანეთი და რუსეთი არ ცდილობენ ერთმანეთთან პარტნიორული ურთიერთობების დალაგებას, სამომავლო გლობალურ მსოფლიოში ერთმანეთისთვის ადგილს ვერ ხედავენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რა უცნაურადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, ზოგადადამიანური ურთიერთობების დონეზე დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს შორის დიდი იმედისმომცემი პარტნიორობა გაიბა. ძალზე ბევრი რუსი ცხოვრობს ლონდონში, თავის მხრივ მოსკოვშიც ბევრი ინგლისელია, ამ ქვეყნების კომპანიები ერთობლივ ბიზნესში არიან ჩაბმულნი, რომლის განვითარება ამ სახელმწიფოთა ლიდერების ხელმოწერას არ საჭიროებს. თუ ერთობლივი ბიზნესის ასაწყობად გერმანიას და იტალიას წარსულში პუტინი, შროდერი ანდა ბერლუსკონი დასჭირდა, რუსეთისა და დიდ ბრიტანეთისთვის ეს სრულიად ზედმეტია – უბრალოდ საკმარისია ხელისუფლება და ბიზნესი ერთმანეთს ხელს არ უშლიდეს. ვინ იცის, იქნებ ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ ეს თანამშრომლობა რაღაც უფრო პოზიტივშიც გადაიზარდოს.

იტალიაშიც მაღალჩინოსანი დიპლომატები და პოლიტიკოსები რუსეთთან მიმართებით არანაირ ცვლილებას არ გეგმავენ. რაც იყო იგივე რჩება. ადრე საუბრობდნენ ევროკავშირში რუსული ტროას ცხენის შესახებ, ახლა სრული საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ ტროას საცდელ ბოცვრებზე – ე.ი. ქვეყნებზე, რომლებიც იმდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ რუსეთთან თანამშრომლობის გარდა სხვა ალტერნატივა აღარ დარჩათ. ასეთი ქვეყნებია: ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი – ისინი უბრალოდ იძულებულნი არიან რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები გააძლიერონ. სამხრეთ ევროპის ქვეყნებში ამბიციები საგარეო პოლიტიკის სფეროში ასე დაბალი არასდროს ყოფილა. ჩრდილოეთ ევროპაში კი ევროპული თანამშრომლობის ყველა ასპექტში გერმანიის პოზიციის გაძლიერება შეიმჩნევა. ამასთან, გერმანიას აგრესიული პოლიტიკისათვის ნაკლები ინტელექტუალური წინაპირობები აქვს, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო – ჩვენ არსებითად გერმანიის და პოლონეთის მჭიდრო თანამშრომლობის მოწმენი ვართ: პოლონეთი არ ერევა რუსეთ-გერმანიის ურთიერთობებში და არც მის

დაბლოკვას ცდილობს, ამის სანაცვლოდ კი გერმანია სულ უფრო მყარად იცავს პოლონეთის და ევროკავშირის სხვა პატარა წევრი-ქვეყნების ინტერესებს. რადოსლავ სიკორსკი რაციონალურად მოქმედებს, უნარიანად წარმართავს პოლონეთ-გერმანიის საგარეო პოლიტიკის შემუშავებას. ჯერჯერობით ამ პოლიტიკას შესამჩნევი ნაყოფი არ გამოუღია, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს უახლოესი რამოდენიმე წლის შემდეგ მოხდება.

ამავე დროს, პრაქტიკულად ჩავარდა აღმოსავლეთევროპული თანამშრომლობა, რუსეთი აღმოსავლეთევროპულ ინიციატივებს ბლოკავს. ევროპელებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან კავკასიამდე პარტნიორობა უნდათ, მათ სურთ რეფორმები და უვიზო რეჟიმი, იმის მოლოდინით, რომ იქაც სამოქალაქო საზოგადოება ძალას მოიკრებს. რუსეთი, მართალია პარტნიორი ქვეყნების ჯგუფში არ შედის, მაგრამ ამ რეგიონის შეცვლა, ამ პროცესში რუსეთის ჩაურთველად, იგივეა რაც მთელი სიმძლავრით მომუშავე ქვანახშირის თბოცენტრალისგან რამოდენიმე მზის ბატარეა რამოდენიმე კილომეტრის მოშორებით დადგა. თავის მხრივ, რუსეთს შეუძლია პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილზე გავლენის მოსაპოვებლად ამ შანსის გამოყენება, არა დაშინებით, როგორც საქართველოსთან, უკრაინასთან ურთიერთობისას აკეთებდა, არამედ მიმზიდველი და სრულიად ნორმალური სავაჭრო პარტნიორის სახით. უკრაინა სულ უფრო მეტად ითხოვს, რომ ევროკავშირი მას მოეპყრას როგორც “პატარა რუსეთს”. ევროპას ამ მხრივ საფიქრალი აქვს, იმიტომ, რომ სიმპათია ამ ქვეყნების მიმართ, რომელიც ჯერ კიდევ იყო აღმოსავლეთ ევროპაში, ლონდონში, პარიზში და, გარკვეულწილად, ბერლინშიც, პრაქტიკულად ამოიწურა. განვითარდება თუ არა აღმოსავლეთევროპული პარტნიორობა, კრიზისის მეორე ტალღაზეა დამოკიდებული,

რუსეთს, გარდა ენერგეტიკული სიმდიდრისა, ორი წონიანი არგუმენტი აქვს იმისათვის, რომ თავი კვლავინდებურად მსოფლიოს დიდმპყრობელ ქვეყნად მიიჩნიოს. სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემების კვლევების ინსტიტუტის მონაცემებით, რუსეთს

უწინდებურად უფრო მეტი ბირთვული იარაღი აქვს, ვიდრე ჩინეთს, ინდოეთს ან აშშ – საც კი. ჩინეთთან, დიდ ბრიტანეთთან, აშშ-თან და საფრანგეთთან ერთად მას გაერო-ს უშიშროების საბჭოში მუდმივი ადგილი აქვს. მაგრამ, გაეროს უშიშროების საბჭოც და 11 ათასი ბირთვული ქობინაც – მსოფლიო წესრიგის რელიქტებია, მსოფლიოსი, რომელიც თავბრუდამხვევი სისწრაფით იცვლება. ევროპელები ფინანსურ კრიზისში იძირებიან, ამერიკელები – ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაღმავლობას განიცდიან, ახალი რეგიონული კავშირების გავლენა კი თანდათანობით იზრდება. არაბთა სახელმწიფოების ლიგამ "არაბული გაზაფხულის" დროს ლეთარგიულ ძილს თავი დააღწია და ქმედით ინსტიტუტად იქცა, ლიბიაში და სირიის შემთხვევაში მოქმედების საკითხებზე ერთობლივად და ენერგიულად გამოდის. ბრიჩ-ის შემადგენლობიდან (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი) ინდოეთმა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოს სახელი მოიხვეჭა, ბრაზილია სამხრეთ ამერიკის ყველაზე ძლიერი ეკონომიკის დონემდე ავიდა, ხოლო ჩინეთმა – აშშ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურენტის სტატუსი მოიპოვა. მხოლოდ რუსეთმა, მეოთხე მოკავშირემ, ვერც პოლიტიკური და ვერც ეკონომიკური თვალსაზრისით ვერ შეძლო თავისი პოზიციების გაძლიერება. ლევადა-ცენტრის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებმა აჩვენა რუსეთში პუტინის პოპულარობის დაცემა 83% -დან (2008 წლის ოქტომბერი) 61 % - მდე (2011 წლის ნოემბერი). 2012 წლის დასაწყისიდან რუსების ნდობა პრეზიდენტისადმი კიდევ 7%-ით დაეცა. საგრძნობლად ეცემა პუტინის და მედვედევის საქმიანობის მოწონების რეიტინგიც - 69 და 64 პროცენტიდან (მაისში) 63 და 54 პროცენტამდე (ნოემბერში). გამოკითხულთა 82% თვლის, რომ ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და 55% კი საერთოდ უარს ამბობს მასში რაიმე როლის შესრულებაზე. ეკონომიკურმა კრიზისმა გააშიშვლა კრიზისიც რუსეთის მმართველობის სფეროში: თავად პუტინის აღიარებით კრემლის დირექტივების 80% რეგიონებში იგნორირებულია.

არა მხოლოდ რუსეთში, ზოგადად მსოფლიო პოლიტიკაშიც, ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში დიდი საერთაშორისო,

გამაერთიანებელი ინიციატივების დეფიციტია. ოდესღაც იყო ჰელსინკის შეთანხმება, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. ახლა მხოლოდ ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმები შემორჩა, პოლიტიკური ინიციატივები კი არ ჩანს, მათ შორის *არ არსებობს რუსეთთან მიმართებით ევროპის სტრატეგია,* პოლიტიკური ინიციატივები, ისეთი დიდი ინიციატივები, რომელიც დღის წესრიგს შეცვლიდა. პრაქტიკულად, ასპროცენტიანი დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ისეთ ერაში შევდივართ, სადაც რუსეთსა და ევროპას საგრეო პოლიტიკის სფეროში ნაკლები დრო, ნაკლები ფული, ნაკლები ამბიცია ექნებათ. ეს იმის გამო ხდება, რომ იმთავითვე "ახალი ევროპა" საკუთარ თავს აღორძინების გზაზე შემდგარ სუპერსახელმწიფოდ აღიქვამდა, რუსეთს კი მიაჩნდა, რომ ბრიჩ-ის ფარგლებში ის ჩინეთის თანასწორად ვითარდებოდა. ამ ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში ეს ორივე ოცნება ქარმა წაიღო – ის, რაც ევროპაში ფინანსური კრიზისის სახით დაიწყო, დღეს ნამდვილ ინტელექტუალურ კრიზისად იქცა. ისინი კი ვინც ამ სიტუაციას გამოასწორებდა პოლიტიკური ლიდერების დღევანდელ თაობაში არ ჩანან.

გარკვეული ოპტიმიზმს მხოლოდ ბოლო პერიოდში შექმნილი ვითარება ბადებს: ბოლოტნაიას მოედანზე მოსკოვში, წმინდა პეტრეს ტაძართან ლონდონში ახალგაზრდობის ახალი თაობის გააქტიურება პრობლემათა ახლებურად გააზრების დემონსტრირებაა, თუმცა, ჯერაც გაურკვეველია ეს ახალი სიტუაცია რასთან მიგვიყვანს. ფაქტია, რომ ევროპელ ახალგაზრდებში პოლიტიკის მიმართ ინტერესი იზრდება და ამ პროცესის შედეგებს უნდა დაველოდოთ.

საინტერესო ვითარებაა ამ მხრივ ჩინეთშიც. ჩინეთს ყველა შესაძლებლობა აქვს რაც გნებავთ იმად იქცეს, მაგრამ ბოლომდე თავად არ იცის მისთვის სახელდობრ რა არის სასურველი. თუ *ჩინელ რეალისტებს* ამერიკული გავლენის შეკავება სურთ, *ჩინელი გლობალისტები* არსებული გლობალური სისტემის უცვლელად დატოვებას ემხრობიან, რადგან მათი აზრით, ჩინეთს მასში ყველაზე ხელსაყრელი სიტუაცია ჩამოუყალიბდა. *ჩინელ ნაციონალისტებს* აზიური კავშირის შექმნა სწადიათ, ცხადია,

ჩინეთის ეგიდით. *ჩინეთის ძალისმიერი პოლიტიკის ექსპერტებს* კი მიაჩნიათ, რომ რუსეთი დასავლური ალყისაგან თავდაცვის გასაღებია.

არანაკლები როლი ექნება არჩევნების შემდგომ სიტუაციას აშშ-ში. ბევრწილად ის განსაზღვრავს თუ როგორი იქნება ეს ქვეყანა უახლოეს ათ წელიწადში. აღმოსავლეთთან ევროპის ურთიერთობაში ამერიკა ყოველთვის განმსაზღვრელ როლს ასრულებდა. 2008 წლის აგვისტოს ომის ერთ-ერთ შედეგად ევროპელი ექსპერტების აზრით ევროპელი ლიდერები მიხვდნენ, რომ რუსეთთან ურთიერთობაში მეტი დამოუკიდებლობა მართებთ. იმ დროს როცა ვაშინგტონში "ძალაუფლების ვაკუუმის" ეპოქა დგება და სამომავლოდაც მსოფლიო არენაზე აშშ-ის ლიდერობაში სერიოზული ეჭვები ჩნდება, ევროპელები აცნობიერებენ, რა საშიშია აშშ-ის მხარეზე დგომა მაშინ, როცა ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის ინტერესებში რუსეთთან ერთი-ერთზე მოქმედება უწევთ.

ამერიკის განსაკუთრებული მეგობარი – ისრაელია და არა დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი ანდა რუსეთი. ამერიკა თავის ძალებს გაშლის ავსტრალიასა და ფილიპინებზე და არა აღმოსავლეთ ევროპაში ან ახლო აღმოსავლეთში. ძალზე საინტერესო იქნება დავაკვირდეთ, შედეგად როგორი ინტელექტუალური მსოფლიო წესრიგი გაჩნდება. მნიშვნელოვან ცვლილებებს უნდა ველოდოთ ასევე მოსკოვსა და ბრიუსელშიც. პუტინი ის კაცი არ არის რუსეთი პირქვე დამხობილ დერჟავად აღიქვას, პირიქით, ის მუხლებიდან წამომდგარ, აღზევებულ რუსეთსა და ევრაზიულ სივრცეზე ლაპარაკობს. მაგრამ ევრაზიული იდეა ძალზე სუსტია. გარდა სანედლეულო სიმდიდრისა, პუტინისეულ რუსეთს პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მხოლოდ დაცვის რეფლექსები თუ აკავშირებს და არა გამაერთიანებელი ფასეულობები. რჩება მხოლოდ პუტინისთვის არასასიამოვნო ორიენტაცია ევროპაზე, ამასთან, რეფორმების გატარებისაკენ შიდა პოლიტიკური იძულება შეიძლება ერთგვარ შანსსაც წარმოადგენდეს. რუსეთის როგორც მსოფლიო დიდმყრობელის დაღმასვლა, საშუალო კლასის შიდაპოლიტიკურ პროტესტებთან ერთად, შესაძლოა ნიშნავდეს ევროპელი პარტნიორის სახით მის წარმოჩენას. საარჩევნო კამპანიის დროს პუტინი დარწმუნებით ლაპარაკობდა, რომ

მისი ქვეყანა – ევროპის ნაწილია. ევროკავშირიც, ასევე გერმანული აღქმის გავლენით, რუსეთს ევროპელ, თუმცა არც თუ უბრალო პარტნიორად წარმოიდგენს. აშკარაა, ევროპას არ შეუძლია უარი თქვას რუსულ ნედლეულზე, ხოლო რუსეთს – ევროპაზე, ნავთობისა და გაზის ყველაზე დიდ შემსყიდველზე.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძველი ინტელექტუალური პროექტების კოლაფსის მომსწრენი ვართ. უბრალოდ, მრავალ ამბიციას ბოლო მოეღო. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩანს, კრიზისი ძალზე სერიოზულია, ბევრი პროექტი, როგორიცაა, ვთქვათ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ფუნქციონირებას განაგრძობს, ხოლო გლობალური ელიტა ურთიერთ ინტეგრაციის და კომუნიკაციის პროცესებს ისეთ ღონისძიებებზე აღრმავებს, როგორიცაა დავოსის ფორუმი. ალბათ ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ევროს ბედზეც. ევრო – საერთოევროპული და გლობალური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი სიმბოლოა, ამიტომ, თუ ევრომ გაძლო და მიმდინარე წელს თავისი პოზიციები გამოასწორა, მაშინ შესაძლებელი იქნება მომდევნო რამოდენიმე წლის განმავლობაში სიტუაციის სტაბილიზაციაზე ვილაპარკოთ. ხოლო თუ ვერ გადარჩა, მაშინ ეს მთელი მსოფლიოსთვის შოკის ტოლფასი იქნება.

რაც შეეხება საპროტესტო მოძრაობას ევროპასა და რუსეთში; გავიხსენოთ ისტორია: XIX საუკუნეში დიდ ბრიტანეთში არსებული სისტემის წინააღმდეგ მასობრივი პროტესტები მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ცნობილია “ჩარტისტული მოძრაობა”, რომელმაც 300 ათასიდან მილიონამდე კაცი ლონდონში ჩაიყვანა. ისინი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გავიდნენ და სამართლიან სისტემას ითხოვდნენ. მაგრამ მათ არ გააჩნდათ ინტელექტუალური იარაღი. ამიტომაც ელიტის წარმომადგენლებმა განაცხადეს: “ძალზე საინტერესოა, ჩვენ ვიფიქრებთ იმაზე, როგორ გავხადოთ სისტემა უფრო სამართლიანი”-ო, პრაქტიკულად კი შედეგი ვერ იქნა მიღწეული. მხოლოდ 50 წლის შემდეგ, სოციალისტური და ლეიბორისტული მოძრაობების განვითარების შედეგად მიიღეს ინგლისის საპროტესტო მოძრაობის მონაწილეებმა ესოდენ აუცილებელი ინტელექტუალური იარაღი. დღევანდელი

საპროტესტო მოძრაობებიც – ინტელექტუალური იარაღის არმქონე მოძრაობებია. პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად ენთუზიაზმი და პოლიტიკის განხილვის სურვილი აშკარად შესამჩნევია, მაგრამ, ალბათ, პოლიტიკური ბრძოლის ახალი ინსტრუმენტები, როგორც მინიმუმ, მხოლოდ ხუთი-ათი წლის შემდეგ თუ გაჩნდება. ამჟამინდელი მოძრაობები დღევანდელი მსოფლიოსთვის სერიოზულ მუქარას არ უნდა წარმოადგენდეს, ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, სანამ ახალი ინტელექტუალური ლიდერები არ გამოჩნდებიან.

იგივე ხდება რუსეთშიც. საპროტესტო აქციები მიმდინარეობს, ითხოვენ სამართლიანობას, მაგრამ არავინ იცის *რა იქნება პუტინის წასვლის შემდეგ*. თუმცა, ევროპაში საქმე მხოლოდ ერთ რომელიმე ადამიანს არ ეხება – ბევრი რამ დამოკიდებულია საბანკო სისტემაზე, მოსახლეობის შრომითი დასაქმების სტრუქტურაზე, ცხოვრების წესზე, რომელიც გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს. წამოიზარდა მთელი თაობა, რომელიც ხედავს, რომ ჩინოვნიკები და ფინანსისტები ძალზე უზრუნველად ცხოვრობენ, ბევრს კი ფაქტიურად ლუკმაპური ენატრება. მსგავსი პრობლემები ხომ ძალზე ბევრ ქვეყანაშია და არც საქართველოა გამონაკლისი.

თემა 9

მრავალპოლუსიანი მსოფლიო და ამერიკა-რუსეთის ურთიერთობები

ცივი ომის შემდეგ აშშ-ს ჰეგემონობა ეჭვს არ იწვევდა. საერთაშორისო სისტემა კი ჰეგემონი სახელმწიფოების ფასეულობებისა და ინტერესების თანახმად "ეწყობა" და ფუნქციონირებს. ამიტომ ლოგიკურია, რომ საერთაშორისო რეჟიმები უმეტესწილად ასიმეტრიული უნდა ყოფილიყო, ე.ი. გაბატონებული, უფრო ძლიერი მონაწილეების სურვილები და პირობები შეუძლებელია არ აისახოს ამ რეჟიმების პრინციპებში, წესებსა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებში.

ჰეგემონური საერთაშორისო სისტემის ლიდერი – ჰეგემონი სახელმწიფო – საკუთარ კონტროლს ვერ დაამყარებს და საკუთარ ინტერესებს ვერ უზრუნველყოფს, თუ საერთაშორისო სისტემაში გარკვეული წესრიგი და თანამშრომლობა ვერ დაამკვიდრა. ჰეგემონმა თუ პატრონაჟის პოლიტიკა არ გამოიყენა, მას საჰეგემონოდ ბევრი არაფერი შერჩება ხელთ, რადგან საერთაშორისო სისტემის პოლიტიკური და ეკონომიკური მექანიზმები მოიშლება და კვლავ ძალის დიქტატის ეკონომიკურად არაეფექტიანი პოლიტიკა გაბატონდება, რაც შეიძლება ტოტალიტარული ჰეგემონის ინტერესებში იყოს კიდეც, მაგრამ დემოკრატიული ჰეგემონის ბუნებასა და ინტერესებს არ ესადაგება. ჰეგემონური ლიდერობა პატრონაჟული ლიდერობაა და მას თანამშრომლობის გარეშე ვერ გაატარებ. აშშ-ის ლიდერობას იმთავითვე ვერ ეგუებოდნენ რუსეთი და ჩინეთი. მსოფლიოს გარდაქმნა ამერიკულ ღირებულებათა საფუძველზე, დემოკრატიის გავრცელება, რაც სუპერსახელმწიფოს – აშშ-ის მსოფლიო ჰეგემონობის დეკლარირებულ მიზანს შეადგენდა და სხვა ქვეყნებისთვის "თავისუფლების შუქურად" უნდა ქცეულიყო, ავტორიტარული სახელმწიფოების დაშლის სერიოზულ საფრთხეს ქმნიდა. ამიტომაც, იმთავითვე ამ უკანასკნელთა ამოცანას

ერთპოლუსიანობის მოშლა და მსოფლიოს მრავალპოლუსიან მოწყობაზე გადასვლა წარმოადგენდა. ჯორჯ ბუში-უფროსის მიერ წამოყენებული “ახალი მსოფლიო წესრიგის” საპირისპირო წესრიგის შექმნის აუცილებლობაზე პირველად ჩინეთის ლიდერი დენ სიაო-პინი 1988 წელს ალაპარაკდა. პრეზიდენტ ჰუ ძინტაოს “ჰარმონიული მსოფლიოს” კონცეფციაც ამ იდეას ემყარება.

ჯორჯ ბუში-უმცროსის ადმინისტრაცია “მრავალპოლუსიანი სამყაროს” იდეას გაუმართლებლად და, უფრო მეტიც, საზიანოდ მიიჩნევდა, რადგან თვლიდა, რომ ეს იდეა მსხვილ “დერჟავებს” შორის “ცივი ომის” დროინდელ მეტოქეობას გამოიწვევდა. შეერთებული შტატები “მრავალპოლუსიანობის” ნაცვლად სხვა სახელმწიფოებს ინტერესების, ღირებულებების, პრობლემების, მათ შორის კონფლიქტების მოგვარებისთვის ძალთა გაერთიანებას სთავაზობდა. “მრავალპოლუსიანობა”, რომელსაც ზოგიერთი ქვეყანა, პირველ რიგში, რუსეთი და ჩინეთი უჭერდა მხარს “არასდროს უწყობდა ხელს ერთიანობას. იგი ბოროტებაა, რომელიც, მართალია, ხელს უშლის ომს, მაგრამ არაფერს აკეთებს მშვიდობის დასამყარებლად” (კონდოლიზა რაისი). “მრავალპოლუსიანობა” – მეტოქეობის, ინტერესებისა და ღირებულებების კონკურენციის თეორიაა, რომელიც ხელს არ უწყობს ისეთი რთული საკითხების გადაჭრას, როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმი და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება

თანამედროვე მსოფლიო მოწყობაზე ოფიციალური ვაშინგტონი პოზიციის გამოთქმისას აღნიშნავდა, რომ ბოლო ათწლეულის მანძილზე მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ განვითარების დემოკრატიული გზა აირჩია. ევროკავშირში გაერთიანდნენ ევროპული სახელმწიფოები. მათი დიდი ნაწილი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდა. მათი ინტერესების თანხვედრა მსხვილი “დერჟავების” მეტოქეობის განეიტრალების ისტორიულ შანსს იძლეოდა. მეტოქეობა, რომელიც ლოკალურ კონფლიქტებს აღრმავებს, თანამშრომლობის სურვილმა უნდა შეცვალოს – ასეთი იყო იმ დროის ვაშინგტონის ადმინისტრაციის ხედვა.

2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ბევრი რამ შეცვალა. თითქოს პირი შეკრესო, კონსერვატორებიც და ლიბერალებიც ერთხმად ალაპარაკდნენ აშშ-ს ჰეგემონობის ეპოქის დასრულებაზე. ბარაკ ობამასAახალმა ადმინისტრაციამ ეს ცვლილებები თავის სტრატეგიაში ასახა. ჯერ კიდევ თავის საინაუგურაციო სიტყვაში აშშ-ს ახალმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკელები თავიანთი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსში სერიოზულ ცვლილებებს ელიან, ეს შეიძლება მოკლედ ასე დახასიათდეს: ყურადღება გამახვილდეს მრავალპოლუსიან მსოფლიოს პრინციპზე და დამთავრდეს საუბარი შეერთებული შტატების როლზე, როგორც ერთადერთ მსოფლიო სუპერსახელმწიფოზე.

გაპრეზიდენტებიდან ორ კვირაშივე ბარაკ ობამამ 120 გვერდიანი ანგარიში მიიღო, რომელიც მომავლის განჭვრეტაში უნდა დახმარებოდა.

დაზვერვის ეროვნული საბჭოს საუკეთესო ექსპერტებმა ერთი წელი დახარჯეს, რათა სხვა ექსპერტების გამოკითხვასა და გლობალურ ტენდენციებზე დაყრდნობით შეედგინათ ერთგვარი დოკუმენტი, რომელიც ახლად არჩეულ პრეზიდენტს დაეხმარებოდა თითქმის 2025 წლამდე პერიოდზე გარკვეული შეხედულების შექმნაში, რისი განჭვრეტაც ამ დროისათვის შეუძლებელია.

საერთაშორისო წყობა მნიშვნელოვანი ცვლილებების პროცესს განიცდის, - ასეთი იყო იმ ანგარიშის დასკვნა, რომელსაც “გლობალური ტენდენციები – 2025” ეწოდებოდა. ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ მომავალი 15 წლის განმავლობაში აშშ-ს ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა შემცირდება; მსოფლიო ბევრად უფრო სახიფათო გახდება. “შეერთებული შტატები ერთადერთ მეტ-ნაკლებად გავლენიან ქვეყნად დარჩება, შემცირებული ეკონომიკური და სამხედრო რესურსები მას აიძულებს საშინაო და საგარეო პრიორიტეტებს შორის სულ უფრო მეტ კომპრომისებზე წავიდეს” – ნათქვამი იყო ანგარიშში.

ანგარიშში, რომელიც ობამას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაწყებიდან მალევე წარუდგინეს, ნათქვამი იყო, რომ “მსოფლიოს ბევრი ავტორიტარული სახელმწიფოს საუკეთესო ეკონომიკური მაჩვენებლები

ბევრს ეჭვს გაუჩენს, რომ დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმაა".

მოცემული ანგარიში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმ ტრიუმფალიზმისგან, რომელიც ამერიკას 20 წლის წინათ ახასიათებდა – მაშინ როდესაც მან ბერლინის კედლის დანგრევა, საბჭოთა კავშირის დამხობა და კომუნიზმის განადგურება იხილა.

ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში აშშ-მ აღმოაჩინა, რომ პლანეტაზე ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელსაც არც ეკონომიკური და არც სამხედრო თვალსაზრისით მეტოქე არ ჰყავდა. ფრენსის ფუკუიამა – ცივი ომის დასრულების დროს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სტრატეგიული დაგეგმვის სამსახურის დირექტორის მოადგილე და ავტორი წიგნისა "ისტორიის დასასრული" – მიიჩნევდა, რომ შესაძლოა, ცივი ომის დასრულება არა მხოლოდ ისტორიის ერთი პერიოდის ფინალი იყო, არამედ იმის დასტურიც, რომ დასავლური ლიბერალური დემოკრატიის მოდელი ადამიანური მმართველობის უკანასკნელი ფორმაა.

თუმცა ახლა უკვე დაზვერვის სამსახურის პროგნოზით, რომელიც ობამას წარედგინა, ისტორიის წინააღმდეგობრიობა ფუკუიამას შეხედულებებს თანდათან თავდაყირა აყენებდა.

ნაცვლად იმისა, რომ ისტორია მართლაც დასრულებულიყო, მსოფლიო რთული და არაპროგნოზირებადი ცვლილებების ეპოქაში შევიდა. თუმცა, როგორც ჩანს, ეს ცვლილება ბევრად უფრო სწრაფი ტემპით ხორციელდება, ვიდრე ეროვნული საბჭოს ანალიტიკოსებს წარმოედგინათ. ფარიდ ზაქარია, ავტორი წიგნისა "ამერიკის შემდგომი მსოფლიო", ვარაუდობს, რომ აშშ ვეღარ შეძლებს მსოფლიო ეკონომიკაზე მბრძანებლობას, გეოპოლიტიკის დირიჟორობასა და სხვა კულტურებზე ზეწოლას. "ჩვენს წინაშეა არა მხოლოდ ცვლილებები ან რევოლუცია, როგორიც იყო მეორე მსოფლიო ომის დასასრული, საბჭოთა კავშირის ნგრევა, ფინანსური კრიზისი, არამედ უსასრულო ცვლილებათა მთელი ტალღა, - აცხადებს ის, - ჩვენ რევოლუციურ ეპოქაში შევდივართ".

აშშ-ს ჰეგემონური ლიდერობის, უნიპოლარულობის თხუთმეტწლიანი პერიოდი წარსულში დარჩა. ზბიგნევ ბჟეზინსკი თავის ბოლო წიგნში ("Strategic Vision: America and the Crisis of Global Power") აცხადებს, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ამ ქვეყანამ გაფლანგა ის უნიკალური კრედიტი, რომელიც მას ისტორიამ მისცა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად. ამერიკას ჰქონდა "მსოფლიოს გადაკეთების" დაწყების შესაძლებლობა, შედეგად კი მივიღეთ გაცილებით უფრო არეული და რთული სიტუაცია, ვიდრე მანამდე იყო. მსოფლიოში დეცენტრალიზაციის პროცესი მიმდინარეობს. ძლიერება, ძალა და გავლენა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ინაცვლებს. საჭიროა გონივრული კომპრომისის მიღწევა, წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო ქაოსი გარდუვალია, აქედან კი ცივილიზაციის დასასრულამდე არც ისე შორია.

აშშ რუსეთს პარტნიორ ქვეყნად ასახელებდა, თუმცა "მრავალპოლუსიანი" სამყაროს შესახებ ამერიკული კონცეფცია მოსკოვის პოზიციას არ ემთხვევა. პუტინმა არაერთხელ განაცხადა, რომ იგი "მსოფლიოს მრავალპოლუსიანობის" მომხრეა. იმთავითვე ორი ქვეყნის რუსეთის და ჩინეთის ლიდერები "მრავალპოლუსიანი" მსოფლიოს მომხრენი იყვნენ და თვლიდნენ, რომ "მრავალპოლუსიანი" მსოფლიოს ფორმირება რთულია და საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას მოითხოვდა. სწორედ რუსეთის დაჟინებული მოთხოვნით გაჩნდა ამ ათიოდე წლის წინ ჩინეთის პრეზიდენტთან ძიან ძემინთან და ინდოეთის პრემიერთან ვაჯპაიისთან ხელმოწერილ ერთობლივ დეკლარაციაში "მრავალპოლუსიანი მსოფლიოს" ცნება. თავის დროს მოსკოვი-პეკინი-დელის ღერძის შექმნის იდეა ე.წ. პრიმაკოვის დოქტრინის ერთ-ერთი პოსტულატი იყო. ეს დოქტრინაც "მრავალპოლუსიანი მსოფლიოს" აუცილებლობას ქადაგებდა, თუმცა, არსებითად, მის მიზანს შესაძლებლობის ფარგლებში მოსკოვის გავლენის უწინდელი სფეროს შენარჩუნება წარმოადგენდა. მაგრამ, ეს ყველაფერი მაშინ წარუმატებლად დასრულდა. – ნატო მაინც გაფართოვდა. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ დოქტრინის გაცოცხლების ხელსაყრელი პირობები

შეიქმნა, პოლიტიკურ პრაქტიკაში ეს გამოიხატა ევროკავშირის გათიშვის მცდელობასა და დასავლეთის წინააღმდეგ "აზიური კარტის" გათამაშებაში. ყველაზე მძაფრად კი აშშ-ის "დიქტატის" წინააღმდეგ პუტინმა მიუნხენის ცნობილ გამოსვლაში გაილაშქრა.

პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნების შემდეგაც პუტინი გააგრძელებს რუსეთის როგორც ევრაზიული დერჟავის დამკვიდრების პოლიტიკურ კურსს, პუტინის ხელმძღვანელობით რუსეთი შეინარჩუნებს თავის დერჟავულ სტრატეგიას ეკონომიკური და სამხედრო (უწინარესად ბირთვული) განვითარების და დსთ-ს, ე.წ. "ახლო საზღვარგარეთის" ქვეყნებზე, კონტროლის განმტკიცების საფუძველზე, ეს იქნება მისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება. ვლადიმერ პუტინი მხარს უჭერს დაბალანსებული მსოფლიო მმართველობის დამყარებას, ახალი სწრაფად განვითარებადი სახელმწიფოების (ბრაზილიის, ინდოეთის ჩინეთის) ინტეგრირებას და პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს გაეროს, როგორც დემოკრატიული პლურალიზმის ვექტორის როლს. რუსეთის გრძელვადიანი მიზანია მრავალპოლუსიანი მსოფლიოს შექმნა, რომელიც ამერიკის ჰეგემონიას ეჭვსქვეშ დააყენებს.

დღეს, როცა რუსეთი უფრო ძლიერად გრძნობს თავს, მისი პოლიტიკის გამკაცრება აშშ-ის მიმართ გარდუვალი ჩანს. პუტინს სურს, რომ რუსეთს ანგარიშს უწევდნენ, მისი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს ითვალისწინებდნენ შემდეგ საკვანძო საკითხზე: ნატო-ს რაკეტსაწინააღმდეგო ფარის, ავღანეთის ქაოსის, სირიის ჩიხის საკითხებზე. მას სურს დასავლეთმა აღიაროს პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის უპირობო გავლენის სფეროდ. პუტინი იმედოვნებს, რომ ნატო-აშშ-ის ღერძი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის "ანტირუსულ" სისტემას გადახედავს; მოსკოვი ამ ღერძისგან ავღანეთში ნარკოტრაფიკსა და ტერორიზმთან ბრძოლაში უფრო თანმიმდევრულ პოლიტიკას მოელის; რეგიონის დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად ის ახლო აღმოსავლეთისადმი უფრო გაწონასწორებული მიდგომის მომხრეა.

რევანშიზმით შეპყრობილი რუსეთი ეცდება "ამერიკელი ექსპანსიონისტების" ხელყოფისაგან თავისი პოზიციების დაცვას, ამერიკა

ხომ მის ისტორიულ სივრცეში შეჭრას ლამობს, ამ მიზნით პუტინი გააძლიერებს პერიფერიაზე კონტროლს, გაზრდის იქ კოლექტიური ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურების საშუალებით თავის დომინირებას, უფრო მტკიცედ მონიშნავს თავისი უსაფრთხოების ზონას (გავლენის სფეროს). პუტინის ამოცანაა, აშშ-ს მიერ რუსეთის დერჟავის დასუსტების სტრატეგიის ნეიტრალიზება, დროთა განმავლობაში ეცდება ამერიკის ინტერესებთან შეტაკებაში თავისი "ვოტჩინა" ბრძოლით დაიბრუნოს. უდავოა, ეს უთუოდ გამოიწვევს რუსეთ-ამერიკის დაძაბულობას.

რუსეთის პოზიცია სირიის საკითხში "რევოლუციების" მიმართ უნდობლობის გამოვლინება იყო, რასაც, მისი აზრით, გარეშე ძალები მართავდნენ. რუსეთის თვალსაზრისით, არაბულ სამყაროში არასტაბილურობა მუქარის შემცველია: ერთი მხრივ, მას არაბულ სამყაროში რუსეთის პოზიციების დასუსტება მოჰყვება, მეორეს მხრივ – მოსკოვი შიშობს თავისი შიდა და საგარეო პოლიტიკური სივრცის რევოლუციურ დასნეულებას. აშშ ამ "დემოკრატიულ" ტალღას გარკვეულწილად ხელს უწყობს, ვინაიდან ის დესტაბილიზაციას და რუსეთის დანგრევის მისეულ მიზნებს ემსახურება. შესაძლოა სირია რუსეთის დერჟავის დაბრუნებისა და დასავლური უნილატერალიზმისადმი დაპირისპირების უნარის სიმბოლოდ იქცეს.

გლობალურ მმართველობაზე ზეგავლენის გასაძლიერებლად და მსოფლიო არენაზე მარგინალიზაციისგან თავის დასაღწევად რუსეთს საგარეო პოლიტიკის ევრაზიული ვექტორი სჭირდება, ამას ემსახურება ევრაზიული კავშირის შექმნის იდეა. ამიტომაც ჩინეთთან და ინდოეთთან დაახლოება მრავალმხრივი პარტნიორობის ჩარჩოებში ეწერება, რომელიც აძლიერებს ევრაზიულ ღერძს ნეოლიბერალური მსოფლიო მმართველობის ჰეგემონიასთან დასაპირისპირებლად. და მაინც, გრძელვადიან პერსპექტივაში ჩინეთი რუსეთისთვის გაურკვევლობის და ფარული მუქარის წყაროდ იქცევა, რაც ჩინური მიგრაციული სტრატეგიის გამო თანდათანობით გაიზრდება.

დღეს წამყვანი ამერიკელი ანალიტიკოს-ნეოკონსერვატორებიც კი ეთანხმებიან იმ აზრს, რომ მრავალპოლუსიანი მსოფლიო წარმოიქმნება, თუმცა, სურთ, რომ წამყვანი როლი კვლავაც ამერიკას დარჩეს. 1997 წლის "ახალი ამერიკული საუკუნის პროექტის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც "გლობალური ამერიკული ლიდერობისკენ" მოუწოდებდა, 2008 წელს ჟურნალ "Foreign Affairs"-ის შემოდგომის ნომერში წერდა: "ის, ვინც აცხადებს, რომ შეერთებული შტატები დაცემის პირასაა, ხშირად წარმოიდგენს წარსულს, როცა მსოფლიო ამერიკის დაკრულზე ცეკვავდა. ეს ილუზიაა ... ჩვენ დღეს XIX საუკუნეში ვართ და არა XX საუკუნის დასასრულში. ის, ვინც ფიქრობს, რომ აშშ-ის დაცემა – კარგია, უნდა იხსენებდეს იმას, რომ მსოფლიო წესრიგი XIX საუკუნეში არც ისე წარმატებით დასრულდა, როგორც ცივი ომი. ამგვარი ხვედრის თავიდან ასაცილებლად, შეერთებული შტატები და სხვა დემოკრატიული ქვეყნები თავიანთ ინტერესებს უფრო შეგნებულად და კეთილშობილურად უნდა მოეკიდონ, ვიდრე ამას ცივი ომის დროს აკეთებდნენ. შეერთებული შტატები – როგორც ყველაზე ძლიერი დემოკრატია – კი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, არამედ მიესალმებოდეს მსოფლიოს, რომელშიც ეროვნული სუვერენიტეტი უფრო სუსტია და მარტოხელა არ მოქმედებს. ამავე დროს, აზიის და ევროპის დემოკრატიებს უნდა ესმოდეთ, რომ წინსვლა ახალი, უფრო სრულყოფილი ლიბერალური მსოფლიო წესრიგისკენ დამოკიდებულია არა მხოლოდ კანონსა და ხალხის ნებაზე, არამედ იმ ერების ძლიერებაზეც, რომლებიც შესძლებენ ამ წესრიგის შენარჩუნებას და დაცვას".

გაეროს გენერალურ ასამბლეის სხდომაზე თავის სიტყვაში 2009 წელს ბარაკ ობამამ პირობა დადო, რომ კვლავ გააგრძელებს დემოკრატიის მხარდაჭერას მთელს მსოფლიოში, უბრალოდ ეს აღარ გაკეთდება ცალსახად და სწორხაზოვნად, უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული ეროვნული თავისებურებები. თუმცა საბოლოო მიზანი ერთია და მისი აზრით დემოკრატიული პრინციპები უნივერსალურია მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის.

რუსეთი შორსაა დემოკრატიისგან. აქ ყველაფერი კრემლის შიდა დინამიკაზეა დამოკიდებული, რომელიც არა გარეგანი, არამედ შინაგანი ფაქტორებით განისაზღვრება. პუტინსა და მის გარემოცვას ამერიკის "ახალი დიპლომატია" არაფერში სჭირდება. პირიქით, მათთვის აუცილებელია მტრის სახე და თან უფრო ძლიერი, ვიდრე საქართველო და ესტონეთია, რათა პატრიოტული სული აამაღლონ და ხალხი დროშის გარშემო შეკრიბონ.

პუტინი ეცდება ამერიკასთან მიმართებაში ჩვეული კურსის გაგრძელებას, რათა საზოგადოებაში "ჯანსაღი" დაძაბულობა და ერთპოლუსიანი მსოფლიოსადმი უარყოფითი დამოკიდებულება შეინარჩუნოს.

თემა 10

რუსეთი და ნატო

საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შემდგომ პერიოდში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ხაზგასმით და მიზანდასახულად ცდილობდა რუსეთთან თანასწორუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას. ნატოს ამ ინიციატივას ფართო მხარდაჭერა გააჩნდა დასავლეთის პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებაში. მაგრამ, ამავე დროს იყვნენ ამ იდეის მოწინააღმდეგეები, რომელთაც არ სჯეროდათ, რომ რუსეთი დემოკრატიული გზით წავიდოდა და მომავალში არ გამოამჟღავნებდა თავის იმპერიალისტურ ზრახვებს. ამ რადიკალურად განწყობილი ოპონენტების აზრით, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ დასავლეთს „ცივ ომში" დამარცხებული რუსეთის მიმართ უნდა გაეტარებინა იგივე პოლიტიკა, რაც განხორციელდა მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის მიმართ.

თავის მხრივ რუსეთშიც არსებობდა ნატოსადმი უნდობლობა. მაგალითად რუსეთს განსაკუთრებული, თავიდანვე გარკვეულწილად უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნდა ნატოს ინიციატივით შექმნილი ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს მიმართ, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ მოსკოვში ეს ინიციატივა აღიქმებოდა, როგორც ნატოს ინსტრუმენტი, მიმართული ალიანსის პოლიტიკური და სამხედრო გავლენის აღმოსავლეთით გაფართოებისაკენ.

ზემოაღნიშნულ ვითარებაზე გავლენას ახდენდა ის ფაქტი, რომ ალიანსის მესვეურებმა უკვე „ცივი ომის" დასრულების შემდეგ დაიწყეს საუბარი მომავალში ნატოს შესაძლო გაფართოებასთან. ამის

საპასუხოდ, 1993 წლის ოქტომბერში რუსეთის პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმღვანელებმა მძაფრი კრიტიკული განცხადება გააკეთეს ნატოს მიმართ, მათ გაღიზიანებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ალიანსში უკვე განიხილებოდა ნატოს შესაძლო გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხები და მიმდინარეობდა მოლაპარაკება ალიანსის შესაძლო წევრებთან. რუსეთის მხრიდან ამ დემარშმა განაპირობა ნატოს წევრი ქვეყნების მიერ გარკვეულწილად პოზიციის შერბილება ნატოს გაფართოების საკითხთან დაკავშირებით.

ალიანსის მხრიდან რუსეთთან კონსტრუქციული თანამშრომლობის სურვილის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა 1993 წლის 20 ოქტომბერს აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ლ. ასპენის მიერ გერმანიაში გაკეთებული განცხადებები, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს პოლონეთში ვიზიტის დროს თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის სიტყვები, რომ “უშიშროება და მშვიდობა ვერ იქნება გარანტირებული ჩვენს რეგიონში, თუ ევროპის ტრანსპორმაციის პროცესში არ გაითვალისწინებენ რუსეთის ინტერებს. (39)“

ნატოს ახალი სტრატეგია და გაფართოების პროცესის დაწყება თვისობრივად ახალ ვითარებას ქმნიდა ევროპის კონტინენტზე. ამ პროცესის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შესაძლოა დასახელდეს ის, რომ ალიანსის გაფართოება დაკავშირებული იყო „იდენტურობის პრობლემასთან”. როგორც ვიცით, ნატო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდა კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციად და ალიანსის წესდებიდან გამომდინარე მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა წევრი ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა გარეშე საფრთხისაგან, ხოლო გარეშე საფრთხეში რა თქმა უნდა საბჭოთა კავშირი იგულისხმებოდა. მას შემდეგ, რაც ნატოს მთავარი მოწინააღმდეგე საბჭოთა კავშირი დაიშალა და მის ადგილზე 15 ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო აღმოცენდა, ასევე დაიშალა კომუნისტური ბლოკი და შესაბამისად ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, ბევრი ექსპერტი მიიჩნევდა რომ გარეშე საფრთხის ფაქტორი თითქმის აღარ არსებობდა, რაც მოითხოვდა ნატოს

მთავარი ფუნქციის ახლებურად გააზრებას. უპირველეს ყოვლისა საჭირო იმის დეტალურად გააზრება, თუ „ცივი ომის” დამთავრების შემდეგ რა მთავარი ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე იდგა ალიანსი და საიდან იყო მოსალოდნელი საფრთხე და სადამდე შეიძლებოდა გავრცელებულიყო ნატოს უსაფრთხოების გარანტიები.

ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მაინც მიიჩნეოდა პოლიტიკურად არასტაბილური რუსეთი, თუმცა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში უკვე აღარ არსებობდა კომუნისტური ხელისუფლება და რუსეთი „ცივი ომის“ პერიოდთან შედარებით ბევრად დასუსტებული იყო, გლობალური ბირთვული დაპირისპირების საფრთხე მინიმუმამდე იყო დასული. მაგრამ ამავე დროს „ცივი ომის” შემდეგ შექმნილი ვითარება, და ისეთი პრობლემების არსებობა, როგორებიც იყო ეთნიკური და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საშიშროება, პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციის საფრთხე, ტერორიზმი, რელიგიური ექსტრემიზმი, სტიქიური უბედურებები და ა.შ. არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენდნენ დასავლეთის სამყაროსათვის ვიდრე საბჭოთა სამხედრო პოტენციალი. ამის შესაბამისად ნატოს პოლიტიკურ წრეებში მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ ალიანსის გაფართოების შედეგად ნატო გააფართოვებდა თავისი უსაფრთხოების არეალს და აღმოსავლეთი ევროპაც უფრო აქტიურად იქნებოდა ჩართული ევროატლანტიკურ სივრცეში ახალი უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბებასა და ახლებურად გააზრების საქმეში.

ნატოს პოლიტიკურ წრეებში რეალისტურად აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ ალიანსის შესაძლო გაფართოებას შესაძლოა რუსეთის გაღიზიანება გამოეწვია და ანტიდასავლური და რევანშისტული განწყობილებები შეექმნა ამ ქვეყანაში. თუმცა რუსეთთან შესაძლო კონფრონტაციის მიუხედავად, ნატოსთვის უფრო პრიორიტეტული იყო გაფართოების პოლიტიკის წარმოება, რადგანაც იგივე ალიანსის მესვეურთა აზრით ნატოში გაწევრიანებული და სტაბილური აღმოსავლეთ ევროპა თავისთავად დადებით გარემოს

შექმნიდა რუსეთის საზღვრების სიახლოვეს და ეს კი თავის პოზიტიურ გავლენას მოახდენდა მოსკოვის შემდგომ დემოკრატიულ განვითარებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში თვლიდნენ, რომ მიუხედავად რუსეთის წინააღმდეგობებისა, მოსკოვი თვითონ უნდა ყოფილიყო ნატოს გაფართოების მომხრე, რადგანაც გაფართოების პროცესი სავსებით შეესაბამებოდა რუსეთის ინტერესებს.

არსებობდა ამ პროცესის არაოფიციალური და, შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეც, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შედეგად შეიქმნებოდა ახალი გეოსტრატეგიული გარემო, რომლის მთავარი მანიშნებელი იქნებოდა ის ფაქტი, რომ „ცივ ომში" დამარცხებული რუსეთის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში დაკარგული პოლიტიკური გავლენის სფეროს ხარჯზე იზრდებოდა დასავლეთის სამყაროს გავლენის სფერო, ხოლო მოსკოვს არც ეკონომიკური და არც სამხედრო რესურსი გააჩნდა და აღარც საკმარისი მოკავშირეები ამ პროცესის შესაჩერებლად. რა თქმა უნდა ამ პროცესს განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამდნენ რუსეთის რეაქციული წრეების წარმომადგენლები, რომელთა აზრითაც ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება არა მხოლოდ ალიანსის გაძლიერებას გამოიწვევდა, არამედ საგრძნობლად შეარყევდა ისედაც დასუსტებული რუსეთის პრესტიჟს.

ნატო დადგა ახალი დილემის წინაშე, როგორ იყო შესაძლებელი „დაეშოშმინებინათ" რუსეთი ალიანსის გაფართოების ფონზე. ერთ-ერთ ასეთ მეთოდს წარმოადგენდა სოციალურად და ეკონომიკურად დასუსტებული რუსეთისათვის ფინანსურ-ეკონომიკური დახმარების გაწევა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და ა.შ) მეშვეობით. გარდა ეკონომიკური დახმარებისა, 1994 წლის ბოლოდან ასევე აქტიურად განიხილებოდა საკითხი ნატოსა და რუსეთს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარების შესახებ.

1995 წლის 8 თებერვალს უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ქ. მიუნხენში, აშშ-ის თავდაცვის მდივანმა უ. პერიმ უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთთან გაფორმებული სპეციალური ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ჩამოყალიბებული ურთიერთგაგების ქარტიის ან მემორანდუმის სახით და ამ დოკუმენტის მთავარი ამოსავალი პუნქტი უნდა ყოფილიყო ერთგვარი ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საკონსულტაციო კომისიის შექმნა. ნათელი ხდებოდა, რომ გაფართოების პროცესის პოლიტიკის განხილვის პარალელურად ნატოში აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობდა რუსეთთან დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ.

1994 წლის 20 თებერვალს გაზეთ „ფაინენშელ თაიმსში" გამოქვეყნდა ინტერვიუ ნატოს გენერალური მდივანთან, ბ-ნ ვ. კლასთან, რომელიც აღნიშნავდა: ...ევროპის უსაფრთხოების წინაშე ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა დგას. ალიანსის ძირითადი ფუნქცია არ შეცვლილა. იგი კვლავინდებურად წევრი სახელმწიფოების ტერიტორიისა და დამოუკიდებლობის დაცვას ითვალისწინებს, მაგრამ, ამავე დროს, მას ევროპაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფუნქციაც აკისრია.... ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიების დახმარება ნატოს არსებობისა და მოღვაწეობის ერთ-ერთ მიმართულებად იქცა და სწორედ ამ მიზნით შეიქმნა „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამა, რომელიც სულ უფრო ვითარდება. ნატო გაფართოვდება, მაგრამ ეს არ მოხდება ალიანსის შესუსტების ხარჯზე და არც ისე, რომ ამან ევროპის ახალი გაყოფა გამოიწვიოს... რა თქმა უნდა, დღის წესრიგში დგება ნატო-რუსეთის ურთიერთობის საკითხი. რუსეთი იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია ევროპის მიერ მისი იზოლაცია. მაგრამ თვით რუსეთს შეუძლია მოაქციოს თავისი თავი იზოლაციაში. რუსეთს საერთო ევროპული უსაფრთხოების კონტექსტში თავისი უსაფრთხოების კანონიერი ინტერესები აქვს, ჩვენ ვაღიარებთ ამას და ვესწრაფვით კიდეც რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავებას..."(40)

ალიანსის მხრიდან ასეთი კონსტრუქციული პოზიციის მიუხედავად, რუსეთის პოლიტიკურ წრეებში მაინც გაღიზიანებით აღიქმებოდა ნატოს აღმოსავლეთის მიმართულებით შესაძლო გაფართოება. რუსეთის ამ პრეტენზიების უკან იდგა არა მხოლოდ წარსულის ინერცია, არამედ სხვა ტაქტიკური მონახაზებიც, რაც პირველ რიგში გათვლილი იყო იმაზე, რომ ნატოს მიმართ თავისი უკმაყოფილების გამომჟღავნებით მოსკოვის მიზანს წარმოადგენდა დასავლეთთან პოლიტიკური ვაჭრობის წარმოება და მაქსიმალური პოლიტიკური დივიდენტების მიღება. კერძოდ, რუსეთს სურდა ალიანსს იგი განეხილა არა როგორც ნატოს ერთ-ერთი პარტნიორი სახელმწიფო, არამედ მასზე განსაკუთრებული პრივილეგიები გავრცელებულიყო და მას ჰქონოდა განსაკუთრებული და თანასწორუფლებიანი პარტნიორის სტატუსი. გარდა ამისა, რუსეთის დიპლომატია ესწრაფვოდა ნატოს გაფართოება მაქსიმალურად გამოეყენებინა გარკვეული შეღავათების მისაღებად ევროთათბირის ფარგლებში მიმდინარე ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების პროცესში. კერძოდ, აქ საუბარი შეიძლება ყოფილიყო ქვოტების გაზრდაზე ნატოს მომავალ საზღვრებთან უშუალო სიახლოვეს, ეს კი უშუალოდ იყო დაკავშირებული ყოფილ საბჭოთა სივრცეზე უსაფრთხოების საკითხებთან.

რაც შეეხება ნატოს გაფართოებას, უმთავრესად რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, ეს მეტად რთულ პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა. გაფართოების შესახებ საკითხის განხილვამ განსაკუთრებული აქტუალობა მიიღო მას შემდეგ, როდესაც ჯერ კიდევ 1995 წელს მომზადდა სპეციალური სტრატეგიული გამოკვლევა ნატოს გაფართოების თაობაზე. ამ დოკუმენტში დეტალურად იყო გაანალიზებული „ცივი ომის” დასრულების შემდგომ პერიოდში არსებული ახალი პოლიტიკური რეალობები და ალიანსის მიერ 21-საუკუნის უსაფრთხოების სისტემის ხედვა. დოკუმენტში არსებობდა მინიშნება, რომ ალიანსი განიხილავს თავის უსაფრთხოებას ფართო გაგებით როგორც სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორების ერთიანობას. კვლევაში მნიშვნელოვანი

ადგილი დაეთმო ნატოს უსაფრთხოების უმთავრესი ფუნქციების განხორციელებას, მისი თანამშრომლობის გაფართოებას ევროპულ და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან, ასევე გაერო-სთან. აღინიშნება, რომ ნატოს წევრი ქვეყნების კოლექტიური ამოცანაა ისეთი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნა, რომელშიც ალიანსისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წვლილი და ძალისხმევა ერთმანეთს შეავსებენ და გააძლიერებენ როგორც თანამშრომლობის, ასევე კრიზისული სიტუაციების მართვაში.

21-საუკუნეში ევროატლანტიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის ნატო აუცილებლად მიიჩნევდა:

- ტრანსატლანტიკური კავშირის (აშშ - დასავლეთ ევროპა) შენარჩუნებას;
- ალიანსის ისეთი სამხედრო პოტენციალის შენარჩუნებას, რომელსაც უნარი ექნება განახორციელოს თავდაცვასა და შეკავებასთან დაკავშირებული ყველა სამხედრო მისია;
- ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტურობის განვითარებას ალიანსის ფარგლებში;
- კრიზისული სიტუაციების მართვის მიზნით მრავალმხრივი პოტენციალის განვითარებას;
- „ღია კარის" პოლიტიკის გატარებას ალიანსში გაწევრიანების მსურველთათვის;
- მრავალმხრივი პარტნიორობის, თანამშრომლობისა და დიალოგის განხორციელებას ევროატლანტიკური სივრცის ქვეყნებთან.

ამ გადაწყვეტილების პოლიტიკური „გაჟღერება" მოხდა 1996 წლის ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე.

უკვე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ მადრიდში დაგეგმილი სამიტის მზადების პერიოდში, ანუ 1997 წლის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით გააქტიურებულ იქნა დებატები ნატოს

მოსალოდნელი გაფართოების შესახებ. ამ საკითხის თაობაზე სხვადასხვა სახის ანალიტიკური და საინფორმაციო ხასიათის სტატიები იბეჭდებოდა როგორც დასავლეთის, ისევე რუსეთის პრესაში, ხოლო პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში გაფართოებასთან დაკავშირებულმა პოლემიკამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. გაჩნდა მრავალი კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა წარმართულიყო ალიანსის გაფართოების პროცესი და როგორი იქნებოდა ძალთა ახალი ბალანსი ევროატლანტიკურ სივრცეში.

როდესაც აქტიური სჯა-ბაასი მიმდინარეობდა გაფართოების სხვადასხვა ვერსიებთან დაკავშირებით, კრიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ნატოს აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოება, როდესაც ალიანსი რუსეთის საზღვრებს მიუახლოვდება, ეს პოლიტიკური პროცესი აუცილებლად გამოიწვევდა მოსკოვთან მეტად სერიოზულ კონფრონტაციას და ნეგატიურად აისახებოდა ევროპაში უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბების პროცესზე. თავდაპირველი შემოთავაზება ნატოში გაწევრიანების თაობაზე მიიღეს პოლონეთმა, ჩეხეთმა და უნგრეთმა, შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ გაფართოება მოხდებოდა მხოლოდ ამ სამი ქვეყნის ალიანსში გაწევრიანებით, მაშინ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სხვა სახელმწიფოები უსაფრთხოების მუდმივ „ნაცრისფერ ზოლში" აღმოჩნდებოდნენ. აღნიშნული რეალიების გათვალისწინებით უპირატესობა ენიჭებოდა მე-3 „სცენარს", რომლის თანახმად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოება უნდა მომხდარიყო რუსეთთან თანამშრომლობის გააქტიურების პარალელურად, სადაც რუსეთს „განსაკუთრებული პარტნიორი ქვეყნის" სტატუსი უნდა მინიჭებოდა და ნატოს მხრიდან ამ ქვეყანასთან პოლიტიკურ, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა სფეროებში თანამშრომლობას განსხვავებული ფორმა უნდა მინიჭებოდა, გარდა ამისა, ამის პარალელურად ალიანსის ფარგლებში განიხილებოდა საკითხი მოსკოვისათვის ეკონომიკური დახმარების გაზრდის თაობაზე.

ზემოაღნიშნული ფაქტი ცხადყოფს, რომ ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლები და ალიანსის ხელმძღვანელობა მეტად

სწორად აცნობიერებდნენ არსებულ გეოპოლიტიკურ რეალიებს და მათ მიერ მოსკოვისათვის შეთავაზებული „მესამე ვარიანტი” წარმოადგენდა ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას, რომლის მეშვეობითაც იქმნებოდა იმის შესაძლებლობა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ნატოში ინტეგრაცია რუსეთის გაღიზიანებისა და გაუცხოების გარეშე წარმართულიყო.

შემდგომ პერიოდში რუსეთსა და ნატოს შორის ინტენსიური მოლაპარაკებათა პროცესი მიმდინარეობდა თანამშრომლობის ფორმების შემუშავებასთან დაკავშირებით. დებატების შედეგად ორივე მხარე მივიდა დასკვნამდე, რომ თანამშრომლობის ძირითადი პრიორიტეტები განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სპეციალურ დოკუმენტში, რომელსაც ნატო სთავაზობდა რუსეთს. მოსკოვი თავის მხრივ ითხოვდა, რომ ეს დოკუმენტი უნდა ყოფილიყო იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულება, რომლის კონკრეტულ მუხლებში განსაზღვრული ყოფილიყო ალიანსის ვალდებულებები. მოსკოვის მოთხოვნა უპირველეს ყოვლისა უკავშირდებოდა საკითხს, რომ არ უნდა მომხდარიყო ახალი წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ალიანსის ბირთვული იარაღისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგება.

ამ მოთხოვნას, და შესაბამისად იურიდიული ხელშეკრულების გაფორმებას, ნატოში არ მიიჩნევდნენ მიზანშეწონილად. ალიანსი თავისმხრივ სთავაზობდა რუსეთს პოლიტიკური ხასიათის დამფუძნებელი აქტის ან ქარტიის შემუშავებას. რაც შეეხება სამხედრო ასპექტებს, ნატოს განცხადებებიდან გამომდინარე, ალიანს არ გააჩნდა რაიმე განზრახვა, გეგმა თუ მიზეზი, რათა განელაგებინა ბირთვული იარაღი რუსეთის საზღვრებთან. ამავე დროს, ნატო არც მუდმივ გარანტიებს იძლეოდა ამის თაობაზე და ორმხრივი ნდობის განმტკიცების მიზნით სთავაზობდა რუსეთს დამატებით ინიციატივებს. კერძოდ, ამ უკანასკნელს შესაძლებლობა ეძლეოდა არამარტო დასწრებოდა ნატოს სამხედრო ვარჯიშებს, არამედ მიეღო ინფორმაცია შეიარაღებული ძალების ნებისმიერი გადაადგილებისა და დისლოკაციის შესახებ,

ეწარმოებინა სამხედრო ბაზების ინსპექცია და ნატოს საჰაერო სივრცის მონიტორინგი.

ნატოსა და რუსეთს ურთიერთობებზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ ორ მხარეს შორის ურთიერთობების გამყარებას ხელი შეუწყო ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში სამხედრო ასპექტების მშვიდობიანი შესრულების დარგში 1995 წელს განვითარებულმა თანამშრომლობამ. ამ მიზნით როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთის სამშვიდობო ძალებმა ნატოს სამხედრო კონტინგენტთან ერთად ერთობლივი მონაწილეობა მიიღეს სტაბილიზაციის ძალების საქმიანობაში.

1996 წლის 10 დეკემბერს, ბრიუსელში, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა წინადადებით მიმართეს ნატოს გენერალურ მდივანს, შესწავლილ ყოფილიყო რუსეთის მხარესთან შეთანხმების ხელმოწერის შესაძლებლობა. ოთხთვიანი მოლაპარაკებათა პროცესის შედეგად ნატოს გენერალურ მდივან ჰავიერ სოლანასა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პრიმაკოვს შორის მიღწეულ იქნა საბოლოო შეთანხმება და 1997 წლის 27 მაისს პარიზში, ერთი მხრივ ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებმა და ალიანსის გენერალურმა მდივანმა, ხოლო მეორე მხრივ - პრეზიდენტმა ბ. ელცინმა ხელი მოაწერეს „დამფუძნებელ აქტს ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ორმხრივი ურთიერთობის, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ", რომელიც შეფასდა, როგორც „ახალი, ძლიერი, სტაბილური და მრავალმხრივი პარტნიორობის დასაწყისი."

დოკუმენტის ძირითადი პრინციპების თანახმად შეიქმნა ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭო. საბჭოს ფარგლებში სხდომები იმართება თვეში ერთხელ ელჩებისა და სამხედრო წარმომადგენლების დონეზე, და ასევე წელიდწადში ორჯერ შეხვედრები იმართება საგარეო საქმეთა მინისტრების, თავდაცვის მინისტრების და გენერალური შტაბის უფროსების დონეზე.

თავისი არსებობის პირველივე წლებიდანვე მუდმივმოქმედმა საბჭომ მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა, კერძოდ:

- ვითარება ყოფილ იუგოსლავიაში;
- ნატოსა და რუსეთის წვლილი ევროატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურაში;
- პოლიტიკური და სამხედრო ძალისხმევა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან ბრძოლის საკითხებში;
- ბირთვული იარაღის საკითხები;
- ნატოსა და რუსეთის სტრატეგიები და დოქტრინები;
- სამშვიდობო ოპერაციები;
- განიარაღება და შეიარაღებაზე კონტროლი;
- საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა;
- სამაშველო სამუშაოების ჩატარება;
- სამეცნიერო თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში.

ამ მიზნების განსახორციელებლად შეიქმნა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი.

კოსოვოში შექმნილმა ვითარებამ თავისი ნეგატიური დაღი დაასვა ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭოს საქმიანობას. თუ 1998 წლის განმავლობაში საბჭოს სხდომაზე ორივე მხარემ გამოთქვა ერთობლივი შეშფოთება ბელგრადის მიერ ძალის არაპროპორციულად გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე, ნატომაც და რუსეთმაც გამოთქვეს თავიანთი მხარდაჭერა კონფლიქტის პოლიტიკური გზით დარეგულირების შესახებ, უკვე 1999 წლის მარტში ალიანსის მიერ იუგოსლავიაში სამხედრო ოპერაციის შემდეგ რუსეთი დროებით გამოვიდა მუდმივმოქმედი საბჭოს შემადგენლობიდან, ასევე შეწყვიტა თავისი მონაწილეობა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში და გამოაძევა მოსკოვიდან ნატოს საინფორმაციო ცენტრის ორი წარმომადგენელი.

ყოველთვიური სხდომების განახლება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1999 წლის ივლისში, თუმცა რუსეთმა შეზღუდა იმ სფეროების

ნუსხა, რომელიც შესაძლებელი იყო განხილულიყო ნატო-რუსეთის ერთობლივ სხდომებზე.

2000 წლის 16 თებერვალს, როდესაც რუსეთის მოწვევით ნატოს გენერალური მდივანი ეწვია მოსკოვს, გამოქვეყნებულ იქნა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნატო და რუსეთი შეთანხმდნენ განეახლებინათ ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა დამფუძნებელი აქტის საფუძველზე.

2001 წლის თებერვალში ნატოს გენერალური მდივანი ლორდ რობერტსონი კვლავ ეწვია მოსკოვს, რომლის დროსაც გენერალურმა მდივანმა საზეიმო ვითარებაში გახსნა ნატოს საინფორმაციო ბიურო მოსკოვში.

უკვე ერთი წლის შემდეგ, ნატოს პრაღის სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში აღნიშნულ იქნა, რომ ნატო და რუსეთი მონაწილეობენ ნატო-რუსეთის საბჭოში როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორები, რათა მიღწეულ იქნეს პროგრესი ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამშვიდობო ოპერაციები, სამხედრო რეფორმა, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, სამაშველო ოპერაციები, ტერორიზმთან ბრძოლა და ა.შ.

ნატოს სტამბულის სამიტზე მიღებული დეკლარაციის 39-ე პუნქტში აღნიშნულ იქნა ნატოს მზადყოფნა, „რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის გაღმავების მზადყოფნის შესახებ", რათა ერთობლივი გზით ყოფილიყო შესაძლებელი კონსულტაციების გამართვა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, როგორებიცაა სიტუაცია ბალკანეთსა და ავღანეთში, ტერორიზმთან ბრძოლა, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა. ასევე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ალიანსის ძალისხმევის შედეგად საფუძველი ჩაეყარა რუსეთის მხრიდან ნატოს ძალების შესაძლო მხარდაჭერას სხვადასხვა სამხედრო ხასიათის ოპერაციების, მათ შორის სამშვიდობო ოპერაციების ჩატარების დროს. რუსეთთან თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობას ხაზი გაესვა 2006 წელს რიგის სამიტის დროსაც, თუმცა ამავე დროს ყურადღება

გამახვილებულ იქნა იმაზეც, რომ 2002 წელს რუსეთსა და ნატოს შორის ხელმოწერილი რომის დეკლარაციის ძირითადი პრინციპები, რომელიც ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას ითვალისწინებდა სრულყოფილად არ იყო ათვისებული.

ძირითადი წინააღმდეგობანი ნატოსა და რუსეთს შორის

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ავღნიშნეთ ნატოსა და რუსეთს შორის ხელმოწერილია შეთანხმება და შესაბამისად არსებობს სამართლებრივი ბაზა ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისათვის, და ამ თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ წინა გვერდებზე გვქონდა საუბარი, უნდა ითქვას, რომ დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც რუსეთი ნავთობდოლარებიდან მიღებული შემოსავლების ზრდის შედეგად თანდათან იბრუნებს პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე, ორ მხარეს შორის უფრო მეტი წინააღმდეგობა არსებობს ვიდრე ინტერესთა თანხვედრა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, დაპირისპირებამ რუსეთსა და ნატოს შორის განსაკუთრებით თავი იჩინა გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში, ბოსნიაში მიმდინარე კონფლიქტის დროს, ხოლო დაძაბულობამ კულმინაციას კოსოვოს კრიზისის დროს მიაღწია. ამავე დროს, ამ ორი კონფლიქტის პარალელურად რუსეთის გაღიზიანებას ასევე ნატოს შესაძლო გაფართოებასთან დაკავშირებული საუბრები იწვევდა, და ეს პროცესი რუსეთის განსაკუთრებულ შეშფოთებას დღევანდელ დღეს იწვევს, რადგანაც თუ რუსეთი საბოლოოდ შეეგუა მისი პოლიტიკური გავლენის სფეროდან უკვე გამოსული აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნების ალიანსში გაწევრიანებას, დღევანდელ ეტაპზე რუსეთის პოლიტიკურ ინტეგლიშმენტში ისტერიული განცხადებები კეთდება ნატოში საქართველოსა და უკრაინის შესაძლო გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

ნატოსა და რუსეთს შორის დაპირისპირების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 2007 წლის თებერვალში მიუნხენის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე გამართული დებატები უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. კონფერენცია 2007 წელს 43-

ედ გაიმართა და მან თვით აშშ-სა და რუსეთს შორის საკმაოდ დაძაბულ სიტყვიერ დაპირისპირებაში ჩაიარა. თუმცა ეს მოულოდნელი არავისთვის არ ყოფილა. ბუშის ადმინისტრაციამ ნოემბრის შუალედურ არჩევნებში განცდილი მარცხის შემდეგ (იგულისხმება კონგრესის არჩევნები), წინააღმდეგ მოლოდინისა, კიდევ უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკური კურსი აიღო მისდამი მტრულად განწყობილ „დიქტატურათა ლიგასთან" (რუსეთი, ჩინეთი, ირანი, სირია, ვენესუელა, სუდანი) და ამ ქვეყნებთან კიდევ უფრო ხისტი ენით საუბარი არჩია.

ამ კონფერენციაზე ყველაზე საყურადღებო პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გამოსვლა გამოვიდა. სენატორ მაკეინის განცხადებით, რომელიც იმყოფებოდა იმ კონფერენციაზე, „ეს იყო ყველაზე აგრესიული სიტყვა, რომელიც კი რუსეთის ლიდერს ცივი ომის შემდეგ წარმოუთქვამს." (41)

პუტინის ამგვარი გაშმაგების მიზეზი გასაგებია. მაშინ, როცა საყოველთაო აზრით, აშშ-ის ქორთა ქორი თავდაცვის მინისტრ დონალდ რამსფელდის უფრო პრაგმატიკოსად მიჩნეული რობერტ გეიტსით შეცვლის შემდეგ შეერთებული შტატები საგარეო პოლიტიკაში დიალოგსა და „ურჩ სახელმწიფოთათვის" „კოჭის გორების" პოლიტიკაზე უნდა გადასულიყო, ბუშის ადმინისტრაციამ გარკვეული მიმართულებით კურსის კიდევ უფრო გააგრესიულობა (ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით) ამჯობინა: 1) ახალი საერაყო სტრატეგიის ფარგლებში იქ დამატებით 21 500 სამხედროს გაგზავნა გადაწყვიტა. 2) გაზარდა თავისი სამხედრო-საზღვაო ყოფნა სპარსეთის ყურეში, ხოლო ერაყში ირანელი აგენტების წინააღმდეგ ქმედებები გააქტიურა და გ) გარდა იმისა, რომ ჩეხეთი და პოლონეთი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებაზე დაიყაბულა, პარალელურად პერლ-ჰარბორიდან კამჩატკისკენ მსოფლიოში უმსხვილესი მცურავი რადილოკაციური სადგური გადაანაცვლა. მინისტრმა გეიტსმა კი ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში და ირანში არსებულ ვითარებათა „გაურკვევლობიდან" გამომდინარე კონგრესს აშშ-ის შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის გაზრდა მოითხოვა.

თეთრი სახლის ამ ქმედებებმა და განცხადებებმა რუსეთის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. „დერჟავამ” თავი ამერიკელებისაგან კვლავ „სამიზნეში ამოღებულად” მიიჩნია, და ვინაიდან ეს ყოველივე მუხტად ზედ მიუნხენის კონფერენციის წინ დაგროვდა, არ არის გასაკვირი, ვლადიმერ პუტინმა შანსი ხელიდან რომ არ გაუშვა და ვაშინგტონს იქ უმძაფრესი კრიტიკით დაატყდა თავს.

მან აშშ-ის „ერთპოლარული” მსოფლიოს დამყარებაში ან დამყარების მცდელობაში დასდო ბრალი.: „და რა არის ერთპოლარული სამყარო? როგორც არ უნდა ვცადოთ ამ ტერმინის გაკეთილშობილება, ეს ნიშნავს ძალაუფლებისა და ძალის ერთადერთ წყაროს და ერთადერთ ბატონს”(42).

„შეერთებული შტატები გასცდა თავის საზღვრებს ყველა-ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ ჰუმანიტარულ სფეროში და თავისი ნება სხვა სახელმწიფოებს მოახვია, მაგრამ ყოველივე ამის შედეგად ლოკალური და რეგიონული ომები არ შეწყდა, ხოლო ამ ომებში დაღუპულთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ჩვენ ვერ ვხედავთ ვერაფერს, რაც ამ ზღვარგადასულ ძალას შეაკავებდა. აშშ ისე გადადის ერთი კონფლიქტიდან მეორეზე, რომ ვერც ერთი მათგანის მოგვარებას ვერ ახერხებს. ცალმხრივი, უკანონო ქმედებით მან ერთი პრობლემის მოგვარებაც ვერ შეძლო. ეს არის ერთი ბატონის, ერთი სიუზერენის მსოფლიო და ამას არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასტან. ამგვარი ვითარება აძლიერებს სხვა ქვეყნების სურვილს, შექმნან ბირთვული იარაღი. იქმნება ძალიან სახიფათო ვითარება, რომელშიც ვეღარავინ გრძნობს თავს უსაფრთხოდ, ვინაიდან საერთაშორი კანონი ზურგს უკან ვერ დაიმალება.(43)“

რაც შეეხება სხვა საკითხებს, მათზე პუტინის აზრი ამგვარი გახლდათ:

- „ნატოს გაფართოების პროცესს არაფერი აქვს საერთო ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. პირუკუ, ეს სერიოზული ფაქტორია, რომელიც ორმხრივი ნდობის შემცირებს იწვევს” (44);

- „რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებთან დაკავშირებით მე არ მსურს, ვინმეს აგრესიულობაში დავდო ბრალი, მაგრამ ეს ძალთა თანაფარდობას ერთი მხარის სასარგებლოდ დაარღვევს და, ჩვენი ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, იძულებულნი ვიქნებით, ასიმეტრიული პასუხისთვის ვემზადოთ. თუკი ჩვენ თავად ვერ ვაგებთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს, უნდა შევქმნათ ამგვარ სისტემათა გადამლახავი სისტემები, და ჩვენ ახლა სწორედ ამას ვაკეთებთ”(45).

- პუტინმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ რუსეთი მხარს არ დაუჭერს კოსოვოს პრობლემის ისეთ მოგვარებას, რომელიც კონფლიქტის ერთ-ერთი მხარისათვის მიუღებელი იქნება.

პუტინის გამოსვლამ აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენლის გორდონ ჯონდროს თქმით-თეთრი სახლის „გაკვირვება და გაოცება გამოიწვია”.. „ჩვენ გაკვირვებულნი ვართ, მისი ბრალდებები სრულიად უსაფუძვლოა” განაცხადა ჯონდრომ(46). იმავდროულად უნდა განვაცხადოთ, რომ რუსეთთან მომავალშიც ვითანამშრომლებთ ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა.“

პუტინს მიუნხენური ტრიბუნიდან შეეხმიანა პენტაგონის შეფი გეიტსიც, რომლისთვისაც ეს ერთგვარი სადებიუტო გამოსვლა გახლდათ. მან განაცხადა, რომ „როგოც ცივი ომის ვეტერანს, ერთმა გუშინდელმა გამოსვლამ თითქმის ძველი დროის ნოსტალგია აღუძრა.” მან ასევე აღნიშნა „ისე კი სამყარო, რომელშიც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ გაცილებით განსხვავებული და რთულია იმასთან შედარებით, რაც 20-30 წლის წინ იყო. ახლა ჩვენ არაერთი საერთო პრობლემა და გამოწვევა გვაქვს, რომელთაც სწორედ სხვა ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან ერთად უნდა გავუმკლავდეთ. ასე რომ ერთი ცივი ომი საკმარისია. თუმცა ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რუსეთის პოლიტიკა ზოგჯერ, როცა ეს მის მიერ ცალკეული ქვეყნებისთვის იარაღის მიყიდვასა თუ ენერგორესურსების სხვა სახელმწიფოებზე ზემოქმედების მიზნით

გამოყენებას ეხება-აშკარა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო სტაბილურობას.”(47) რაც შეეხება ნატოს, გეიტსის აზრით, „რუსეთს არ უნდა ეშინოდეს მის საზღვრებთან ალიანსის მიახლოებისა, რადგანაც ეს დემოკრატიული ქვეყნების მიახლოებას ნიშნავს.”(48)

მოგვიანებით იგივე არგუმენტი გაიმეორა ნატოს გენერალურმა მდივანმა იააპ დე ჰოოპ სხეფერმა: „რატომ უნდა ნერვიულობდეს ვინმე, თუკი მის საზღვრებს დემოკრატია და კანონის უზენაესობა უახლოვდება?”(49)

გარდა ამისა, რუსეთის გაღიზიანებას იწვევს აშშ-ის მიერ გატარებული რაკეტსაწინააღმდეგო პოლიტიკაც. როდესაც პოლონეთისა და ჩეხეთის პრემიერ მინისტრებმა მათი ქვეყნების ტერიტორიაზე შეერთთებული შტატების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის (რსთ) სისტემათა განლაგებასთან დაკავშირებით მზადყოფნა გამოთქვეს. ამის საპასუხოდ მოსკოვმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ის ცალმხრივად გავა საბჭოურ-ამერიკული ხელშეკრულებიდან საშუალო და მცირე სიშორის რაკეტათა (სმსრ) ლიკვიდაციის შესახებ და თანაც პოლონეთსა და ჩეხეთს სამიზნედ ამოიღებს. ექსპერტების საერთო აზრით, ამით რუსეთი ვერაფერს მოიგებს და პირუკუ, არსებობს უდიდესი შანსი, ბევრი რამ წააგოს კიდეც.

ვარშავაში ჩეხეთისა და პოლონეთის პრემიერების ერთობლივი პრეს-კონფერენციის შემდეგ პრემიერმა კაჩინსკიმ აღნიშნა: „ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ აუცილებელია ევროპის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, და უწინარესად აშშ-ის რსთ-ის განლაგების თაობაზე-პრინციპული გადაწყვეტილების მიღება. იმის მტკიცება, რომ აშშ-ის რსთ-ის ბაზა ევროპაში ძალთა თანაფარდობას შეცვლის, აშკარა გაუგებრობაა აღნიშნა მან. ამ ნაბიჯის მიზანი ნათელია, იგი არ არის მიმართული არც ერთი ნორმალური სახელმწიფოს წინააღმდეგ. რსთ-ის ფუნქცია აზიის იმ სახელმწიფოთა ქმედებებისაგან თავდაცვა იქნება, რომელთაც არ სურთ დაემორჩოლონ მსოფლიოში მიღებულ წესებს.“

შეგახსენებთ, რომ ვაშინგტონი პოლონეთსა და ჩეხეთში რსთ-ის სისტემის ელემენტთა განლაგებას ე.წ. ურჩ სახელმწიფოთაგან და ტერორისტებისგან თავდაცვის აუცილებლობით ხსნის. მაგრამ რუსებს ამის არ სჯერათ. „ჩვენი სპეციალისტები არ თვლიან, რომ რსთ, რომელსაც ამერიკა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განალაგებს, იმ მუქარის აღკვეთისკენაა მიმართული, რომელიც ირანიდან, ან ტერორისტებისგან მომდინარეობს” - განაცხადა ვლადიმერ პუტინმა 2007 წლის 1 თებერვალს კრემლში მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე.(50)

პუტინის მიერ ამ მიმართულებით კრემლში დაწყებული და მოგვიანებით მიუნხენის კონფერენციაზე მისი და მაშინდელი თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის მიერ განვითარებული იერიში შემდეგ კვირას ჯერ რუსეთის გენშტაბის ხელმძღვანელმა იური ბალუევსკიმ, შემდეგ კი რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ნაწილების მეთაურმა ნიკოლაი სალავცოვმა გაამწვავეს. ასე მაგალითად, ბალუევსკიმ განაცხადა, რომ თუკი აშშ პოლონეთსა და ჩეხეთში მართლაც განალაგებს რსთ-ის სისტემებს, რუსეთი ცალმხრივად დატოვებს საბჭოურ-ამერიკულ ხელშეკრულებას სმსრ-თა ლიკვიდაციის შესახებ. სალავცოვმა კი დაიქადნა, რომ „თუკი იქნება მიღებული შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რუსეთი 5-6 წელიწადში შექმნის საშუალო სიშორის რაკეტებს, რომლებიც პოლონეთისა და ჩეხეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ამერიკული რსთ-ის სისტემების წინააღმდეგ მიიმართება.”(51)

„დღეს მრავალი ქვეყანა ქმნის და სრულყოფს საშუალო სიშორის რაკეტებს მაშინ, როდესაც რუსეთმა აღნიშნული ხელშეკრულების პირნათლად შესრულების საფუძველზე-ამ იარაღის არაერთი სისტემა დაკარგა”-ასე განმარტა თავისი პოზიცია ბალუევსკიმ(52). სერგეი ივანოვმა კი ხელშეკრულებას სმსრ-თა ლიკვიდაციის შესახებ სულაც „ცივი ომის” რელიქტი უწოდა, „რუსეთს ამ რაკეტებით ხელახლა აღჭურვა ხელს თუნდაც იმიტომ არ შეუშლიდა, რომ მათ ინდოეთი, პაკისტანი, ჩრდილოეთ კორეა, ჩინეთი, ირანი და ისრაელი მოიძევენ.” „ეს ქვეყნები ჩვენი საზღვრის მახლობლად მდებარეობენ და

ამის გაუთვალისწინებლობა არ ეგების-ამ რაკეტების ქონის უფლება მხოლოდ ორ ქვეყანას-რუსეთსა და ამერიკას არა აქვს. ასე კი მუდამ ვერ გაგრძელდება.“

რუსი კოლეგების ამ განცხადებაზე აშშ-ის თავდაცვის მინისტრ რობერტ გეიტსის პირველი რეაქცია ამგვარი გახლდათ: „ამ ხელშეკრულებიდან რუსეთის გასვლა შეერთებულ შტატებს პრობლემებს შეუქმნის, მაგრამ კიდევ უფრო მეტი საფიქრალი ევროპელებს გაუჩნდებათ”.

გაზეთ „ფაინენშლ თაიმსის” შეფასებით, რუსეთის მუქარა სმსრ-თა ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრუკლებიდან გასვლის, საშუალო სიშორის რაკეტების შექმნისა და ამ რაკეტების პოლონეთსა და ჩეხეთში დამიზნების თაობაზე „მიზნად სწორედ ამ უკანასკნელთა და მთლიანად ევროპის დაშინებას ისახავს. კრემლი ფსონს იმაზე აკეთებს, რომ პოლონეთსა და ჩეხეთში საპროტესტო აქციები დაიწყება და საბოლოო ჯამში ეს ქვეყნები იძულებულები გახდებიან, უარი თქვან ამერიკული გეგმების რეალიზაციაზე.“

თუმცა სამხედრო ექსპერტები ფიქრობენ, რომ მოსკოვის ეს გათვლები მაინც მცდარი უნდა იყოს. „კრემლი არსებითად, ისევ იმ ილუზორული იდეიდან ამოდის-რომელმაც თავის დროზე საბჭოთა კავშირის „პიონერების” (5 ათასი კმ-ის სიშორის რაკეტების) განლაგებისკენ უბიძგა-რომ ამით ევროპის დაშინებას და ამერიკასთან მის ურთიერთობებში განხეთქილების შეტანას მოახერხებს. ამ გულუბრყვილო ვარაუდმა მაშინაც კი ვერ იმუშავა, როცა სსრკ ზემძლავრი სახელმწიფო იყო, და მით უფრო განწირულია წარუმატებლობისთვის ის ახლა”-ამბობს ჟურნალ „ეკპორტ ვოორუჟენიეს” რედაქტორი მიხეილ ბარაბანოვი(48). გარდა ამისა, მისი აზრით, აღნიშნული ხელშეკრულებიდან რუსეთის გასვლა იგივეს გაკეთებასაც აიძულებს შეერთებულ შტატებსაც, რომელსაც ამის შედეგად შესაძლებლობა მიეცემა, თავისი რაკეტები სულაც რუსეთის საზღვრებთან განალაგოს. ეგეც არ იყოს, მოსკოვის ქმედებით დაშინებულმა ევროპელებმა, შეიძლება, ვაშინგტონს ახალი რუსული საფრთხისგან დაცვა მოსთხოვონ. ამდენად,

მოსკოვის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ექსპერტ ალექსანდრ პიკაევისა არ იყოს - "აშშ-ის აწყობს კიდეც ხელშეკრულებიდან რუსეთის გასვლა, ვინაიდან ეს მას ევროპაში არა მარტო რსთ-ის სისტემების, არამედ რაკეტების განსათავსებლად აუცილებელ არგუმენტებს მისცემს".

ენერგეტიკული საკითხები

ნატოსა და რუსეთს შორის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას ასევე ენერგეტიკული ომი წარმოადგენს. როგორც ცნობილია, რუსეთი ენერგეტიკული ლიდერის პოზიციის შესანარჩუნებლად გაზის სექტორში „ოპეკის" მსგავსი ორგანიზაციის შექმნას ცდილობს. კრემლის კლანჭებში მოქცეული ნატოს ევროპული სახელმწიფოები კი გაზის იმპორტიორ ქვეყნებს რუსეთის წინააღმდეგ გასაერთიანებლად და გაზის ალტერნატიული წყაროების მოსაძიებლად უხმობს.

ევროკომისია ევროპულ ბაზარზე გაზის მიმწოდებელთა მონოპოლიის დამხობასა და კონკურენციის ზრდას ცდილობს. ევროკავშირმა ამ მიმართულებით უკვე მოახერხა რამდენიმე უმსხვილეს მომწოდებელთან მრავალწლიანი კონტრაქტების გაფორმება.

ნატოს ექსპერტებმა უკვე შეიმუშავეს მოხსენება, რომელიც ალიანსის წევრ ქვეყნებს ახალი საგაზო „ოპეკის" ჩამოყალიბების საშიშროებას ამცნობს. ნატო მიიჩნევს, რომ ახალი „ოპეკის" საკვანძო ფიგურა რუსეთი იქნება.

დღეისათვის ბუნებრივი აირის სერიოზული მარაგების მქონე ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ყაზახეთი და თურქმენეთი, საშუალება არ აქვთ ევროპას ბუნებრივი აირი რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით მიაწოდონ. ეს ქვეყნები მთლიანად „გაზპრომზე" არიან დამოკიდებულნი, რადგანაც ის მილსადენები, რომლითაც მათ ევროპასთან დაკავშირება შეუძლიათ, რუსეთის ტერიტორიაზე გადის და "გაზპრომის" საკუთრებაა. ამიტომაც, საკუთარი მდგომარეობის გათვალისწინებით რუსეთი თურქმენეთისგან გაზს თავის დროზე 46 დოლარად ყიდულობდა და ევროპას 260 დოლარად აწვდიდა.

საერთაშორისო ექსპერტების დასკვნებით, რუსეთის გარეშე ცენტრალური აზიისა და კასპიის რეგიონის ქვეყნებთან პირდაპირი თანამშრომლობა ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იქნება.

საფრთხის მოახლოების შიშით გერმანია, საფრანგეთი და იტალია ბუნებრივი აირის მომპოვებელ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე მუშაობენ. მაგალითად, ევროკომისიის მიერ შემუშავებული გაზის დივერსიფიკაციის ახალი გეგმის მიხედვით, თურქმენული გაზი ევროპას-საქართველოს, აზერბაიჯანის და ირანის გავლით უნდა მიეწოდოს.

ამასობაში კი „გაზპრომის" პოზიციები, როგორც ფინანსურად, ისე პოლიტიკურად ყოველწლიურად ძლიერდება. კომპანიის დირექტორთა საბჭომ 2007 წლის საინვესტიციო პროგრამა დაამტკიცა. პროგრამა 529,38 მილიარდ რუბლს ითვალისწინებდა, აქედან კაპიტალური დაბანდება 360, 56 მილიარდი რუბლია, ხოლო გრძელვადიანი ფინანსური ინვესტიცია - 168,82 მილიარდი.

რაც შეეხება უკვე აღნიშნულ ე.წ. „გაზის ოპეკის", მასში სავარაუდოდ რუსეთი, ირანი, ვენესუელა, ალჟირი, ლიბანი და ყატარი გაერთიანდებიან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2006 წლის მონაცემებით რუსეთი ბუნებრივი გაზის მარაგებით მსოფლიოში პირველ ადგილზე დგას, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, ის მსოფლიო მარაგების თითქმის მესამედს ფლობს-47,57 ტრილიონი კბ/მ-ის; ირანი მეორეზეა-26,62 ტრილიონი კბ/მ-ით, ყატარი მესამეზე - 25,77 ტრილიონი კბ/მ-ით. გაზის მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნების წარმომადგენლები 2007 წლის 9 აპრილს შეიკრიბნენ ყატარში. ამ საკითხზე ჯერ კიდევ 2006 წლის ნოემბერში ნატოს ეკონომიკურმა კომიტეტმა ალიანსის წევრებს მოსალოდნელი გართულებების შესახებ სპეციალური კონფიდენციალური მოხსენებით აცნობა. მოხსენებაში აღწერილი იყო „ოპეკის" ტიპის ბუნებრივი აირის ახალი ალიანსი, სადაც რუსეთის ინიციატივით ალჟირი, ლიბია, ყატარი, და ირანი გაწევრიანდნენ. ნატოს ექსპერტების განცხადებით „ახალი ალიანსის შექმნის მიზეზი

პოლიტიკურია, ენერგომარაგი ევროპაზე ზეწოლისა და პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს.“

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულება

2007 წლის 14 დეკემბრიდან დასავლეთისათვის რუსეთი სამხედრო თვალსაზრისით უკვე საფრთხეს წარმოადგენს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ რუსეთმა ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულებაზე მორატორიუმი 14 დეკემბერს მოსკოვის დროით შუაღამეს ოფიციალურად აამოქმედა. აქედან გამომდინარე არსებობს იმის ალბათობაც, რომ ნატოს წევრ ქვეყნებთან მოსაზღვრე რაიონებში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზები სამხედრო ტექნიკის დიდი რაოდენობით აივსება.

რუსეთმა აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიცირება 2004 წელს მოახდინა. ხელშეკრულების თანახმად, მის წევრ ქვეყნებს ატლანტიკიდან ურალამდე საბრძოლო ტექნიკა ხუთი კატეგორიის მიხედვით უნდა შეემცირებინათ, ესენია: ტანკები, ჯავშანმანქანები, არტილერია, და მოიერიშე ვერტმფრენები.

აღსანიშნავია რომ ეს ხელშეკრულება 1990 წელს დაიდო, ძალთა ბალანსის მისაღწევად როგორც ნატოს, ასევე ვარშავის ხელშეკრულების წევრებს შორის. ცხრა წლის შემდეგ გაფორმდა შეთანხმების ადაპტირებული ვერსია, რომლის მიხედვით, შეზღუდვები ჩვეულებრივ შეიარაღებაზე არა ბლოკის, არამედ თვითოეულ ქვეყანაზე ცალკე ვრცელდება.

რუსეთის წინა მოწვევის სათათბირომ თავის ერთ-ერთ უკანასკნელ სესიაზე ხმათა სრული უმრავლესობით მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ რუსეთი ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულებიდან გასვლას აპირებს. ფედერაციის საბჭოს მხარდაჭერის შემდეგ კი, დოკუმენტს ხელი ასევე პრეზიდენტმა პუტინმა მოაწერა.

საგულისხმოა, რომ ჩვეულებრივი შეიარაღების გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებაზე მორატორიუმის ამოქმედებით რუსეთი უფლებას იტოვებს, რომ თავის ტერიტორიაზე და

ასევე მის საზღვრებს გარეთ განთავსებულ ბაზებზე სამხედრო ტექნიკის გადასროლისა ან აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით საერთაშორისო ექსპერტებს ანგარიში აღარ ჩააბაროს, რაც ნატოსთვის ახალი თავის ტკივილის საგანია.

რუსეთმა თავისი ქმედება ახსნა იმით, რომ 2007 წლის ოქტომბრისთვის, ნატომ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შეიარაღების დონის თაობაზე შეთანხმებას". ეს განცხადება გაჟღერდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მიერ. რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებით „ნატოს ქვეყნებისთვის შეთანხმებით გათვალისწინებული დონეები შეადგენს 5992 ტანკს, 9882 ჯავშანმანქანას, 5111 საარტილერიო ერთეულს, 1497 საბრძოლო თვითმფრინავსა და 531 დამრტყმელ შვეულმფრენს. აშშ-ის შეიარაღება ამ მონაცემებს გაცილებით აჭარბებს". რუსეთს მიაჩნია რომ ეს დარღვევები ძალზედ სახიფათოა. შედარებისთვის: „საფლანგო ზონაში" რუსეთს ჰყავს 1200 ტანკი, 2140 ჯავშანმანქანა და დაახლოებით 1680 საარტილერიო ერთეული"(53).

ნატომ წუხილი გამოხატა რუსეთის მიერ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმებაზე მორატორიუმთან დაკავშირებით. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსკოვის ქმედება არ შეესაბამება ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამასთან ნატოს წევრი ქვეყნები უფლებას იტოვებენ, ნებისმიერი ნაბიჯები გადადგან შეთანხმების გათვალისწინებით და საერთაშორისო უფლებების დაცვით იმოქმედონ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნატოს გავლენის შესუსტების მიზნით, რუსეთი ასევე ცდილობს გააქტიუროს მისი ინიციატივით შექმნილი ანტიდასავლური რეგიონალური ორგანიზაციების საქმიანობა. აქ პირველ რიგში საუბარია დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაზე-ეს ორგანიზაცია წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს და მასში დსთ-ის ექვსი სახელმწიფოა გაწევრიანებული, და მეორე, ეს გახლავთ „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია", რომელი რვა წლის წინ რუსეთისა და ჩინეთის

ინიციატივით შეიქმნა და მასში ამჟამად ამ ორი სახელმწიფოს გარდა ცენტრალური აზიის რესპუბლიკებიც არიან გაერთიანებულნი. Eოფიციალურად ამ ორგანიზაციის მიზანს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება წარმოადგენს, მაგრამ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მას უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციაც აკისრია, კერძოდ ორი მსოფლიოში უდიდესი ევრაზიული სახელმწიფოს მისწრაფებაა შეაკავოს "ატლანტიზმის" გავლენა მსოფლიოში.

ბრიუსელსა და მოსკოვს შორის დაპირისპირების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს ასევე ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული პრობლემა წარმოადგენს, რაზედაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

თემა 11

რუსეთის საერთაშორისო ენერგოპოლიტიკა

ენერგოპოლიტიკა რუსეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ინსტრუმენტია. მილსადენების პოლიტიკა დღეს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური საკითხიცაა. მაშინ, როდესაც ევროკავშირმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ენერგო წყაროების დივერსიფიკაცია და ეფექტური ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, კრემლისთვის მილსადენები პოლიტიკური იარაღის როლს ასრულებს. დღესდღეობით რუსეთის ფედერაცია ევროკავშირის უმნიშვნელოვანესი ენერგო-პარტნიორია. თავის მხრივ, რუსეთისთვის ევროპა ერთადერთი მსხვილი ბაზარია საკუთარი პროდუქტის გასატანად, ამიტომაც იგი ცდილობს არ დაუშვას ევროპაში ალტერნატიული მილსადენების შესვლა და ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც ,,დაყავი და იბატონეს" სახელითაა ცნობილი. ამ თვალსაზრისით ევროკავშირისთვის დიდი რისკის მატარებელია საერთო ხედვის, ერთიანი ევროპული სტრატეგიის გაუმართაობა ენერგეტიკის საკითხში.

პირველი გაზის მილსადენი ევროპის მიმართულებით გაყვანილ იქნა 1968 წელს ავსტრიამდე, თუმცა ევროკავშირთან ურთიერთობა ამ კუთხით შედარებით გვიან დაიწყო, ვინაიდან ამ უკანასკნელში არ გამოიყენებოდა მილსადენების გაზი სიძვირის გამო. ეს შეზღუდვა 1992 წელს გაუქმდა, თუმცა ამასთან განისაზღვრა, რომ ერთი წყაროდან არ ყოფილიყო მიწოდებული მოხმარებული რესურსის 30%-ზე მეტი. რუსეთი ევროკავშირის უდიდეს მიმწოდებლად გაზის სექტორში 1980-ანი წლებიდან იქცა. 1982 წელს სსრ-მ დას. ევროპის გაზის უზრუნველსაყოფად დაიწყო 4.650კმ. გაზსადენის მშენებლობა ურენგოიდან უკრაინამდე, საიდანაც გაზი მიეწოდებოდა ცენტრ. და დას. ევროპას. თუმცა, იმპორტის ზრდამ სხვა ქვეყნებიდან ბოლო ოცი წლის

მანძილზე ნელ-ნელა შეამცირა რუსეთიდან მიწოდებული გაზის პროცენტული რაოდენობა (75% 1990 წელს, 30% 2010 წელს).

ენერგორესურსების მიწოდების სფეროში ევროპასა და სსრკ-ს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი ინიციატივა შეტანილ იქნა ჰოლანდიის პრემიერ მინისტრის რუდ ლუბერსის მიერ. მან 1989წელს წარმოადგინა წინადადება, რაც ითვალისწინებდა ევროგაერთიანებასა და საბჭოთა კავშირს შორის ენერგეტიკულ ქარტიაზე ხელის მოწერას. ამ ქარტიის ძალით საბჭოთა ბუნებრივი აირის და ნავთობის ინდუსტრიებისთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა დასავლეთის ინვესტიციები, სანაცვლოდ სსრკ უზრუნველყოფდა მოწოდებას დას. ევროპაში ხანგრძლივი დროის მანძილზე. ქარტიას ენერგეტიკის სფეროში რუსეთმა ხელი მოაწერა 1994 წელს, თუმცა 2009 წელს გააუქმა ხელმოწერა.

1994 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირ-რუსეთის შეთანხმებას პარტნიორობასა და თანამშრომლობაზე, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წელს და განაპირობა სამართლებრივი ბაზა მომავალი ენერგეტიკული დიალოგისათვის. 2000 წლის 30 ოქტომბერს საფუძველი ჩაეყარა ევროკავშირ-რუსეთის ენერგეტიკულ დიალოგს. 2001 წლის თებერვალ-ოქტომბერში დაიწყო დიალოგის საწყისი ფაზა, სადაც მოხდა საერთო ინტერესების განსაზღვრა ენერგეტიკულ სფეროში, რასაც მოჰყვა ევროკავშირ-რუსეთის ერთობლივი სამიტების სერია (2001 წლის 3 ოქტომბერს ბრიუსელში, 2003 წლის 31 მაისს პეტერბურგში, 2005 წლის 10 მაისს მოსკოვში...), მას თან ახლდა ენერგეტიკულ სფეროში ევროკავშირ-რუსეთის მუდმივი პარტნიორობის საბჭოს პერიოდული შეხვედრებიც. 2009 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა ,,ადრეული გაფრთხილების მექანიზმს".

რეალურად, ენერგოპოლიტიკა რუსეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს ინსტუმენტად იქცა პუტინის მმართველობის დროს. მან 2003 წელს დაამტკიცა რუსეთის ენერგეტიკის სტრატეგია, რომელიც მთავარ ქვაკუთხედად იქცა შემდგომი მოვლენების და ენერგეტიკა პოლიტიკურ იარაღად აქცია, როგორებიცაა: რუსეთის მიერ უკრაინისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტა 2006 და 2009 წლებში, 2007წლის რუსეთ-

ბელორუსიის ენერგეტიკული დავა და ა.შ, რამაც საბოლოო ჯამში დააზარალა ევროპა. 1991 წლიდან 2007 წლამდე 55 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა, რომლებსაც ჰქონდათ ,,პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები". რაც შეეხება ძირითად აქტორებს, გაზის სექტორში რუსეთში ამ როლს ასრულებს გაზპრომი, ხოლო ნავთობის სექტორში, როზნეფტი. ორივე მათგანს შესყიდული აქვს ფარული აქტივები ევროპის ქვეყნების რიგ ენერგოკომპანიებში.

რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკული ურთიერთობები შეგვიძლია დავახასიათოდ, როგორც ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება, ვინაიდან რუსეთი უფრო მეტადაა დამოკიდებული ევროკავშირის ბაზარზე, ვიდრე ევროკავშირი მასზე. რუსეთი საექსპორ-ტო ბაზრის უდიდესი წილი ევროკავშირზე მოდის (რუსეთის ნავთობის ექსპორტის 80%, გაზის ექსპორტის 70%, ნახშირის ექსპორტის 50%, ევროკავშირში რუსეთზე მოდის ნავთობის იმპორტის 31%, გაზის იმპორტის 34%, ნახშირის იმპორტის 30%). თუმცა განსხვავებაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. მაგალითად, ესპანეთი საერთოდ არ ირებს გაზს რუსეთიდან მაშინ, როდესაც ბალტიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებით გამოირჩევიან, ხოლო გერმანიის გაზის იმპორტის 35% 2012 წელს სწორედ რუსეთზე მოდიოდა. გერმანიის მერ რუსული გაზის მოხმარება კიდევ უფრო გაიზარდა ჩრდილოეთის ნაკადის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ.

„დაყავი და იბატონეს პოლიტიკა". ესაა მიზანმიმართულ პროცესთა ერთობლიობა, რომლის ფარგლებშიც რუსეთი აქტიურად ცდილობს თითოეულ ქვეყანასთან ინდივიდუალური ენერგო კავშირის დამყარებას სხვადასხვა კორუფციული თუ კანონიერი ქმედებების საფუძველზე. ამ პოლიტიკის მიზანია ბაზარი დარჩეს ნაკლებ კონკურენტუნარიანი და გამჭირვალე.[10] შესაბამისად, რუსეთი ცდილობს რაც შეიძლება მეტად შეუშალოს ხელი ევროკავშირს საერთო ენერგოპოლიტიკის გატარებაში, რასაც ახერხებს წევრი ქვეყნების ლიდერ ენერგო კომპანიებთან სპეციალური შეთანხმებების გაფორმებით

(იტალიურ ENI-სთან, ფრანგულ Gaz de France-თან, გერმანულ E.ON Rurghas-თან, ავსტრიულ OMV-სთან), რასაც ადასტურებს ჩრდილოეთის და სამხრეთ ნაკადის პროექტებიც.

პუტინის ენერგეტიკის სტრატეგია 2003 ენერგეტიკულ პოლიტიკას ქვეყნის დიპლომატიის საფუძვლად და გეოპოლიტიკური პოზიციების გამყარების საშუალებად აქცევს. იგი მოიცავს 4ნაბიჯს: 1)კრემლმა არ დაუშვას ევროპული ქვეყნების მიერ ბუნებრივი აირის წყაროების დივერსიფიკაცია. 2)რუსულმა ენერგოკომპანიებმა გააძლიერონ კონტროლი გაზის საერთაშორისო ბაზარზე. 3)გააკონტროლონ დასავლეთში გაზის მიწოდების ჯაჭვის ყველა რგოლი. 4)კრემლმა უნდა გამოიყენოს აქტივები პოლიტიკური ზეწოლის იარაღად.

ეკონომიკური ექსპანსიის უმთავრესი იარაღი, რომელსაც პუტინი იყენებდა, გაზპრომია. 2004წლისთვის მან მონოპოლია მოიპოვა ესტონეთის, ფინეთის,მაკედონიის, ლატვიის, ლიტვის, სლოვაკეთის ენერგო რესურსებით მომარაგებაზე. ამ კომპანიისგან ბულგარეთი იღებს ბუნებრივი აირის 97%-ს, გერმანია_36%-ს, საფრანგეთი_25%-ს. ურთიერთობა გაზპრომსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის ბუნდოვანია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2008 წელს, გაზპრომის საბჭოს თავჯდომარე, დიმიტრი მედვედევი, რუსეთის პრეზიდენტი გახდა. ამ საბჭოს რამდენიმე წევრი "ორ ქუდს” ატარებს: ისინი მთავრობაშიც მუშაობენ. რუსეთში გაზპრომის როლი ბუნებრივ აირს მკვეთრად სცილდება.

კრემლმა აქტიურად დაიწყო ევროპის ენერგეტიკულ ბაზრებზე შესვლა არა მხოლოდ ბუნებრივი აირის მიწოდების ზრდით, არამედ სტრატეგიულ აქტივების შეძენაში მონაწილეობითაც. ფარული გავლენის შენარჩუნების მიზნით, ,,გაზპრომი" უზარმაზარ ძალისხმევას დებს ოფშორული კომპანიების მეშვეობით საკუთარი კვალის დაფარვაში. შესაბამისად, რთულია რეალური წილის დადგენა, თუმცა დღეისთვის ცნობილია, რომ გაზპრომი ფლობს აქტივებს ევროკავშირის მინიმუმ 16 ქვეყანაში.

დღეისათვის რუსეთის ენერგეტიკული სფეროს გამოწვევებია: ძველი საბადოები გამოფიტვადი რესურსებით, ინვესტიციების ნაკლებობა, ძველი ინფრასტუქტურა, ძვირი ტრანსპორტირება, ექსპორტის დივერსიფიკაცია (EU-ს ბაზარზე დამოკიდებულება).

ნავთობის მილსადენებიდან აღსანიშნავია დრუჟბა და Norpipe, რომლებსაც თავის მხრივ უკავშირდება სხვა მილსადენები. ხოლო რაც შეეხება გაზს, ქვემოთ მოცემულ რუკაზე ასახულია რუსეთიდან ევროპის მიმართულებით ძირითადი მოქმედი გაზსადენები და ასევე ალტერნატიული პროექტებიც.

ევროკავშირის მიერ ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება და წყაროების დივერსიფიკაცია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ალტერნატიული მილსადენების პროექტების რეალიზაცია: ნაბუქო, თეთრი ნაკადი, TANAP, TAP, სამხრეთის გაზის დერეფანი... ამ შემთხვევაში შემცირდება ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულება, რაც უარყოფითად აისახება რუსეთზე ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. ეკონომიკურ ასპექტში ეს სცენარი გულისხმობს რუსეთის ექსპორტის მთავარ ბაზარზე გავლენის დაკარგვას და შესაბამისად ფინანსურ დანაკარგებს, რამაც შესაძლოა იგი ეკონომიკურ კრიზისამდეც მიიყვანოს, თუ ვერ მოახერხებს ალტერნატიული ბაზრის ათვისებას. პოლიტიკური თვალსაზრისით ეს სცენარი ნიშნავს რუსეთის მიერ თავისი მთავარი პოლიტიკური ბერკეტის იარაღის - ევროპაზე მილსადენებით მანიპულირების დასრულებას. საბოლოო ჯამში ამ სცენარის განხორციელების შემთხვევაში რუსეთი საქმე აქვს როგორც ფინანსურ დანაკარგებთან და შესაძლო ეკონომიკურ კრიზისთან, ასევე ევროპაზე პოლიტიკურ გავლენის ბერკეტის დაკარგვასთანაც.

რუსეთის მიერ 2003 წლის სტრატეგიის წარმატებით განხორციელება. რუსეთის მიერ ,,დაყავი და იბატონე" პოლიტიკის ეფექტურად განხორციელების შემთხვევაში ევროპა ვეღარ შეძლებს ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებას, რაც თავის მხრივ შეაფერხებს წყაროების დივერსიფიკაციას და ალტერნატიული პროექტების განხორციელებას. შედეგად, ევროპის რუსულ გაზზე

დამოკიდებულება კიდევ უფრო გაიზრდება. რუსეთი შეინარჩუნებს ევროპაზე პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ბერკეტებს. კერძოდ: არ დაუშვებს ევროპული ქვეყნების მიერ ბუნებრივი აირის წყაროების დივერსიფიკაციას. რუსული ენერგოკომპანიები გააძლიერებენ კონტროლს გაზის საერთაშორისო ბაზარზე. გააკონტროლობენ დასავლეთში გაზის მიწოდების ჯაჭვის ყველა რგოლი და შეეცდებიან აქტივების შეძენას ევროპულ ბაზარზე. კრემლი გამოიყენებს ამ აქტივებს პოლიტიკური ზეწოლის იარაღად.

გაზპრომის კოლაფსი. ეს სცენარი ნაკლებ სავარაუდოა, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ გაზპრომი ვერ შეძლებს თავის მთავარ გამოწვევებთან გამკლავებას, როგორიცაა: კორუფცია, ძველი საბადოები, რესურსების გამოფიტვა, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, ვალდებულებების შეუსრულებლობა, ძვირი ტრანსპორტირება, ერთ მთავარ კლიენტზე (ევროკავშირზე) დამოკიდებულება, ამ პრობლემების ერთობლიობამ შესაძლოა გაზპრომი კოლაფსამდე მიიყვანოს. ეს სცენარი წამგებიანია როგორც რუსეთისთვის, ასევე ევროპისთვის, ვინაიდან ორივე მათგანი კრიზისში აღმოჩნდება, რუსეთი ფინანსურ, ხოლო ევროპა რესურსების დეფიციტის წინაშე. თუმცა ევროპას შეუძლია ალტერნატიული წყაროების მეშვეობით კრიზისის დაძლევა, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთზე, სადაც ამგვარ სცენარს შესაძლოა პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციაც მოჰყვეს.

რუსეთის ენერგეტიკულ პოლიტიკას ევროპის მიმართ თავის მხრივ გავლენა აქვს საქართველოზე, როგორც ალტერნატიული მილსადენების გამტარებელზე. ევროკავშირის მიერ წყაროების დივერსიფიკაციისკენ მიმართული პროექტები საქართველოს ენერგეტიკულ დერეფნად, მოიაზრებს, რომლის მეშვეობითაც მოხდება კასპიის ზღვის აუზიდან გაზის ალტერნატიული მოწოდება. შესაბამისად, რუსეთი ყველანაირად ცდილობს ხელი შეუშალოს ამგვარ პროექტებს. მაგალითად, ნაბუქოს პროექტის საპირწონედ შეიმუშავა სამხრეთის ნაკადი, ასევე ცდილობს აქტივების შეძენას აზერბაიჯანულ-ქართულ-თურქულ პროექტებშიც. ერთ-ერთი ასეთი ბოლო მცდელობა შაჰდენიზ 2-

ს უკავშირდება. რუსეთმა ვერ მოახერხა ვერც პროექტის შეჩერება და ვერც აქტივების შემენა. პროექტის მეორე ფაზა 2013 წლის დეკემბერში დაიწყო, რომელიც TANAP-ის მეშვეობით განხორციელდება, საბოლოოდ კი გაზს საბერძნეთისა და ალბანეთის გავლით იტალიას მიაწვდის(TAP). ბაქოში გაფორმებულ შეთანხმებას გამოეხმაურა ენერგეტიკის ევროკომისარი გიუნტერ ოტინგერი: „გადაწყვეტილება სამხრეთის კორიდორის გახსნის თაობაზე, ნამდვილი გარღვევაა. ეს კორიდორი ევროკავშირის გაზზე მოთხოვნილების 20%-ს დააკმაყოფილებს."

დასკვნა

რუსეთი ევროპულ ბაზარზე მონოპოლიის დაკარგვას არ აპირებს, რადგან ეს სერიოზულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს შეუქმნის. რუსეთის ერთ-ერთი უმთავრესი პოლიტიკური ბერკეტი სწორედ მის გაზზე ევროპის დამოკიდებულებაა. "გაზპრომს" ხშირად ახასიათებენ როგორც "სახელმწიფოს სახელმწიფოში", როგორც "საშიშ გიგანტს", ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი აშკარაა ის ფაქტი, რომ რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკა უფრო მეტადაა დამოკიდებული ევროკავშირის სამომავლო გადაწყვეტილებებზე, ვიდრე ეს უკანასკნელი მასზე. თუ ევროკავშირი ვერ შეძლებს ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებას და წყაროების დივერსიფიკაციას, რუსეთის ხელში ენერგეტიკული პოლიტიკა, როგორც საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ინსტრუმენტი, კიდევ უფრო გაძლიერდება და მისი პოლიტიკური გავლენაც უფრო გაიზრდება, საპირისპირო შემთხვევაში კი მილსადენების, როგორც პოლიტიკური იარაღის როლი შემცირდება და რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკის ეფექტურობა ეჭვქვეშ დადგება. შესაბამისად, დღევანდელი პერსპექტივიდან გამომდინარე, პირველი ორი სცენარი თანაბრად სავარუდოა.

რუსეთი უკიდურესადაა დამოჯიდებული ენერგომატარებლების ექსპორტზე, განსაკუტრებით კი მედლეულ ნავთობზე. იმაზე დამოკიდებულებით თუ ვის შეეკითხებით, ის მსოფლიოში პირველი თუ მეორე მომპოვებელია. პრაკტიკულად მთლიანად ნავთობისა და გაზის

მასშტაბურ ექსპორტს უკავშირდება მისი სახელმწიფო ფინანსების კარგი მდგომარეობა (რუსეთში სხვა მსხვილ ქვეყნებზე ნაკლებია ვალისა შიდა საბითუმო პროდუქტის შეფარდება).

ამიტომ არის , რომ ყველაზე ოპტიმისტური სეფასებებითაც კი რუსეთისათვის უაღრესად სარისკოა ნავთობზე ფასების ხანგრძლივი ვარდნა. პუტინის სისტემა, ისევე როგორც მართვის სხვა ნებისმიერი სისტემა, ინტერესთა გარკვეულ ჯგუფებს ეყრდნობა, რომელთა მიმართ იგი იძულებულია გულუხვი იყოს, რაც მას სულ უფრო და უფრო ძვირი უჯდება. თუ ნავთობის ფასი დიდი ხნით 40-50 დოლარამდე დაეცემა, ძალიან სერიოზული პრობლემები დაეწყება პუტინის გუნდს. თუმცა მთავარი საკითხი ის კი არ არის, ავნებს თუ არა რუსეთს ნავთობზე ფასების ვარდნა, არამედ რანდენად მოსალოდნელია იგი. მართალია მე არა ვარ ნავთობის ბაზრის ექსპერტი და გამუდმებით მესმის, რომ ევროპისა და ჩინეთის ეკონომიკურად დასუსტების გამო, ნავთობზე ფასების სერიოზული ვარდნაა მოსალოდნელი, რეალობა ისეთია, რომ ისტორიული სტანდარტებით, ნავთობი ერთობ ძვირია.

საკმარისია აშშ-ის ენერგეტიკული ინფორმაციის სამმართველოს ორი გრაფიკი განვიხილოდ - ერთი გვიჩვენებს 1987 წლის შუა პერიოდიდან Bren-ის მარკის ნავთობის ყოველთვიურ ფასს, მეორე - როგორი იყო ნავთობზე ფასები გახურებული რეცესიის დროს, 2008 წლის დეკემბერში.

შესაძლებელია ნავთობზე ფასების მკვეთრი კლება მომავალში? რასაკვირველია. თუმცა თუ გავითვალისწინებთ ევროპის ეკონომიკური სისუსტისა და ამერიკის ეკონომიკის ნელი ტემპებით ზრდის პირობებში აქამდე მის მდგრადობას, არა მგონია, რომ ნავთობზე ფაებმა სერიოზულად იკლოს. უფრო მოსალოდნელია მათი ზრდა.

ის ფაქტი, რომ ნავთობზე ფასი მყარად დამკვიდრდა ბარელზე 100 დოლარზე მაღალ მაჩვენებელზე, იმის სავარაუდოა, რომ რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა, როგორც მინიმუმი კიდევ ათწლეულს დარჩება უცვლელი. ფასებით, რომელიც დღეს არის და სავარაუდოთ კიდევ რამდენიმე წელს დარჩება, კრემლის განკარგულებაში

იქნება უამრავი რესურსი რაც შეუძლებელს გახდის მის დამარცხებას. ჟურნალისტები და მეცნიერები მრავალგზის აღნიშნავდნენ, რომ პუტინსა და მის მრჩევლებს უჭირდათ ნავთობთან დაკავშირებული წარმატების დაჯერება. როდესაც პუტინმა პირველად დაიკავა პრეზიდენტის პოსტი, ყველაზე ოპტიმისტურ სცენარებით, 30 დოლარამდე უნდა ყოფილიყო ნავთობის ფასი. 2002 წელს „ფსიხუშკაში“ უკრავდნენ თავს ყველას, ვინც კრემლს ეტყოდა, რომ 100 დოლარის რაიონში დაიწყებდა ბალანსირებას ნავთობის ფასი. თუმცა ერთობ მყიფეა პუტინის სისტემის საფუძველი, არა მგონია, რომ იგი ისეთი სერიოზული საფრთხის ქვეშაა, როგორც ბევრ ჟურნალისტსა და ანალიტიკოსს მიაჩნია. მთლიანობაში რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ ძალზედ სტაბილურია. შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელი დროის პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები ენერგომატარებლებზე დაბალ ფასებს დაემთხვა.

ბუნებრივია, დრო გვიჩვენებს, თუ ვინ იყო მართალი. თუ შეერთებული შტატების „ფიქლების სანავთობო რევოლუვია“ ფუნდამენტურად შეცვლის ნავთობის ბაზრების ფუნქციუნირებას და შესძლებს არსებითად შეცვალოს ფასები, უსიამოვნო აღმოჩენები ელის რუსეთის ეკონომიკას. მაგრამ ამჟამად, 2012 წლის დასასრულს, როდესაც მე ირგვლივ ვიყურები და ვხედავ, რომ განვითარებული მსოფლიოს დიდ ნაწილში , რეცესიებმა გავლენა არ იქონია ნავთობზე ფასზე, ვფიქრობ, რომ სხვა სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც ნედლეული უბრალოდ უწინდელზე უფრო ძვირი ღირს. ასეთ სამყაროში ნედლიულის მსხვილი ექსპორტიორები, კერძოდ კი რუსეთი, საკმაო „დაუმსახურებელ“ უპირატესობას ღებულობენ და შეულიათ თავს უფლება მისცენ გადადონ ან სულაც უარი თქვან იმ რეფორმებზე რომელიც აუცილებელი იქნებოდა მაღალი ფასების გარეშე.

თემა 12

ევრაზიული კავშირი - რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი მიმართულება

ევრაზიული კავშირის შექმნის იდეა XX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს მომწიფდა რუსეთის პოლიტიკურ წრეებს შორის. სწორედ ამ პერიოდიდან იწყებენ რუსი იდეოლოგები რუსეთის მომავალი სტრატეგიის განსაზღვრას. პუტინის ხელისუფლე-ბაში მოსვლის შემდეგ განსაკუთრებით აქტიური გახდა რუსეთის ახალი გეოპოლიტი-კური დოქტრინა, რომელიც წინამორბედებზე დაყრდნობით (ტრუბეცკოი, გუმილოვი, ლეონტიევი) რუსმა ფილოსოფოსმა ალექსანდრ დუგინმა შეიმუშავა და მას ევრაზი-ულობა უწოდა.

ევრაზიული დოქტრინა მოიაზრებს პოსტსაბჭოთა სივრცეს, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიის პოლიკულტურებზე დამყარებულ ერთიან პოლიტიკურ, კულ-ტურულ და ეკონომიკურ ბლოკად ქცევას, რომელიც თავის მხრივ, ევროატლანტიკური ალიანსის საპირწონე იქნება. ევრაზიის კავშირში მოიაზრება საქართველოც. დუგინის კონცეფციაში ისევე, როგორც ყველა რუსი გეოსტრატეგოსის კონცეფციაში, ერთადერთ კონსესუსს საქართველოს დესუვერენიზაცია და დანაწევრება წარმოადგენს. კრემლის-თვის მხოლოდ ასეთი სახით არის მისაღები საქართველოს ევრაზიული ინტეგრაცია. ალექსანდრ დუგინი, რომელმაც 1996 წელს გამოაქვეყნა თავისი ფუნდამენტური ნაშ-რომი „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ პრაქტიკულად, დაუფარავად აცხადებს რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებსა და სახავს მომავალზე გათვლილ მიზნებს. მას ძალიან კარგად ესმის, რომ რუსეთი მოკავშირის გარეშე ვერ მოიპოვებს გავლენას ევრაზიაში და ამ მხრივ გამოყოფს სამ სახელმწიფოს, რომლებთანაც ალიანსი უფრო პერსპექტიულია რუსეთისათვის. ეს სახელმწიფოები გახლავთ: გერმანია, იაპონია და ირანი. ერთ შემთ-ხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულ სახელმწიფოებთან

(გერმანია, იაპონია), რომელთაც ბუნებრივია აქვთ რევანშის წყურვილი და მეორე მხრივ კი, ამერიკის ნომერ პირველ მტერ სახელმწიფოსთან ახლო აღმოსავლეთში - ირანთან.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრ დუგინმა თავის ნაშრომში თავი მოუყარა ყველა ანტიდასავლურ კონცეფციას, ის მაინც საინტერესოა, რადგან მას ჩამოყალიბე-ბული აქვს ყველა ის მიზეზი და შესაძლებლობა, რაც მომავალში განსაზღვრავდა რუსეთის კავშირს გერმანიასთან, იაპონიასა და ირანთან. დუგინის თქმით რუსულ-გერმანული ალიანსის შემთხვევაში, რუსეთი კავშირს უზრუნველყოფს უდიდესი ბუნებრივი და ადამიანური რესურსებით, ხოლო გერმანია მაღალი ტექნოლოგიებით. იგი ამ ორ სახელმწიფოს ბუნებრივ მოკავშირედ თვლის და ამბობს: *„დადგა დრო, რომ ბოლო მოეღოს ტრაგიკულ გაუგებრობებს ბუნებრივ მოკავშირეებს შორის და ჩამოყა-ლიბდეს დიდი ძალა ევრაზიის შუაგულში, რომელიც დაასრულებს საზღვაო ბატო-ნობას და დიდ ნაბიჯს გადადგამს მსოფლიო პირველობისაკენ“* [www. BPI.ge]. დუგინი აბსოლიტურად ღიად აცხადებს რუსეთის ინტერესებს კონტინენტზე და ამბობს, რომ ყველა პატარა სახელმწიფო, რომელიც არსებობს რუსეთის გარშემო, უბრალოდ უნდა გაქრეს; თუმცა იგი არაფერს ამბობს იმ სახელმწიფოებზე, რომლებსაც რუსეთზე მეტი ისტორიული გამოცდილება აქვთ და სამართებლივადაც მათ უფრო ეკუთვნით არსე-ბობის უფლება, ვიდრე რუსეთს. ამ მხრივ კი დუგინი იმ ადამიანთა რიცხვში შეიძლება შევიყვანოთ, რომლებიც თვლიან, რომ ძალა ნებისმიერ ისტორიულ სამართლიანობაზე მაღლა დგას და სამართებლივ საფუძვლებსაც ეძებენ თავიანთი შეხედულებების დასამტკიცებლად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დუგინი ასევე გვთავაზობს რუსეთის ალიანსს იაპონიასთან და ირანთან. მისი აზრით, რუსეთის იაპონიასთან ალიანსი იმდენად არის შესაძლებელი რამდენადაც დავიწყება იმ უბედურებისა, რაც დაატეხა აშშ-მა იაპონიას. შეიძლება ითქვას, რომ აშშ-მა ატომური ბომბების ჩამოგდებით იაპონიის ორ ქალაქში (ხიროსიმა, ნაგასაკა) ხელი შეუწყო იაპონიის შესაძლო კავშირს რუსეთთან. დუგინი არ ივიწყებს არც ეკონომიკურ მეტოქეობას აშშ-იაპონიას შორის და არც

ანტიიაპონურ განწყობას აშშ-ში, რომლის მაგალითადაც მოყავს ჯორჯ ფრიდმანის წიგნი „მომავალი ომი იაპონიასთან“, რომელიც 1992 წელს გამოიცა. ამგვარად, დუგინს საფუძვლიანად აქვს დასაბუთებული რუსეთისა და იაპონიის შესაძლო კავშირი, რასაც ჩვენც ვეთან-ხმებით. ასევე გვსურს აღვნიშნოთ ისიც, რომ აშშ თანდათან უახლოვდება ჩინეთს, რაც სრულიადაც არ აწყობს არც რუსეთსა და არც იაპონიას. ალბათ, იმ შემთხვევაში თუკი შეიქმნება აშშ-ჩინეთის „დიდი ორიანი“, ვფიქრობთ, პასუხიც ადეკვატური იქნება და ჩამოყალიბდება რუსულ-იაპონური ალიანსი.

ახლა კი რაც შეეხება ირანს, ამ შემთხვევაში საქმე სულ სხვაგვარადაა. მიუხედავად იმისა, რომ ირანს არ შეუძლია უზრუნველყოს რაიმე ტიპის კავშირი ტექნოლოგიური ნოვაციებით, იგი მაინც მოხვდა დუგინის ყურადღების ქვეშ. საქმე ისაა, რომ ირანი ახ-ლო აღმოსავლეთის რეგიონში გამოირჩევა ღრმა ანტიამერიკული პოზიციით. მითუმე-ტეს ამ ბოლო ხანებში ხშირად არის საუბარი აშშ-ირანის ომზე. შესაძლოა ეს მკვეთრი ანტიამერიკული განწყობა გახდეს საფუძველი რუსეთთან კავშირისა. ამიტომ, დუგინმა რუსეთს დაუსახა სამი მიზანი, რომლის მიღწევაც რუსეთს დაუბრუნებს ძველ სტატუსს კონტინენტზე. თუკი რუსეთი სამივე ამ სახელმწიფოსთან შეძლებს ალიანსის შექმნას, მაშინ ის შესაძლოა მართლაც გახდეს ევრაზიის მფლობელი და შესაბამისად მსოფლიო ჰეგემონი. ჩვენი აზრით, თუკი შესაძლებელია „დიდი ორიანის“ შექმნა (აშშ, ჩინეთი), მით უფრო შესაძლებელია „დიდი ოთხიანის“ შექმნა (რუსეთი, გერმანია, იაპონია, ირანი). აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ბოლო პერიოდში გერმანიასა და რუსეთს, ასევე რუ-სეთსა და ირანს შორის ურთიერთობები საგრძნობლად დათბა; იაპონია კი, ვფიქრობთ, აუცილებლად დაუჭერს მხარს იმ კოალიციას, რომელიც დაუპირისპირდება აშშ-ს.

ამგვარად, ალექსანდრ დუგინის მიერ დასახული მიზნები რუსეთისათვის ზოგ შემთხვევაში სწორად გვესახება. ვეთანხმებით მოკავშირეთა შერჩევის პრინციპს, მაგრამ აბსოლუტურად ვემიჯნებით მის შეხედულებებს პატარა სახელმწიფოების მიმართ, რადგან, როგორც უკვე

აღვნიშნეთ, ზოგ პატარა სახელმწიფოს უფრო აქვს ისტორიულად სამართებლივი უფლება არსებობისა, ვიდრე რუსეთს ან სხვა რომელიმე დიდ სახელ-მწიფოს.

რუსეთის ფედერაციაში დღეს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ დუგინის იდეებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ალექსანდრ დუგინს რუსეთის პოლიტიკურ წრეებში საკმაოდ დიდი გავლენა აქვს და ძალზედ პოპულარულია საზოგადოებაში. დუგინი პუტინის მმართველობას ევრაზიული იდე-ების გამარჯვებად თვლის.

ალექსანდრ დუგინი არც რუსეთის ინტერესებს მალავს ევროპისა და სამხრეთ კავკასიის მიმართ, რომლებიც ქმნიან პრობლემას ევრაზიული იდეების გამარჯვები-სათვის. მან ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი სტატია თუ ინტერვიუ გამოაქვეყნა და ყველა მათგანში ღიად თუ ფარულად საუბარობს ძალის გამოყენებაზე პოსტაბჭოთა სახელმწიფოების მიმართ. მან DELFI.lt-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: *„მაგალითად, თუ აშშ დასუსტდება, ჩვენ კიდევ ერთხელ განვახორციელებთ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ოკუპაციას, ამა თუ იმ ფორმით, მსუბუქად ან ხისტად. თუმცა ჯერჯერობით ასეთი პერსპექტივა არ ჩანს“* დუგინმა ამავე ინტერვიუში ისაუბრა საქართველოსთან დაკავშირებითაც და დაუფა-რავად განაცხადა, რომ *„რუსეთი დსთ-ის ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენისთვის იბრძვის და ცდილობს, იქ აშშ-მა ფეხი ვერ მოიკიდოს. ბრძოლა მიდის ბელორუსზე, უკრაინასა და საქართველოზე გავლენის მოსაპოვებლად. თუ ამ ქვეყნებში პროამერი-კული ხელისუფლება იქნება, რუსეთი ყოველთვის შეეცდება შიდაპოლიტიკური ვითა-რების დესტაბილიზაციას და ისეთი ნიადაგის შექმნას, რომ ხელისუფლება დაემხოს, ან საქმე სამხედრო ექსპანსიამდე მივიდეს, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაში მოხდა.*

საქართველოს ორი რეგიონი ჩამოვაჭერით და მედვედევი რომ არ შეჩერებულიყო, კიდევ უფრო შორს წავიდოდით - თბილისსაც ავიღებდით. ქართველები ძალიან შეშფო-თებულნი არიან იმის გამო, რომ ჩვენ ეს არ გავაკეთეთ. ისინი ძალას აღიარებენ. მათ თურქების, ირანელებისა და რუსების ბატონობა გამოსცადეს და ჩვენ ყველაზე უარესი

არ ვყოფილვართ. ისინი გვაფურთხებდნენ, ნაგავს გვაყრიდნენ, მაგრამ ძალას ყოველ-თვის აღიარებდნენ“ [

ალექსანდრ დუგინმა ქართველ ხალხთა ასამბლეის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ქართველ და რუს ხალხს შორის უნდა მოხდეს ურთიერ-თობების განახლება კულტურულ და რელიგიურ ფონზე, ყოველგვარი პოლიტიკისა და პოლიტიკოსების გარეშე. ამისათვის კი ქართველმა და რუსმა ხალხმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რადგან მათ შორის ურთიერთობების აღდგენა ორივე მხარეზეა დამოკიდე-ბული. დუგინი ამბობს: *„მე ძალიან მიყვარს ქართველი ხალხი, მისი უძველესი კულ-ტურა და ძალიან განვიცდი, რომ ჩვენი ხალხები პოლიტიკამ გაჰყო. ქართველებმა და რუსებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ხალხებს შორის ურთიერთო-ბების გამოსას-წორებლად“*[

დუგინი ამ გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტს - მიხეილ სააკაშვილსაც შე-ეხო და აღნიშნა, რომ რუსეთმა მას ანგარიში აუცილებლად უნდა გაუწიოს, როგორც ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს და ამასთანავე უკმაყოფილება გამოთქვა სააკაშ-ვილის მიმართ მისი პროდასავლური ორიენტაციის გამო. იქიდან გამომდინარე, რომ დასავლური ფასეულობები ეწინააღმდეგებიან მართლმადიდებლურს და შესაბამისად, საქართველოს უძველეს კულტურასა და ტრადიციებს, დუგინი შემდეგ შეფასებას ამ-ლევს სააკაშვილს: *„თუ რაიმეს წაგება შეიძლებოდა, სააკაშვილმა წააგო და ეს პირველ რიგში ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ეხება. სააკაშვილი საზოგადოების გარკვე-ული ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობს და რადგან ეს ასეა, რუსულმა მხარემ ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს და სააკაშვილი ანგარიშგასაწევ ლიდერად მიიჩნიოს“*

ალექსანდრ დუგინი არის რუსი იდეოლოგი, რომელიც რუსეთის ხელისუფლებას უსახავს გრძელვადიან მიზნებს და სთავაზობს სტრატეგიულ მიდგომებს, რამაც რუსეთი უნდა აქციოს ნომერ პირველ სახელმწიფოდ მსოფლიოში. იგი „ევრაზიელია“ და ამიტომ ყველანაირად ცდილობს რუსი პოლიტიკური ლიდერები დაარწმუნოს ევრა-ზიული კავშირის შექმნის აუცილებლობაში. დუგინისათვის ყოვლად მიუღებელია

დასავლური ღირებულების მქონე პოლიტიკოსის ყოფნა ხელისუფლებაში და ამიტომ უარყოფითად იყო განწყობილი მედვედევის ხელისუფლებისადმი, რომელმაც მკვეთ-რად შეარბილა პოლიტიკა დასავლეთთან. იგი გაზეთ „ვერსიისთვის“ მიცემულ ინტერ-ვიუში აღიარებს იმას, რომ მედვედევი რეალური მართველი არ იყო და პუტინმა მხო-ლოდ იმისთვის მოიყვანა ხელისუფლების სათავეში, რომ პოსტი შეენახა. დუგინი თვლის, რომ პუტინი ლეგიტიმური მმართველია და რუსეთის ერთიანობა სწორედ მისი დამსახურებაა. მისი აზრით, პუტინი ევრაზიელობისაკენ იხრება, მაგრამ მედვედევის მოყვანა ხელისუფლებაში შეცდომა იყო, რადგან იგი არაევრაზიელი და პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსია.

პორტალ „russia.ru“-ზე გამოქვეყნდა ალექსანდრ დუგინის წერილი, რომელშიც ავტორი პირდაპირ აცხადებს, რომ რუსეთმა უნდა დაიპყროს ევროპა. დუგინი ამოდის „მესამე რომის“ კონცეფციიდან და ამბობს, რომ რუსი მეფე უნდა იყოს საერთო ევრო-პული მეფე და ამით აღორძინდება ბიზანტიის იმპერიაც. როგორც ჩანს, დუგინმა ამ ბო-ლო პერიოდში შეხედულებები შეიცვალა, რადგან აქამდე ის თუ თვლიდა, რომ დასავ-ლური ღირებულებები მიუღებელი იყო მართლმადიდებლობისათვის, ახლა უკვე ამტკიცებს, რომ *„მართლმადიდებლობა მშვენივრად მოილაპარაკებს კონსერვატიულ კათოლიკურ წრეებთან; კათოლიკეებს ჩვენ არ დავუშლით თავიანთ აღმსარებლობას ჩვენს საიმპერიო ტერიტორიაზე, როგორც იმპერიული ერთობის ადრეულ პერიოდებში ხდებოდა კონსტანტინე დიდიდან კარლოს დიდამდე - გარკვეული ავტონომიების მი-უხედავად, დასავლეთ ევროპა მაინც აღიარებდა ბიზანტიის იმპერატორის ერთადერ-თობას“*

წერილში დუგინი ასევე საუბრობს ევროპულ შეიარაღებაზე და NATO-ზე. მისი აზრით, ევროპული შეიარაღება ნულის ტოლია და NATO-ც არ ერევა ისეთ მძაფრ კონფ-ლიქტებში, როგორიცაა აფხაზეთი და ცხინვალი. ის ამბობს: *„ვთქვათ, არსებობს NA-TO, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ NATO-ს ბლოკი მწვავე კონფლიქტებში, როგორც დავინახეთ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, არ ერევა. ჩვენ წავეკიდეთ მათ*

მეგობარ საკაშვილს, მოვუგეთ მას და პასუხად მხოლოდ თუხთუხი და ამერიკული ბალეტი დავინახეთ შავ ზღვაზე, NATO-ს ამერიკულ კრეისერებზე, მერედა რა? სამხრეთ ოსეთიც და აფხაზეთიც ჩვენ დაგვრჩა“ დუგინი ნამდვილ რუსულ საქმედ თვლის ევროპაზე პრიორიტეტის მოპოვებას, რის შემდეგაც უკრაინა და საქართველო თავად მივლენ რუსეთთან. ამგვა-რად, ალექსანდრ დუგინი ტიპიური რუსი იმპერიალისტია, რომელიც პირდაპირ და დაუფარავად ეუბნება თავის პოლიტიკურ ლიდერებს, თუ რა არის კარგი რუსეთი-სათვის. მსჯელობს მხოლოდ რუსული გადმოსახედიდან და მეტოქეებსაც პირდაპირ ეუბნება, რომ ჩვენ უნდა დაგიპყროთო. ძნელი სათქმელია, რამდენად იქნება შესაძლე-ბელი ამ „დიდი საქმის“ განხორციელება რუსეთისათვის, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის ხელისუფლება ამ მიმართულებით უკვე მუშაობს. დუგინმა იცის, რომ პუტინი ევრაზიული იდეების მიმდევარია და ამიტომ პუტინისადმი უკმაყოფილებას მხოლოდ საქმის გაჭიანურების გამო გამოთქვამს.

ევრაზიული კავშირის შექმნის მცდელობა

რუსეთის დღევანდელი საგარეო პოლიტიკის გაგება ღრმა შესწავლასა და ანალიზს მოითხოვს. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ რუსთი კვლავ მოგვევლინა აგრე-სიულ ძალად, რომელიც ცდილობს ხელახლა დაიმკვიდროს თავი საერთაშორისო არე-ნაზე. იგი მძიმედ განიცდის ძველი სტატუსის დაკარგვას და ცდილობს მინიმუმ, ყოფი-ლი საბჭოთა კავშირის სივრცეში მაინც აღიდგინოს თავისი გავლენა, რომელსაც ამჯე-რად ევრაზია ერქმევა.

ვლადიმერ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლისას, რომელიც არ იზიარებდა ლიბე-რალურ ღირებულებებს, რუსეთი მძიმე გამოწვევების წინაშე იდგა. გადასაწყვეტი იყო სეპარატისტთა საკითხი და ყოფილ სატელიტებზე გავლენის შენარჩუნება. ამას დაემატა ისიც, რომ 90-იანი წლების ბოლოს აშშ-მა და ბრიტანეთმა გადაწყვიტეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელება. ცხადია ეს რუსეთს სულაც არ მოსწონდა, რადგან ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში დასავლეთი კასპიისპირეთის ენერგორე-სურსებს მიიღებდა რუსეთის

გვერდის ავლით. ამასთანავე, ყოფილი საბჭოთა რესპუბ-ლიკები სულ უფროდაუფრო უახლოვდებოდნენ დასავლეთს. მიუხედავად ამისა, პუტი-ნი თავდაპირველად მტრულ შთაბეჭდილებას სულაც არ ტოვებდა, ხოლო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მან დახმარებაც კი შესთავაზა თავის ამერიკელ კოლეგას. ამით პუტინი ცდილობდა რუსეთი ამერიკის თანაბარ პარტნიორად ექცია და გარკვე-ული დათმობაც მიეღო აღმოსავლეთ ევროპაში.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აშშ-თან თანამშრომლობამ გამოიწვია ამერი-კული სამხედრო ბაზების განთავსება შუა აზიაში, რაზეც მოსკოვმა მოგვიანებით უკმა-ყოფილებაც კი გამოთქვა. თუმცა ამის წყალობით მან დიდი მოგებაც ნახა. აშშ-ის ომმა ერაყთან გამოიწვია ნავთობის გაძვირება და შესაბამისად რუსეთმა დიდი შემოსავალი მიიღო. ამის საშუალებით მან შეძლო საგარეო ვალების გასტუმრება და დასავლეთზე თავისი დამოკიდებულებაც შეამცირა.

ვიდრე აშშ ერაყთან ომით იყო დაკავებული, პუტინი უფრო და უფრო თავისუფ-ლად მოქმედებდა მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში. რუსეთმა კვლავ „დაყავი და იბატონე“-ს პრინციპით დაიწყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ვითარების დესტაბილიზაცია. ცხადია, რუსეთის პოლიტიკურ ელიტას კარგად ესმოდა და ესმის, რომ ამ სახელმწიფოებზე გავლენის აღდგენა ვერ მოხდება ნებაყოფლობით. ამიტომ ისინი ცდილობენ ეს სახელმწიფოები ჩართონ რაიმე კავშირში, როგორიცაა, მაგალითად, „ევრაზია“. ამ მხრივ ბალტიისპირა სახელმწიფოები დაზღვეულნი არიან, რადგან ისინი უკვე გაწევრიანებულნი არიან NATO-სა და ევროკავშირში. ასევე რუსეთს პრობლემები აქვს უკრაინასთან მიმართებაში, რომელიც, ფაქტობრივად, ხელიდან ეცლება. რაც შე-ეხება სამხრეთ კავკასიას, აქ მთავარ პრობლემას წარმოადგენს საქართველო, რომელიც თავისი პროდასავლური ტენდეციებით არის ცნობილი და ამ მხრივ, ყველაზე საშიში სახელმწიფოა რეგიონში. რუსეთის მმართველ წრეებს კარგად ესმით, რომ საქართველო-ზე კონტროლის დაკარგვის შემთხვევაში, ისინი კონტროლს დაკარგავენ აზერბაიჯანზე, რომელიც კასპიური ნავთობის საკმაოდ დიდ მარაგს

ფლობს. ამიტომ რუსეთისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოზე გავლენის შენარჩუნება. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის რეგიონის მესამე მოთამაშე სახელმწიფოს - სომხეთს, მას ნიკოლაი ტრუბეცკოი თავის წიგნში „ჩინგიზ ხანის მემკვიდრეობა“, რუსეთის ბუნებრივ მოკავ-შირეს უწოდებს და ეს მართლაც ასეა, რადგან სომხეთისთვის, რომელსაც რეგიონში არა-ნაირი ბუნებრივი სიმდიდრე და გეოგრაფიული მნიშვნელობა არ გააჩნია, ერთადერთ გზას რუსეთთან დაახლოება წარმოადგენს.

დასავლეთთან ურთიერთობები კვლავაც რჩება რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად. რუსეთი ყველანაირად ცდილობს ბოლო მოუღოს ამერიკულ-ევროპულ კავშირს, რათა ნაწილობრივ მაინც შეზღუდოს აშშ-ის გავლენა ევრაზიის კონტინენტზე. აღსანიშნავია ისიც, რომ 2007 წლის მიწურულს პუტინმა პირდაპირ მოსთხოვა დასავლეთს, რომ გაეუქმებინათ NATO, რადგან სხვა შემთხვევაში რუსეთი დასავლეთთან კარგ ურთიერთობებს ვერ შეინარჩუნებდა. პუტინის თქმით, ეს არის, *„სულელური ატლანტიკური სოლიდარობა და ცივი ომის გადმონაშთი“*. დასავ-ლეთის შეზღუდვის მიზნით მოსკოვი აქტიურად იყენებს ენერგო რესურსებს და პირ-დაპირ მიანიშნებს ევროპას, რომ მისთვის მიუღებელი პოლიტიკის გატარების შემთ-ხვევაში გადაუკეტავს ბუნებრივ აირს. ალბათ, სწორედ ეს არის ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც ევროპული სახელმწიფოები და მათ შორის აშშ-ც თავს იკავებენ რუსეთის წინააღმდეგ აქტიური პოლიტიკის გატარებისაგან. ამგვარად, რუსეთს გააჩნია სერი-ოზული ეკონომიკური ბერკეტები, რაც დასავლეთს არ აძლევს საშუალებას გაატაროს აქტიური პოლიტიკა კონტინენტზე.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ რუსეთმა ამ ბოლო პერიოდში საგრძნობლად გამოასწორა ურთიერთობები დასავლეთ ევროპის დიდ სახელმწიფოებ-თან - საფრანგეთთან და გერმანიასთან (ინგლისი კვლავ აშშ-ის მოკავშირედ და პარტნი-ორად რჩება). განსაკუთრებით გერმანიასთან, რომელთან ერთადაც მნიშვნელოვან ეკონომიკურ პროექტებზე მუშაობს „ჩრდილოეთის ნაკადის“ სახით,

რომელიც ითვა-ლისწინებს ბუნებრივი აირის მიწოდებას გერმანიისთვის ბალტიის ზღვის გავლით. ვფიქრობთ, აღნიშნული შეთანხმება, რომელსაც პუტინ-შრიოდერის პაქტსაც უწოდებენ (მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის მსგავსად), კიდევ უფრო დამოკიდებულს გახდის გერმანიას რუსეთზე, რადგან საჭიროების შემთხვევაში მოსკოვი აუცილებლად გამოიყე-ნებს ამ უპირატესობას. მითუმეტეს, რუსეთი პირდაპირ ეკონომიკურ შეტევაზე გადავი-და დასავლეთის სახელმწიფოებთან მიმართებაში და ამის ნათელი მაგალითია 2006 წელს „გაზპრომის“ მუქარა, რომ იგი გადაუკეტავდა დასავლეთს ბუნებრივ აირს, თუ ისინი არ შეწყვეტდნენ „გაზპრომის“ საქმეებში ჩარევას. რაც შეეხება საფრანგეთს, იგი ტრადიციულად მხარს უჭერს დასავლეთს და კარგ ურთიერთობებს ამყარებს რუსეთ-თან. როგორ ჩანს, საფრანგეთი ცდილობს იყოს შუამავალი და მომრიგებელი რუსეთსა და დასავლეთს შორის, რაც მის იმიჯს გაზრდის საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე.

რუსი პოლიტიკოსები საკმაოდ ფრთხილად მოქმედებენ ჩინეთთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ევროპას ხშირად ემუქრებიან ბუნებრივი აირის ჩინურ ბაზარზე გატანით, თავადაც კარგად იციან, რომ ეს თვით რუსეთისთვისაც საშიშია. რუსეთს არა-ნაირი სურვილი არ აქვს ხელი შეუწყოს ჩინეთის კიდევ უფრო სწრაფ აღმავლობას ბუ-ნებრივი აირის მიწოდებით. აღსანიშნავია ისიც, რომ იაფმა ჩინურმა ეკონომიკამ თით-ქმის მოიცვა რუსეთის ბაზარი, რაც რუსეთს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ჩინელები უკვე რუსეთში შეძენილი სამხედრო თვითმფრინავის, მიგების, საკუთარ ვარიანტსაც კი ქმნიან. მაგრამ რუსეთისათვის ნომერ პირველ მტრად მაინც აშშ რჩება, რომელიც უნდა განეიტრალდეს თუნდაც, ჩინეთის მეშვეობით. რაც შეეხება ევროკავშირს, იგი რუსეთს იმდენად არ აღელვებს, რადგან მასზე სერიოზული ეკონომიკური ბერკეტები გააჩნია.

ვლადიმერ პუტინი პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნების შემდეგ „ევრაზიული კავშირის“ შექმნის იდეით გამოვიდა, რომელიც იქნებოდა უნივერსალური კავშირი სრულფასოვანი ერთიანი ეკონომიკით. ეს კავშირი უნდა ყოფილიყო საბაჟო კავშირისა და ერთიანი ეკონომიკური სივრცის გაგრძელება, რომელთა წევრებიც არიან რუსეთი, ბელარუსი და

ყაზახეთი. ხოლო გაწევრიანების კანდიდატებად მოიაზრებიან ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და სომხეთი. იმისათვის, რომ რუსეთმა ამ კავშირის შექმნა მოახერხოს აუცილებელია ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა გაწევრიანდეს მასში, რაც თავისთავად პრობლემაა და სწორედ ამ პრობლემის მოგვარება გახლავთ პუტინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანა. პუტინი ევრაზიულ კავშირს აფასებს შემდეგნაირად: *„ევრაზიის კავშირი აიგება უნივერსალურ ინტეგრაციულ პრინციპებზე, როგორც ევროპის განუყოფელი ნაწილი, რომელიც სახელმწიფოებს თავისუფლების, დემოკრატიისა და საბაზრო კანონების საერთო ფასეულობებით გააერთიანებს... ბუნებრივი რესურსების, კაპიტალის, ძლიერი ადამიანური პოტენციალის გაერთიანება ევრაზიულ კავშირს კონკურენტუნარიანს გახდის სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ბაზარზე“.*

ვლადიმერ პუტინის მტკიცებით, ახალი კავშირი მსოფლიოს ეკონომიკისა და პო-ლიტიკის ერთ-ერთი ცენტრი უნდა ყოფილიყო, რაც უზრუნველყოფდა მსოფლიოს გან-ვითარების სიმტკიცეს. ეს კავშირი არანაირად არ იქნებოდა საბჭოთა კავშირის რაიმე ფორმით აღდგენის მცდელობა, რადგან ის უკვე წარსულს ჩაბარდა. ახალი ტიპის კავ-შირი უნდა ყოფილიყო ღია ყველა სახელმწიფოსათვის და მასში გაწევრიანებაც ეროვ-ნული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მომხდარიყო. ვლადიმერ პუტინის ეს სტა-ტია, რომელიც 2011 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტიაში“, არანაირად არ შეიცავს აგრესიულ ტონს და უფრო დემოკრატიული ფასეულობების მქონე შინა-არსის მატარებელია. პუტინი არ ემიჯნება ევროკავშირს და საუბრობს მასთან მჭიდრო ურთიერთობებზე.

მიუხედავად პუტინის ამგვარი მომხიბლავი განცხადებებისა, ევრაზიული კავში-რის შექმნის მცდელობა ჩავარდა. ამ მხრივ ხელისშემშლელი იყო ბელორუსის პრეზი-დენტი ალექსანდრ ლუკაშენკო. 2012 წლის მარტის მოლაპარაკებები უშედეგოდ დას-რულდა და ევრაზიული კავშირის შექმნისათვის მორიგი შეხვედრა სამი წლით გადა-იდო. ამიტომაც პუტინის მთავარი მიზანია არ დაუშვას კავშირის შექმნის კიდევ ერთხელ გადადება. სამიტის მეორე დღესვე რუსული პრესის

თავფურცლები აჭრელე-ბული იყო წარუმატებელი მოლაპარაკებებისადმი მიძღვნილი სათაურებით. რუსული მედია თანხმდებოდა, რომ: *„მინსკი წყალში ყრის პუტინისთვის სასურველი ევრაზიული კავშირის შექმნის მცდელობას“.*

გამომცემლობა „კომერსანტი“ აღნიშნავს, რომ ბელარუსის დემარში გამოწვეული იყო რუსეთთან ბოლომდე მოუგვარებელი ფსონების გამო. დისკუსია მიმდინარეობდა იმაზე, თუ რა ფორმა ექნებოდა მომავალ ინტეგრაციულ გაერთიანებას და რა როლი მიენიჭება მასში ბელარუსს. გაზეთი საუბრობს იმაზეც, რომ რუსეთსა და ბელარუსს შორის სირთულეებმა თავი ახალი გაერთიანების სახელის შერჩევისას იჩინა. რუსეთს სურს, რომ ამ გაერთიანების სახელი იყოს „ევრაზიის ეკონომიკური კავშირი“, ბელარუსი კი დაჟინებით ითხოვს მას დაერქვას „ევრაზიის ერთიანი ეკონომიკური სივრცე“. აღსა-ნიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულება, რომელიც ჟურნალისტებს ჩაუვარდათ ხელში, მხო-ლოდ რუსი და ბელარუსის ექსპერტების მიერაა შეთანხმებული. ხელშეკრულების პრო-ექტი ორგვარია - რუსული და ბელარუსული. რუ-სულ ვარიანტში ნათქვამია, რომ გაერთიანებას აქვს უფლება, ხელშეკრუ-ლებები გააფორმოს მესამე მხარესთან, რომელიც დადასტურებულია უზე-ნაესი ევრაზიული ეკონომიკური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ხოლო ბელარუსულ ვერსიაში კი აღნიშნულია, რომ ორგანიზაციის უმაღ-ლესი ორგანოს მიერ ამა თუ იმ ხელშეკრულების მოწონებამდე სავალდე-ბულოა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გავლა, რაც საშუალე-ბას მისცემს წევრ სახელმწიფოს არასასურველი ხელშეკრულებისგან თა-ვი ნაციონალურ დონეზე ბლოკირების უფლებით დაიცვას.

„ნოვაია იზვესტია“ ლუკაშენკოს ვიზიტთან დაკავშირებით წერდა, რომ ლუკაშენ-კომ მოსკოვში ვიზიტი საკუთარი პრობლებების გადასაწყვეტადაც გამოიყენა. საქმე ისაა, რომ ოფიციალურმა მინსკმა 2011 წლის მეტროს ტერაქტებში ბრალდებული ორი ახალ-გაზრდა პირი სიკვდილით დასაჯა, რამაც გამოიწვია დასავლეთის სახელმწიფოების შეშფოთება და ბელარუსზე სანქციების დაწესების საფრთხე. ერთი სიტყვით, ევრაზი-ული კავშირის შექმნის მცდელობა უშედეგოდ

დასრულდა ბელარუსის პრეზიდენტის წინააღმდეგობის გამო. სამიტი გადაიდო სამი წლით და იგი განახლდება 2015 წელს.

ამგვარად, ევრაზიული კავშირის შექმნის იდეა სხვა არაფერია, თუ არა სსრკ-ის მოდერნიზებული ვარიანტი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რასაც ვლადიმერ პუტინმა „მე-20 საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა, დაიწყო პროცესები, რომლებიც ქმნიდნენ საფუძვლებს შემდგომი გლობალური კავშირისათვის. მიუხედავად ელცინის პროდასავლური ორიენტაციისა, პოსტსაბჭოთა რეგიონებში რუსეთის ეგიდით შეიქმნა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“, ხოლო შემდგომ, პუტინის მმართველობის პერიოდში „საბაჟო კავშირი“, „ერთიანი ეკონომი-კური სივრცე“ და „ევრაზიის ერთიანი ეკონომიკური საზოგადოება“. სწორედ ეს კავშირები უნდა იქცნენ ევრაზიული იდეების რეალიზების საშუალებად.

პუტინმა, რომელიც საკმაოდ ჭკვიანი და ნიჭიერი პოლიტიკოსია, შეძლო რუსე-თის გამოყვანა იმ კრიზისიდან, რომელიც მას დაშლით ემუქრებოდა XX საუკუნის 90-იან წლებში. მისი მეშვეობით რუსეთი კვლავ აგრესიულ ძალად მოგვევლინა საერთა-შორისო არენაზე. მიუხედავად იმ სირთულეებისა და პრობლემებისა რაც დღეს აქვს რუსეთს, იგი მაინც ანგარიშგასაწევი ძალაა გლობალურ პოლიტიკაში, ეს კი უდაოდ პუ-ტინის დამსახურებაა. აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთელი იდეოლოგები თანდათან იცვლიან პოზიციებს რუსეთთან მიმართებაში. განსაკუთრებით ზბ. ბზეჟინსკი, რომელ-მაც ნორმანდიაში 2011 წლის 14 ოქტომბრის გამოსვლისას ალექსის დე ტოკვილის პრემიის მიღების შემდეგ განაცხადა, რომ: *„დასავლეთი დაღმა მიდის, რადგან გაერთი-ანების ნება არ ჰყოფნის, ხოლო აღმოსავლეთი აღმავლობის გზას ადგას... ეფექტური გლობალური პოლიტიკური თანამშრომლობა... ამერიკისთვის, რომელიც ერთდრო-ულად ატლანტიკისა და წყნარი ოკეანის ზესახელმწიფოა, ჩემი აზრით, განახლებულ და ამბიციურ ძალისხმევას უნდა ნიშნავდეს, რომელიც მიმართული იქნება იმაზე, რომ შინაარსი შესძინოს ატლანტიკური თანამეგობრობის ცნებას, რომელმაც მოკლევადიან პერსპექტივაში ამერიკა*

და ევროკავშირი, ხოლო გრძელვადიანში, თანდათან, ასევე რუსეთი და თურქეთი უნდა მოიცვას“

ბზეჟინსკი უკვე აღარ საუბრობს რუსეთის ფედერაციის დაშლაზე, რაც მისთვის არც თუ ისე დიდი ხნის წინ საკმაოდ აქტუალური თემა იყო. იგი ეხლა საუბრობს რუსე-თის მჭიდრო ურთიერთობებზე დასავლეთთან. მას ძალიან კარგად ესმის, რომ ევრაზი-ის კონტინენტზე აშშ-ს სჭირდება მოკავშირე. იმ შემთხვევაში თუ აშშ-ს არ გამოუვა ალიანსი ჩინეთთან, მაშინ მის შესაკავებლად აუცილებლად დასჭირდება ძლიერი სახელმწიფო რუსეთის სახით. მაგრამ რუსეთი მხოლოდ დასავლეთის ფარის როლს როდი დასჯერდება. ყოველ შემთხვევაში ფაქტი ისაა, რომ რუსეთის დაშლასთან დაკავ-შირებით არც ზბიგნევ ბზეჟინსკი და არც ჰენრი კისინჯერი არაფერს არ მიანიშნებენ. მათ კარგად ესმით, რომ თუკი რუსეთი დაიშლება უმდიდრესი ციმბირი და შუა აზია ჩინეთის კონტროლქვეშ გადავა, რაც სულაც არ ხიბლავს დასავლეთს.

აშშ-ის ელჩმა რუსეთში ჯონ ბაიერლიმ რუსეთთან დაკავშირებით ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: *„სუსტი რუსეთი აშშ-ისთვის ყველაზე საშინელი კოშმარია, ამი-ტომ მთელი ჩვენი პოლიტიკა მოსკოვთან დაკავშირებით არა მხოლოდ აშშ-რუსეთის ურთიერთობების განმტკიცებას გულისხმობს, არამედ იმასაც, რომ რუსეთი უფრო ძლი-ერი და თავდაჯერებული გახდეს. სწორედ ასეთი პარტნიორი სჭირდება ამერიკას XXI საუკუნეში. ჩვენ მშვენივრად ვაცნობიერებთ იმ გამოწვევებს, რომლებიც ჩვენს წინაშე 2020 წლამდე დგას და მათთან გამკლავება მძლავრ პარტნიორებთან ერთად უნდა შევძლოთ“*

როგორც ვხედავთ, დასავლეთს რუსეთი სჭირდება ჩინეთის, ანუ, როგორც ამ უკანასკნელს ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა ედვარდ ლუტვაკიმ უწოდა, „ახალი გერმანიის“ შესაკავებლად. ამიტომ შესაძლოა იგი დათმობებზეც კი წავიდეს რუსეთთან მიმართებაში. ფაქტი ისაა, რომ კონტინენტზე უნდა შენარჩუნდეს წონას-წორობა და ამის გარანტი უნდა იყოს სხვადასხვა ქვექნები და ბლოკები, რომლებიც ერთმანეთს დააბალანსებენ. ეს არ არის ახალი საერთაშორისო პოლიტიკისათვის და ამის უდიდესი გამოცდილება აქვს მსოფლიოს თავისი

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. უბრალოდ XXI საუკუნეში გეოგრაფიული არეალი გაიზარდა, ტექნოლო-გიები განვითარდა და მეთოდები დაიხვეწა.

ამგვარად, გადაჭრით ვერ ვიტყვით იმას, რომ „ევრაზიული კავშირი“ შეიქმნება თუ არ შეიქმნება, ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებს. მაგრამ ერთი რამ კი უდავოა, ამ მიმართუ-ლებით ჯერჯერობით რუსეთს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, რაც გასაკვირი სულაც არ არის. ყველა ევროპულ და აზიურ სახელმწიფოს რუსეთთან ურთიერთობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და ყველამ კარგად იცის, რომ რუსეთისათვის ხელშეკრულება არაფერს ნიშნავს და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ამი-ტომაც რუსეთისადმი ნდობის კოეფიციენტი დაბალია და იგი ამ ნდობას ძალიან ძნე-ლად თუ დაიბრუნებს, თუმცა ისეთი ხისტი პოლიტიკით როგორსაც ის დღეს ატარებს, ვფიქრობთ, ნდობის მოპოვებას ვერ შეძლებს. სხვა მხრივ ევრაზიული კავშირის შექმნა სულაც არ უნდა იყოს პრობლემა. მაგრამ საქმე ისაა, რომ რუსეთის მეზობელ სახელმწი-ფოებს უკვე ჰქონდათ ამგვარი სახის კავშირში ყოფნის გამოცდილება და ვერ ივიწყებენ იმ ნეგატიურ მხარეებს, რაც ამ კავშირმა მოუტანა მათ სახელმწიფოებს. ჩვენი აზრით, სწორედ ესაა წინაღობა, სხვა მხრივ კი სირთულეებს ნამდვილად ვერ ვხედავთ; თუკი ევროპამ, რომელმაც გადაიტანა სამი ევროპული და ორი მსოფლიო ომი და მაინც მოახერხა გაერთიანება ევროკავშირის სახით, მაშინ ამას რატომ ვერ მოახერხებენ ევრაზიული ქვეყნები (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები), მაგრამ აქ დილემა რუსეთია, რომელმაც თავისი მზარდი მადითა და უზარმაზარი ამბიციებით ყოველგვარი ნდობა დაკარგა და „ბოროტი“ იმპერიალისტის სტატუსი შეიძინა. ხაზგასასმელია ისიც, რომ განსხვავებით რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირისაგან, თანამედროვე რუსეთს არ გააჩნია რაიმე ეფექტური ზეეთნიკური იდეოლოგია, რომელიც კონკურენციას გაუწევს დემოკრატიასა და სამოქალაქო საზოგადოებას. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია უკანასკნელი ხავსია, რომელსაც კრემლი აქტიურად იყენებს საგარეო პოლიტიკაში. ამგვარად ევრაზიული კავშირის შექმნა რუსეთისათვის

უფრო გრძელვადიან პერსპექ-ტივას წარმოადგენს და უახლოეს პერიოდში ამ მხრივ, რადიკალურ სიახლეებს არ უნდა ველოდოთ.

თემა 15

რუსული ომის ახალი მეთოდები

თანამედროვე რუსეთი დასავლეთის ქვეყნებზე სუსტია. მიუხედავად ამისა, ის ახალი თაობის ომის მეთოდებით ცდილობს საკუთარი მიზნების მიღწევას. ეს მეთოდები შორს დგას ომის ტრადიციული გაგებისგან და მოიცავს მტერზე ფსიქოლოგიურ და ინფორმაციულ ზეწოლას. იმის გამო, რომ ამერიკას ამის საპასუხო სტრატეგია არ გააჩნია, ომის გაგების ეს ახლებური მიდგომა საფრთხის შემცველია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, მათ შორის – საქართველოსთვისაც.

ძალის ყველაზე მნიშვნელოვანი განზომილებები სამხედრო და ეკონომიკური ძალაა. სამხედრო თვალსაზრისით აშშ კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს ლიდერის პოზიციას. 2013 წლის მონაცემებით, აშშ-ის სამხედრო ხარჯი 640 $ მილიარდია, რაც მშპ-ის 3.1%-ს შეადგენს. იმავე წლის მონაცემებით, რუსეთის თავდაცვის ხარჯი იყო 87.8 $ მილიარდი – მშპ-ის 4.1%. რაც შეეხება ეკონომიკურ ძლიერებას, აშშ-ის წილი მსოფლიო მშპ-ში 19.31%-ს შეადგენს, რუსეთისა კი – 2.94%-ს.

ამ მონაცემების მიუხედავად, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, არცთუ უსაფუძვლოდ ჩნდება კითხვა, არის თუ არა დღეს ღმერთი კვლავინდებურად დიდი ბატალიონების მხარეს, როგორც ამას თავის დროზე კლაუზევიცი ამტკიცებდა.

ყირიმის ოკუპაცია და ანექსია, აღმოსავლეთ უკრაინაში დივერსიული საქმიანობა – ამ პროცესებზე დასავლეთის ქვეყნების საპასუხო რეაქციებისა და რუსეთის თანამედროვე სამხედრო ლიტერატურის შესწავლით, ლატვიელი ანალიტიკოსი იან ბერზინში მიდის იმ დასკვნამდე, რომ დღეს კრემლი ომის კონვენციური ფორმების პარალელურად ახალ მეთოდებს ითვისებს.

რუსეთის უახლესი სტრატეგია გონებას უმნიშვნელოვანეს ბრძოლის ველად მიიჩნევს. მტრის დასუსტება უნდა მოხდეს ინფორმაციული და ფსიქოლოგიური ომებით, მორალური ზეწოლით, რის შედეგადაც მცირდება მძიმე სამხედრო ტექნიკის გამოყენების საჭიროება. ამ პოლიტიკით, ფიზიკური კონფრონტაციისგან თავის არიდებით, მტერზე გამარჯვება ხდება არაპირდაპირი, ასიმეტრიული მეთოდებით. ომის ტრადიციული გაგებით, სახეზე უნდა გვქონდეს ომის ოფიციალური გამოცხადება, ფრონტის ხაზის გახსნა, სამხედრო შეტაკებები, რომელიმე მხარის დამარცხება, სამშვიდობო მოლაპარაკებები, რეპარაციები. რუსეთის 21-ე საუკუნის ომს არ გააჩნია ფრონტის ხაზი. მოწინააღმდეგის ლიდერების გონება იმდენად დასუსტებულია, რომ მტრისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა არც განიხილება. რუსეთის მოკლევადიანი მიზნები ყოფილი საბჭოთა ქვეყნების დასავლეთისკენ სწრაფვის ხელის შეშლა და ძველი გავლენის აღდგენაა. საბოლოო მიზანი კი არსებული წესრიგის დამხობაა. იმის გამო, რომ რუსეთს, როგორც რევიზიონისტულ სახელმწიფოს, ამერიკასთან პირდაპირი კონფრონტაცია არ შეუძლია, ამ მიზნების მისაღწევად ის მიმართავს მცირე პროვოკაციებს პერიფერიებზე და ცდის, თუ რამდენად არის მზად აშშ, დაიცვას და შეინარჩუნოს არსებული წესრიგი. რადგანაც სუსტ პერიფერიებზე გამოყენებული ხისტი ძალა გლობალური მიზნების მისაღწევად საკმარისი არ არის, რუსეთი საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს „რბილ ძალას".

რუსეთის პოლიტიკური ელიტა მიხვდა, რომ გლობალიზებულ სამყაროში წარმატებული საგარეო პოლიტიკის გატარება შეუძლებელია ძლიერი იმიჯის და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე. ამიტომაც, ეს ამერიკული კონცეფცია რუსეთის საგარეო პოლიტიკაშიც დამკვიდრდა.

საერთაშორისო იმიჯის განმტკიცებისთვის რუსეთს სჭირდება მუდმივი „გოლდშტეინის აგენტები" (ემანუელ გოლდშტეინი – ჯორჯ ორუელის ცნობილი რომანის „1984″ პერსონაჟი, რომელიც ოკეანიის სახელმწიფოს მთავარი მტერია), რომლის სახეც დღეს ამერიკაა. აშშ არის

საფრთხე, რომელიც იწვევს ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისებს, გაეროს მანდატის გარეშე ერევა რეგიონულ კრიზისებში და დემოკრატიის დაცვის ლოზუნგს ამოფარებული არღვევს სუვერენიტეტის პრინციპს. მუდმივი მტრის ხატის არსებობის კარგი გამოვლინებაა ვლადიკავკაზში „ამერიკისა და NATO-ს დანაშაულების მუზეუმის" გახსნა.

რუსული „რბილი ძალის" მთავარი ფრონტი პროპაგანდაა, რაშიც ის უამრავ ფულს ხარჯავს. მეთოდი გულისხმობს სახელმწიფო კონტროლს მედიაზე და სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობის წვდომას რუსულ სატელევიზიო არხებთან. ინფორმაციული ომის მიზანია, თითოეული მოსახლის აზროვნებაში შეიცვალოს რეალობის აღქმა ისე, რომ მას არ შეეძლოს საკუთარი ოჯახისა და ქვეყნის დაცვის ინტერესით მოქმედება. ამ ინფორმაციული ომის შედეგად იქმნება სასურველი ეკონომიკური, დიპლომატიური თუ სამხედრო ფონი.

რუსული ტაქტიკა ძალის მთელ სპექტრს მოიცავს. სხვადასხვა ტიპის ზეწოლითა და დეზინფორმაციით ხდება ისედაც სუსტი მოწინააღმდეგის ლიდერების დაბნევა, რის შედეგადაც მათ გადაწყვეტილების მიღების უნარი ეკარგებათ. ამას მოჰყვება დაშინება და მოსყიდვა, რათა ამ ლიდერებმა უარი თქვან საკუთარ პოზიციებზე. შემდეგი სამიზნე მოსახლეობაა. პროპაგანდისა და გაწვრთნილი პროვოკატორების მეშვეობით მოსახლეობის ნაწილში რუსეთის სასარგებლოდ იცვლება განწყობები.

ამ ფაზების შემდეგ მეთოდები უფრო ხისტდება. სამთავრობო შენობებისა და სამხედრო ბაზების ბლოკადას მოჰყვება კიბერშეტევები და საერთაშორისო ასპარეზზე მიმართული პროპაგანდა. ამ ფაზების წარმატების შემდეგ უკვე მზა ნიადაგია სამხედრო შეტაკებების დასაწყებად. საბოლოოდ, დარჩენილი მტერი, რომელიც ისედაც მცირერიცხოვანი იყო ინფორმაციული ომის შედეგად, ხისტი ძალის გამოყენებით ნადგურდება.

აშშ-ის თავდაცვის უნივერსიტეტის პროფესორის სებასტიან გორკას მიხედვით, რუსული სტრატეგიის ეს ახალი ტაქტიკა „ტოტალური ომის" ფორმაა, რომელსაც „შეხების წერტილი" არ გააჩნია. საინტერესოა, რომ

ძველი ჩინელი სტრატეგოსი სუნ ძი საბოლოო გამარჯვებად ბრძოლის გარეშე მოგებას მოიაზრებს.

„მწვანე კაცუნები” რუსული ოკუპაციის ახალი ფორმაა. ყირიმის რეფერენდუმის შემდეგ მოულოდნელად გამოჩნდა ანონიმური არმია, რომელიც ნახევარკუნძულზე „უსაფრთხოებას იცავს”. სამხედროები თავაზიანები არიან, ბავშვებთან ერთად მოცინარი სახით სურათებს იღებენ, არ არბევენ სახლებს და არ იპარავენ პროდუქტებს. „მწვანე კაცუნები” შეიქმნა იმისთვის, რომ ერთდროულად ერთმანეთის საწინააღმდეგო მიზანს ემსახურებოდეს – იყოს ანონიმური, თან იდენტიფიცირებადი, იყოს თავაზიანი, მაგრამ საშიში, ჰგავდეს რუსულ არმიას, მაგრამ განსხვავებული იყოს რუსული არმიისგან.

უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარება, წლების განმავლობაში ამზადებდა ნაყოფიერ ნიადაგს „მწვანე კაცუნებისთვის”. ანაფორიანი „შავი კაცუნები” ქადაგებდნენ ერთმორწმუნე ზნეობრივი რუსეთის შესახებ, რომელსაც გარყვნილი და ამორალური ევროპა უპირისპირდება.

„მწვანე კაცუნები” არის ახალი პროექტი ოკუპაციისა ისე, რომ სამართლებრივ ჩარჩოში მათი არსებობა ოკუპაციად ვერ განიხილება. ყირიმი ოკუპირების გარეშე იქნა ოკუპირებული. ეს ახალი პოსტიმპერიული ტაქტიკა განსაკუთრებული საფრთხის შემცველია პოსტსაბჭოთა სივრცისთვის, სადაც დიდია ეთნიკურად რუსი და რუსულენოვანი მოსახლეობის რიცხვი.

საფრთხეები საქართველოსთვის

ანონიმური ჯარისკაცების გამოყენება რეგიონზე გავლენის გასავრცელებლად, რუსული პოლიტიკისთვის უცხო არ არის. 1990-იან წლებში აფხაზეთის ომის შემდეგ აქ გამოჩნდნენ ანონიმური სამხედრო ძალები. ყირიმის „მწვანე კაცუნებისგან” განსხვავებით, მათი არსებობა „მშვიდობიანი” არ ყოფილა. ამ ჯარისკაცების იდენტიფიცირება რუსულ არმიასთან ოფიციალურად შეუძლებელი იყო, რის გამოც დასავლეთს მკაცრი პოზიცია არ დაუფიქსირებია. ომის დამთავრების შემდეგ რუსეთმა ადვილად მოახერხა აფხაზეთზე კონტროლის დამყარება.

2008 წლის აგვისტოს ომი კარგი გაკვეთილი იყო რუსული საგარეო პოლიტიკისთვის. უკრაინისგან განსხვავებით, რუსეთმა აქ უფრო ხისტი ძალები გამოიყენა. საქართველოს მხრიდან გარკვეული წინააღმდეგობის გაწევა საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა მისთვის.

აქართველოსთან ომში ნასწავლი გაკვეთილის შემდეგ რუსეთი ყირიმს რბილი ძალის გამოყენებით დაუპირისპირდა. ანონიმური ჯარისკაცებიც უფრო თავაზიანი გახადა და მოიგონა კონტროლის დამყარების ისეთი მექანიზმი, რომელსაც ოფიციალურად ჯერჯერობით ქმედითი ვერაფერი უპირისპირდება.

საქართველოს მსგავსად, უკრაინასაც ევროპასთან დაახლოებისა და დემოკრატიული რეფორმების გეზი ჰქონდა არჩეული, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. რუსეთის მიზანია კავკასიაში, აღმოსავლეთ უკრაინასა და ცენტრალურ აზიაში ძველი გავლენის აღდგენა, რის მისაღწევადაც მას ევრაზიული კავშირის შექმნა სჭირდება. ევრაზიული კავშირი კი უკრაინის გარეშე წარმოუდგენელია.

საქართველოსა და უკრაინას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. უკრაინელების აზრი ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსთან დაკავშირებით იყოფა. რუსული პროპაგანდის შედეგად მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ევროპა გეიფაშიზმის ბუდეა. ირონიაა, მაგრამ თითქმის ყველა ევროპული ნეოფაშისტური პარტია პრორუსულია. ეთნო-ლინგვისტური მსგავსება და საერთო ისტორია ამძაფრებს აღმოსავლეთ უკრაინელებში რუსულ იდენტობას.

საქართველოში საგარეო კურსზე საზოგადოებრივი აზრი ერთიანია. 2008 წელს ჩატარებული პლებისციტის თანახმად, გამოკითხულთა 77% ქვეყნის პროდასავლურ ორიენტაციას უჭერს მხარს. რუსეთს სჭირდება დაარწმუნოს ქართველები, რომ საერთო მართლმადიდებლურმა რწმენამ, საერთო ისტორიულმა გამოცდილებამ და რუსულმა მესიანიზმმა საქართველო განადგურებას გადაარჩინა.

რუსული პოლიტიკის მნიშვნელოვანი საყრდენი მართლმადიდებლური ეკლესიაა. ერთმორწმუნეობის ლოზუნგს

ამოფარებული რუსეთი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მართლმადიდებლურ ეკლესიებთან ერთად ანტიდასავლურ პროპაგანდას ეწევა.

საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინაში ეკლესიური მრავალფეროვნებაა და რუსეთის მიმართ დამოკიდებულებაც სხვადასხვაგვარია.

უკრაინაში რამდენიმე დომინანტური ეკლესიაა – უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედის, უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია კიევის საპატრიარქოს იურისდიქციით და ბერძნულ-კათოლიკური უნიატური ეკლესია. მოსკოვის გავლენის ქვეშ მყოფი უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესია გმობდა საპროტესტო გამოსვლებს ევრომაიდანზე და წყევლიდა მასში მონაწილე სტუდენტებს. პატრიარქი ფილარეტი კი თავად ჩადიოდა ევროპის პოლიტიკურ დედაქალაქებში და აქტიურად მუშაობდა და მუშაობს უკრაინის პროდასავლური ორიენტაციის განმტკიცებისთვის.

საქართველოში ეკლესია ერთიანია. რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებული აქვს და დღითი დღე ზრდის საოკუპაციო ზოლს მავთულხლართების გადმოწევით. ამის ფონზე, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ყოველ შესაძლო მომენტში გვახსენებს რუსეთთან რწმენით ნათესაობას.

2011 წელს ილია II რუსეთის პატრიარქს შეხვდა, რომელიც რუსეთის აგრესიულ და იმპერიალისტურ ინტერესებს ემსახურება. 2013 წელს ოფიციალური ვიზიტით ეწვია რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმირ პუტინს. შეხვედრის შემდეგ კი განაცხადა, რომ პუტინი საქართველოსა და რუსეთს შორის ძმობისთვის ყველაფერს გააკეთებს.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ინფორმაციული ომით საზოგადოებაში ქმნის ანტიდასავლურ განწყობას. ისეთი საკითხების წინ წამოწევა, როგორიცაა უმცირესობათა უფლებები, ქართველების დიდ ნაწილს ერთმორწმუნე რუსეთის მიმართ დადებითად განაწყობს.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში ეკლესიას რუსული დაზვერვა აკონტროლებდა. სსრკ-ის დაშლის შემდეგ ეკლესიის რუსული აგენტურისგან განწმენდის მიზნით, თითქმის ყველა ქვეყანაში ლუსტრაციის კანონი მიიღეს. საქართველოში ლუსტრაცია არცერთ სექტორში არ განხორციელებულა. ეს ბადებს ეჭვებს, რომ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში კვლავ რჩებიან რუსული გავლენის აგენტები. ამ ეჭვს კიდევ უფრო ამძაფრებს რუსული წარმოშობის ფული, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საპატრიარქოს თუ მართლმადიდებლობის სახელს ამოფარებული სხვადასხვა ორგანიზაციების ბიუჯეტში.

საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა ძალიან დიდია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. ეკლესიიდან წამოსული ნებისმიერი სიტყვა ქართველთა ნაწილისთვის ლამის კანონმდებლობაზე მაღლა დგას, რომც არ ეფუძნებოდეს ლოგიკურ და არგუმენტირებულ მსჯელობას. რადგანაც საქართველოს საპატრიარქო ნდობის მაჩვენებლის მწვერვალებს იპყრობს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანტიდასავლური პროპაგანდა მოსახლეობის საგრძნობ ნაწილში გარკვეულ წარმატებას აღწევს.

გარდა ეკლესიისა, პრორუსული პოლიტიკის გატარებაში სამოქალაქო სექტორიცაა ჩართული. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ითხოვდა საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის დახურვას. მუზეუმი მეხსიერების ადგილია, ოკუპაციის მუზეუმის დახურვით კი თითქოს უნდა წაშლილიყო საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი. რუსეთს კარგად აქვს გააზრებული, რომ ხალხის განადგურების ყველაზე ეფექტური მეთოდი ხალხის აზროვნებაში ისტორიული მეხსიერების მოშლაა.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენების პარალელურად, გარკვეული ჯგუფები NATO-ს საწინააღმდეგო აქციებს აწყობდნენ, უჩვენებდნენ იუგოსლავიაში საჰაერო დაბომბვების შედეგებს, მართავდნენ რუსეთის მხარდასაჭერ მსვლელობებს.

ახალი სტრატეგიის კიდევ ერთი ტაქტიკა რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებების დაცვაა. სწორედ ამ მოტივით გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა 2008 წელს და იმავე სცენარით მოქმედებს დღეს უკრაინაშიც. აპრილში რუსეთის დუმამ მიიღო კანონი რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების თაობაზე.

ამ მხრივ, საქართველოში ყველაზე მოწყვლადი სამცხე-ჯავახეთის რეგიონია. აქ ქართულენოვან მოსახლეობასთან ერთად რუსულ და სომხურენოვანი მოსახლეობაცაა წარმოდგენილი. დეზინფორმაციის, მოსყიდვისა და დაშინების მეთოდით აქ ძალიან იოლია ხელოვნური დაპირისპირების პროვოცირება და „მწვანე კაცუნებისთვის" ნიადაგის მომზადება.

ამერიკის საპასუხო სტრატეგია

ცივი ომის პერიოდში კომუნიზმთან ბრძოლის ამერიკული სტრატეგია ძალის ყველა განზომილებას მოიცავდა. პროდასავლური პროპაგანდისთვის აქტიურად გამოიყენებოდა ძალის კულტურული განზომილება. პროპაგანდის მთავარი სამიზნე ის ქვეყნები იყო, რომლებშიც ინფორმაციის შემოდინებას სახელმწიფო ცენზურა აკონტროლებდა.

ანტიკომუნისტური პროპაგანდა იყენებდა ხელოვნების სხვადასხვა დარგებს: მხატვრობას, ოპერას, ბალეტს, ჯაზს. აქტიურად ხდებოდა საბაზრო ეკონომიკის, ლიბერალური ღირებულებების, თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეების გავრცელება, რომლებსაც სსრკ მაქსიმალურად ბლოკავდა.

ამერიკის ანტიკომუნისტური სტრატეგია ძალის ეკონომიკურ და სამხედრო განზომილებებსაც მოიცავდა. ამ თვალსაზრისით ყველაზე წარმატებული, რესპუბლიკელი პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის საგარეო პოლიტიკა იყო. რეიგანს მტკიცედ სწამდა, რომ ამერიკის შემცვლელი ძალა საგარეო ასპარეზზე ვერ იარსებებდა და ამ იდეით შეიარაღებულმა შეძლო კომუნიზმის გავრცელების შეჩერება.

რეიგანის მმართველობის დროს ორჯერ გაიზარდა ამერიკის თავდაცვის ხარჯები, მოხდა ამერიკის სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების მოდერნიზება. მისი პრეზიდენტობის დროს ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა საბჭოთა რაკეტების საწინააღმდეგოდ ევროპაში ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტები განალაგა. საუდის არაბეთთან მოლაპარაკებების შედეგად ნავთობის ფასების დაცემით გაიზარდა ზეწოლა სსრკ-ზე. ამას მოჰყვა აშშ-სა და სსრკ-ს შორის ეკონომიკური და საფინანსო ურთიერთობების გაწყვეტა.

ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი არის ის, რომ აშშ დღეს არ ავლენს მზაობასა და ნებას, იბრძოლოს საკუთარი პირველობისთვის. ამერიკის სწრაფვა აბსოლუტური ძალაუფლებისკენ შეაჩერებს აგრესორებისგან წამოსულ რისკებს. მტრის შეკავების საუკეთესო მექანიზმი კი თავდაცვის გაძლიერებაა. ამის პრაქტიკა უკვე არსებობს. ამერიკას ამ სტრატეგიის გახსენება და თანამედროვე გარემოებებთან ადაპტირება სჭირდება.

საუკეთესო მექანიზმი რუსული აგრესიის შეკავებისა დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებაა. პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის განმტკიცება ყველაზე დიდი ტრაგედია იქნება რუსეთისთვის. მის მეზობლად ძლიერი დემოკრატიები საფრთხეს რუსეთის შიგნით არსებულ რეჟიმსაც შეუქმნის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ის ქვეყნები, რომლებიც რუსული რევიზიონიზმის პირდაპირი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. საჭიროა, რომ მათ მიმართ შემუშავდეს ინსტიტუციონალიზებული მექანიზმი, რომელიც დაუპირისპირდება რუსეთის ახალი ტაქტიკას. ამ თვალსაზრისით ყველაზე მოწყვლადი ქვეყნები საქართველო, მოლდოვა და ლატვიაა. დასავლეთის ქვეყნების დახმარებით, ამ სამი ქვეყნის უსაფრთხოების სისტემები მზად უნდა იყოს რუსეთის მხრიდან არაპირდაპირ ინტერვენციასთან გასამკლავებლად.